

# **სისხლის საპართლის პროცესი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**სისხლის სამართლის საქმეებზე**  
2016, №7-9

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Criminal Cases**  
(in Georgian)  
2016, №7-9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Strafsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2016, №7-9

Решения Верховного Суда Грузии  
**по уголовным делам**  
(на грузинском языке)  
2016, №7-9

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **რუსუდან ჭანტუშია**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. სისხლის სამართალწარმოების შეჩერების საფუძვლები და ვადები

## განჩინება საქართველოს სახელით

№21-16

28 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. ნ-ს ინტერესების დამ-  
ცველი ადვოკატების – მ. ნ-სა და ბ. თ-ს კერძო საკასაციო საჩი-  
ვარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განჩინებაზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

1. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ე. ნ-ს ბრალი ედება იმა-  
ში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი  
ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადე-  
ნილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის  
მუქარით, სადგომში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად, დიდი  
ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, დანაშაული გათვალის-  
წინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის  
„ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, კერძოდ:

2. 2002 წლის ნოემბრის დასაწყისში ე. ნ-ე დანაშაულებრი-  
ვად დაუკავშირდა გ. მ-ს, მ. ა-ს, ე. კ-ს და ვინმე „დ-ს“. მათ გა-  
ნიზრახეს ფულადი თანხის დაუფლების მიზნით, ყაჩაღურად  
თავს დასხმოდნენ თბილისში, ... დასახლებაში არსებულ შპს „ნ“  
ტერიტორიაზე მდებარე თ. ც-ს კუთვნილ ვალუტის გადამ-  
ცვლელ ფიზურს.

3. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ისინი შეიარაღდნენ  
ავტომატური და „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარა-  
ღებით და 2002 წლის 25 ნოემბერს, დაახლოებით 16:00 საათზე,  
ნ. ვ-ს კუთვნილი „ვაზ-2107“ მარკის ავტომანქანით მივიდნენ  
აღნიშნულ ადგილზე. შეთანხმებისამებრ, გ. მ-ი დარჩა ავტო-  
მანქანაში, მ. ა-ე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით გაჩერ-  
და სავალუტო ფიზურის გარეთ, ხოლო ე. ნ-მ, ე. კ-მ და ვინმე „დ-

მ“, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ავტომატური და „მაკა-როვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღებით, უკანონოდ შეაღწიეს საგალუტო ჯიხურში, ყაჩაღურად თავს დაესხნენ იქ მყოფ თ. ც-ს, გ. ფ-ს, მ. ბ-ს და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით, რასაც ჰაერში გასროლაც მოჰყვა, დაეუფლნენ საგალუტო ჯიხურში არსებულ 40000 აშშ დოლარს და 30000 ლარს. აღნიშნულის შემდეგ, თავდამსხმელები გადასხდნენ წინასწარ გამზადებულ, ზ. შ-ს კუთვნილ „ნივის“ მარკის ავტომანქანაში და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, ხოლო ყაჩაღური გზით დაუფლებული ფულადი თანხა კი გაინანილეს თბილისის ... მიმდებარე ტერიტორიაზე, რის შემდგომაც დასცილდნენ ერთმანეთს.

4. 2003 წლის 16 თებერვლის დადგენილებით ე. ნ-ე მიცემულ იქნა პასუხისმგებლობის ბრალდებულის სახით დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით.

5. 2003 წლის 21 თებერვლის ბრძანებით, ე. ნ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა, 2003 წლის 10 ივნისის დადგენილებით გამოცხადდა ძებნა, ხოლო 2003 წლის 17 ივნისის დადგენილებით – საქართველოს სსსკ-ის 29-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლის სამართლის №... საქმეზე შეჩერდა სამართალწარმოება ბრალდებულ ე. ნ-ს ადგილსამყოფლის დადგენა-დაკავებამდე.

6. 2015 წლის 15 აპრილს საქმე გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითად განსახილველად.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სხდომაზე დაცვის მხარემ იშუამდგომლა განსასჯელ ე. ნ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ იმ საფუძველით, რომ საქმის სასამართლოში შემოსვლამდე გავიდა ე. ნ-ს ბრალდებულად ყოფნის ვადა.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 მარტის დადგენილებით დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა და ე. ნ-ს მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

9. აღნიშნული დადგენილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში კერძო სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს პროკურორმა ზურაბ სიყმაშვილმა და დაზარალებულმა თ. ც-მ. აპელანტები ითხოვდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 მარტის დადგენილების გაუქმებასა და ე. ნ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებას.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 მარტის დადგენილება ე. ნ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

11. ე. ნ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები – მ. ნ-ე და ბ. თ-ი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განჩინების გაუქმებასა და ე. ნ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ე. ნ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ნ-სა და ბ. თ-ს კერძო საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების პოზიციას იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებელი განჩინება არის უკანონო და სამართლებრივად დაუსაბუთებელი, კერძოდ:

3. საქმის მასალების მიხედვით, ე. ნ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2003 წლის 16 თებერვალს, როდესაც მას დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით. 2003 წლის 21 თებერვლის ბრძანებით ე. ნ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, ხოლო 2003 წლის 10 ივნისის დადგენილებით მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. საქართველოს სსსკ-ის 29-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2003 წლის 17 ივნისს გამოტანილ იქნა დადგენილება №... სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების შეჩერების შესახებ ე. ნ-ს ადგილსამყოფლის დადგენა-დაკავებამდე.

4. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და მიიჩნია: ის ფაქტი, რომ 2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება და ამოღებულ იქნა 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებას ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაში, არ ნიშნავს აღნიშნული ცვლილების ამოქმედებისთანავე ბრალდებულად ყოფნის ვადის დინების ავტომატურ რეჟიმში განახ-

ლებას. მითითებული ნორმა არ გაუქმებულა და ძალაში იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების შემდეგაც, რაც სრულ შესაბამისობაშია როგორც 1998 წლის 20 თებერვლისა და 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებთან, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებასთან, სახელდობრ: როდესაც 2003 წლის 10 ივნისის დადგენილებით გამოცხადდა ე. ნ-ს ძებნა, ავტომატურად ამოქმედდა 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მე-5 ნაწილი და ე. ნ-ს ბრალდებულად ყოფნის 12-თვიანი ვადის დინება შეჩერდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 329-ე მუხლში დამატებული მე-3 პრიმა ნაწილის თანახმად, „თუ ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა კოდექსის ამოქმედებამდე დაიწყო და მის მიმართ შეჩერებულია ან შეჩერებული იყო ბრალდებულად ყოფნის ვადის დინება, სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (გარდა 75-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულად ყოფნის ვადის დინების შეჩერებისა). ასეთ შემთხვევაში, საქმის სასამართლოში წარმართვამდე ბრალდებულად ყოფნის ვადაა 9 თვე. ამ ვადის დინება გრძელდება 2015 წლის 1 მაისიდან. აღნიშნულ ვადაში არ ითვლება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეჩერებული იყო ბრალდებულად ყოფნის ვადის დინება“. ამდენად, ე. ნ-ს ბრალდებულად ყოფნის უკვე 9-თვიანი ვადის დინება სავალდებულო წესით უნდა განახლებულიყო 2015 წლის 1 მაისიდან, თუმცა ბრალდების მხარემ საქმე სასამართლოში წარმართა 2015 წლის 15 აპრილს.

5. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ როდესაც 2006 წლის 29 დეკემბრის №4212 კანონის საფუძველზე აღნიშნული კოდექსის 29-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ბრალდებულ ე. ნ-ს მიმართ ბრალდებულად ყოფნის ვადის დინება ავტომატურად განახლდა 2007 წლის იანვრიდან, როდესაც აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდა; ასევე, არასწორია დაცვის მხარის მოსაზრება, როდესაც აიგივებენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბრალდებულად ყოფნის 12-თვიანი ვადის დინების შეჩერებასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

29-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების ცნებებს, რადგან აღნიშნული სამართლებრივი ნორმები ანესრიგებენ სხვადასხვა საპროცესო პროცედურას, კერძოდ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მე-5 ნაწილი მხოლოდ აჩერებდა ბრალდებულად ყოფნის 12-თვიანი ვადის დინებას, რომლის განმავლობაშიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გაუქმების შემდეგ პერიოდში საქმის მწარმოებელ ორგანოს შეეძლო ბრალდებულის მიმართ განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი დევნა, ე.ი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე პრიმა მუხლის შესაბამისად, განეხორციელებინა მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანი იყო სისხლის სამართლის კოდექსითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების უზრუნველყოფა. რაც შეეხება ამავე კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებას, იგი ძებნილი ბრალდებულის მიმართ გარკვეული დროით, მის მოძებნამდე აჩერებდა ზემოაღნიშნულ მოქმედებებს. ამ ნორმის მოქმედების პირობებში საქმის მწარმოებელი ორგანო ძებნილი ბრალდებულის მიმართ ვერ ახორციელებდა საპროცესო მოქმედებებს, მას არ შეეძლო დაზუსტებული ბრალდების წარდგენა, საბრალდებო დასკვნის შედგენა და საქმის სასამართლოში წარმართვა, ასევე ძებნილი ბრალდებულის გასამართლება. 2006 წლის 29 დეკემბრის №4212 კანონის საფუძველზე სწორედ იმ მიზნით იქნა ამოღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, რომ ძებნილი ბრალდებულის მიმართ შესაძლებელი ყოფილიყო დევნის განხორციელება, მტკიცებულებების მოპოვება, მისთვის ბრალდების დაზუსტება, საკმარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში საბრალდებო დასკვნით საქმის სასამართლოში წარმართვა და დაუსრულებლად მისი გასამართლება. ამიტომ უადგილოა აღნიშნულ ნორმებს შორის უპირატესობის მინიჭება.

6. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილებაში, სადაც განმარტა შემდეგი: „...2010 წლის 1 ოქტომბრამდე ბრალდებული პირების მიმართ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გავრცელების პირობებში დევნა შეიძლება გავრცელდეს განუსაზღვრელი ვადით (თუ პირი, რომელიც მიმალვაში იმყოფებო-

და, არ გამოცხადდება საგამოძიებო ორგანოებში), ან გაცილებით უფრო ხანგრძლივი ვადის განმავლობაში. ...ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ პირებმა, რომლებიც ემალებიან გამოძიებას, წინასწარ იციან, რომ ეს იწვევს ვადის შეჩერებას. ანუ ისინი პრაქტიკულად თავად იღებენ გადაწყვეტილებას მათ მიმართ დევნის ვადის გახანგრძლივების შესახებ. ამასთან, მათ ნებაზეა დამოკიდებული ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ან უსასრულოდ სისხლისსამართლებრივი დევნის თავიდან აცილება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმალვით ბრალდებული პირები ობიექტურად ხელს უშლიან, სულ მცირე, ხელს ნამდვილად არ უწყობენ გამოძიების დროულად, ობიექტურად და ეფექტურად განხორციელებას. შესაბამისად, არ არსებობს ობიექტური საფუძველი იმის მტკიცებისთვის, რომ ბრალდებული პირების მიმალვა და გამოძიებისთვის თავის არიდება უნდა ხდებოდეს შედავათების მოპოვების საფუძველი. შეუძლებელია იმის გამართლება, რომ პირმა, რომელიც გამოძიებას ემალებოდა, მოითხოვოს მის მიმართ საქმის ავტომატურად შეწყვეტა პრაქტიკულად გამოძიების ჩატარების და მისი ბრალეულობის ობიექტურად გამორიცხვის გარეშე, კანონმდებლობის შეცვლის შედეგად შემცირებული საგამოძიებო ვადების მასზე მექანიკურად გავრცელების გზით“.

7. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ მიმალვით ბრალდებულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლებელია გაგრძელდეს 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ვინაიდან მოქმედებაშია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მე-5 ნაწილი და ბრალდებულად ყოფნის ვადის დინება შეჩერებულია.

8. იმავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა შემდეგი: „კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დარღვევის დადასტურება, არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით ბრალდებული პირების მიმართ, რომლებიც მიმალვაში იმყოფებიან (ან იმყოფებოდნენ 2009 წლის კოდექსის ამოქმედებამდე), სისხლისსამართლებრივი დევნის ავტომატურად შეწყვეტის ვალდებულებას, რადგან ეს გარდაუვლად შეუქმნის საფრთხეს ობიექტურ გამოძიებას და სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულებას. კიდევ ერთხელ მივუთითებთ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ბრალის საფუძველების გამორიცხვის ან ვერადასტურების გარეშე, მხოლოდ ნორმატიული ბაზის შეცვლის საფუძველზე შემცირებული ვადების გაცდენის მიზეზით, არ შეიძლება იყოს პირის უფლება და, შე-



საბამისად, ასეთი მოთხოვნის საფუძველი“.

9. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ, აღნიშნული მსჯელობის მიუხედავად, ვერ გაამართლა ბრალდებული პირების ნაწილის მიმართ ბრალდებულად ყოფნის ხანგრძლივი/განუსაზღვრელი ვადების შენარჩუნება იმ პირობებში, როდესაც მეორე ნაწილის მიმართ ვრცელდება უფრო ხანმოკლე ვადა (9 თვე), გამოძიებისათვის თავის არიდების ფაქტის მიუხედავად. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შევიდა ცვლილება დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლში, რომელსაც დაემატა 31 ნაწილი, რომლის თანახმადაც: – „თუ ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაიწყო და მის მიმართ შეჩერებულია ან შეჩერებული იყო ბრალდებულად ყოფნის ვადის დინება, სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (გარდა 75-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებულად ყოფნის ვადის დინების შეჩერებისა). ასეთ შემთხვევაში საქმის სასამართლოში წარმართვამდე ბრალდებულად ყოფნის ვადაა 9 თვე. ამ ვადის დინება გრძელდება 2015 წლის 1 მაისიდან. აღნიშნულ ვადაში არ ითვლება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეჩერებული იყო ბრალდებულად ყოფნის ვადის დინება“. ამ ცვლილებით კანონმდებელმა დააზუსტა, თუ რა წესით უნდა წარმართულიყო სისხლის სამართლის პროცესი იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისგებაში მიეცნენ 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე და დღესაც შეჩერებულია, ან შეჩერებული იყო ბრალდებულად ყოფნის ვადის დინება. ანუ დღეს მოქმედმა საპროცესო კოდექსმაც მიზანშეწონილად მიიჩნია მიმალულ ბრალდებულთა მიმართ ბრალდებულად ყოფნის ვადის დინების შეჩერების შესაძლებლობა.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განჩინება, რომლითაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 მარტის დადგენილება ე. ნ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხ-

ლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**დაადგინა:**

1. ე. ნ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ნ-სა და ბ. თ-ს კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. გონივრული ვადის დაცვის მოთხოვნები სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების პროცესში

### განჩინება საქართველოს სასახლით

№ 134აპ-16

6 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულების – ლ. დ-სა და თ. კ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. კ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 იანვრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 28 ივნისის განაჩენით ლ. დ., – დაბადებული ... წლის ...-ს, ნასამართლობის არმქონე, და თ. კ., – დაბადებული ... წლის ...-ს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინეს სამეწარმეო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე – თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1993 წლის 3 ოქტომბრის №...-დადგენილებისა და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის

14.04.93 წ. №...- დადგენილებისა და მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე მინისტრთა კაბინეტის 20.07.93 წ. №...- დადგენილების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო კომერციული ფირმა „...“- გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად და ეწოდა ს/ს „.....“- , რომლის აქციათა 56% შეიძინეს საზოგადოების მუშა-მოსამსახურეებმა, ხოლო დარჩენილი 44%, რომლის მფლობელი იყო სახელმწიფო, 1995 წელს გაიყიდა აუქციონზე და მთლიანად გასხვისდა.

4. აქციონერთა 1995 წლის 30 ოქტომბრის საერთო კრების №1 ოქმითა და თბილისის მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 28 ივნისის დადგენილებით საზოგადოება გატარდა რეგისტრაციაში, სარეგისტრაციო №... ჩანაწერით, რომლის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 99.389 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტით. ს/ს „...“- ეწოდა ს/ს „...“. ს/ს „...“- დირექტორად იმავე დღეს დაინიშნა ლ. დ., ხოლო შემცვლელ დირექტორად – თ. კ.. სასამართლოს იმავე დადგენილებით წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიენიჭა დირექტორს – ლ. დ-ეს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შემცვლელ დირექტორ თ. კ..

5. სააქციო საზოგადოება გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე აყვანილია კრწანისი-მთაწმინდის საოლქო საგადასახადო ინსპექციაში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი №..., მასზე გაცემულია დღგ-ს გადამხდელის სარეგისტრაციო სერთიფიკატი №...-. ს/ს „- ...“- ანგარიშები აქვს გახსნილი „...“ ბანკის ვერის ფილიალში: №... – ეროვნულ ვალუტაში, №... – უცხოურ ვალუტაში, ასევე – „...“: №...- – ეროვნულ ვალუტასა და №...- – უცხოურ ვალუტაში; გარდა ამისა, №...- სავალუტო ანგარიში გახსნილი აქვს „...“-.

6. ლ. დ., იყო რა ს/ს „- ...“- მთავარი თანამდებობის პირი და მინიჭებული ჰქონდა საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, საზოგადოების კანონიერი ინტერესების სანინალმდევოდ, სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის №2-ა ოქმის საფუძველზე 2000 წლის მარტში (თარიღი მითითებული არ არის) დადო ხელშეკრულება შპს „...“- დირექტორ თ. კ-თან, რომელიც ამავდროულად იყო ს/ს „.....“ შემცვლელი დირექტორი. ხელშეკრულების თანახმად, შპს „...“ 25 წლის ვადით გამოეყო ს/ს „...“ ტერიტორიის 150 კვ.მ. ფართობი, რომელზეც ანგარიშსწორება ხდებოდა 1 კვ.მეტრზე – 0,40 თეთრის ოდენობით, თვეში – სულ 60 ლარი, მაშინ, როდესაც ქონების სააგენტო „- ...“ ცნობით, 2000-2003

წმ. ვაკე-საბურთალოს რაიონში (ვერის უბანი) ცენტრალური პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი კვადრატული მეტრი ფართის საშუალო საბაზრო ფასი შეადგენდა 5 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

7. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. დ-ემ, რომელიც იყო ს/ს „- ...“ დირექტორი, ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, სხვისთვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით გაფორმებული არარენტაბელური ხელშეკრულებით 2000 წლის მარტიდან 2003 წლის 22 იანვრამდე პერიოდში, სულ – 34 თვეში, შპს „...“ მიიღო 1440 ლარი, მაშინ, როდესაც „... ...“ ცნობის მიხედვით, მას რომ გაეფორმებინა ხელშეკრულება ერთ კვადრატულ მეტრზე 5 აშშ დოლარის ოდენობით, ს/ს ...“ შპს „...“- მიიღებდა 53550 ლარს (150 კვ.მ. X 5 აშშ დოლარზე = 25500 აშშ დოლარი X 2.10 ლარზე. 1 აშშ დოლარი = 2.10 ლარს – ექსპერტის მიერ გამოყვანილი საშუალო კურსია 2000-2003 წლების პერიოდში). ლ. დ-ის ქმედებით საზოგადოებამ საიჯარო ქირის გადასახადის სახით ვერ მიიღო 52110 ლარი, რითიც ს/ს „... -“ მიაღდა მნიშვნელოვანი ზიანი.

8. იყო რა ს/ს „...“- დირექტორი და 1996-2003 წლებში აგრძელებდა თავის დანაშაულებრივ ქმედებას, ლ. დ-ემ ამავე საზოგადოების შემცველ დირექტორ თ. კ-თან ერთად წინასწარი შეთანხმებით განიზრახა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თაღლითურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2000 წლის 16 მარტს ლ. დ-ემ თ. კ-ას მიერ შედგენილი №- წერილით მიმართა „...“- წარმომადგენელ მ. ვ-ს, რათა საინვესტიციო თანხებიდან გამოეყო 290.000 აშშ დოლარი, ვითომდა სასაწყობო ბაზისა და ტერმინალის მოსაწყობად. აღნიშნულ წერილში განზრახ არ იყო მითითებული არანაირი ბანკის რეკვიზიტები და ანგარიშის ნომერი. წერილის საფუძველზე „...“- დირექტორმა რ. ტ-მა თავის წარმომადგენელ ს. ე-ეს დაავალა, რომ 2000 წლის 3 აპრილის წერილობითი განკარგულებით გამოეყო 290.000 აშშ დოლარი და გაეცა „- ...“ დირექტორ ლ. დ-სა და შემცველ დირექტორ თ. კ-ზე, „...“- და „- ...“- შორის 2000 წლის 15 იანვარს №...- წერილობითი შეთანხმებისა და 2000 წლის 16 მარტის მოთხოვნის საფუძველზე შემდეგში ტრანსაქციის საბუთების მოწოდებით.

9. 2000 წლის 13 აპრილის წერილით „...“- ხელმძღვანელმა გ. რ-მა „...“ გამგეობის თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, რომ „...“ ფინანსური მენეჯერის – ს. ე-ის სახელზე გახსნილი სადეპოზიტო ანგარიში გადაეტანათ ახალ სადეპოზიტო ანგარიშზე – ლ.

დ-ის პირად ანგარიშზე, რაც „...“- ხელმძღვანელობამ შეასრულა და 2000 წლის 14 აპრილს ლ. დ-ის პირად ანგარიშზე ჩაირიცხა 173.000 აშშ დოლარი, დარჩენილი თანხა კი, 117.000 აშშ დოლარის ოდენობით, ს. ე-ემ ნალდი ანგარიშსწორებით ორჯერადად გასცა თ. კ-ზე. თანხის მიღება დაადასტურეს ლ. დ-ემ და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა თ. კ-ამ 2000 წლის 7 აპრილით შედგენილი ხელწერილით, რომელშიც მითითებულია: ს/ს „...“- დირექტორები ლ. დ. და თ. კ. ვადასტურებთ, რომ 15.01.2000 წლის შეთანხმების საფუძველზე და ს/ს „...“- 16.03.2000 წლის .../- განაცხადის საფუძველზე მიღებული გვაქვს საქვეანგარიშოდ კომპანია „...“- ხელმძღვანელ რ. ტ-გან 290.000 აშშ დოლარი სასაწყობო ბაზის მოსაწყობად, საიდანაც 173.000 აშშ დოლარი ს/ს „...“- დირექტორ ლ. დ-ის მოთხოვნით ჩაირიცხა ანგარიშზე „...“, ხოლო 117.000 აშშ დოლარი მივიღე საქვეანგარიშოდ ნალდზე ს/ს „...“- დირექტორმა თ. კ-ამ.“ ხელწერილი დადასტურებულია ლ. დ-სა და თ. კ-ას ხელმოწერებით და ს/ს „...“- მრგვალი ბეჭდით.

10. ამრიგად, ლ. დ. მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ თ. კ-თან ერთად ნდობის ბოროტად გამოყენებით დაეუფლა „...“ დირექტორ რ. ტ-ის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას – 575.650 ლარს (290.000 აშშ დოლარი X 1,9850 ლარზე), საიდანაც 343405 ლარი (117.000 აშშ დოლარი X 1,9850 ლარზე) ლ. დ-ემ ჩაირიცხა თავის პირად ანგარიშზე „...“ და თ. კ-თან ერთად მისაკუთრა. თავიანთი ქმედებით ლ. დ-ემ და თ. კ-ამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს „...“ დირექტორ რ. ტ-ს.

11. ლ. დ. აგრძელებდა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ თ. კ-თან ერთად 1999-2002 წლებში ს/ს „...“ სახელით, საზოგადოების კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენებით რუსეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სამ ორგანიზაციასთან გააფორმა ხელშეკრულებები რამდენიმე დასახელების ღვინის მიწოდების შესახებ, რომლის რეალიზაციის შედეგად საზოგადოებას დღემდე არ მიუღია მისი ღირებულება და არც საზოგადოების დირექტორებს – ლ. დ-სა და თ. კ-ას არ გაუტარებიათ კანონითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული რაიმე ღონისძიება. მოსკოვის დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „...“- ...“ და ს/ს „...“- შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მყიდველი („...“- ...) ყიდულობდა 0,75 ლ. ტევადობის ბოთლით სხვადასხვა დასახელების ღვინოს 300.000 ბოთლის ოდენობით. აღნიშნული ხელშეკრულების

საფუძველზე ს/ს „ – -“ 18.02.99 წლის 30459 დეკლარაციით „...“ მიაწოდა 16300 ბოთლი, 47691,52 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ღვინო. აქედან სალაროს შემოსავლის 30.09.99 წლის №... ორდერით გამყიდველს სალაროში ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი აქვს 10790 ლარი, ხოლო დებიტორულ დავალიანებად დღემდე ერიცხება 36.901,52 ლარი.

12. 2001 წლის 30 იანვარს რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ შპს „...“ გაფორმებული №...- ხელშეკრულების საფუძველზე ს/ს „.....“ 2001 წლის 30 მარტს მყიდველს მიაწოდა სხვადასხვა დასახელების 16800 ბოთლი, 42988,08 ლარის ღირებულების ღვინო. აღნიშნული თანხა საზოგადოებას დღემდე დებიტორულ დავალიანებად ერიცხება.

13. 2001 წლის 25 სექტემბერს რუსეთის ფედერაციაში შპს „რ-თან“ გაფორმებული №...- ხელშეკრულების საფუძველზე „ს-ე ღ-ის №- ქარხანამ“ მყიდველს მიაწოდა სხვადასხვა დასახელების 31000 ბოთლი, 74491,63 ლარის ღირებულების ღვინო. აღნიშნული თანხა საზოგადოებას ერიცხება დებიტორულ დავალიანებად.

14. რეალიზებული პროდუქციის შედეგად სააქციო საზოგადოებამ სულ ამ სამ შემთხვევაში ვერ მიიღო 154381,23 ლარი. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე, 9.7 მუხლებისა და საზოგადოების წესდების 7.3 მუხლის თანახმად, ს/ს დირექტორი ლ. დ. და შემცვლელი დირექტორი თ. კ-ა ვალდებული იყვნენ, კეთილსინდისიერად შეესრულებინათ დაკისრებული მოვალეობები და ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებათა მოქმედების ვადის გასვლისთანავე დაეყენებინათ სარჩელი რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლოში თანხების ამოღების უზრუნველსაყოფად, რაც არ შეასრულეს. მათ საზოგადოებაში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენებით, სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით ჩაიდინეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი – 154381,23 ლარის ზიანი გამოიწვია.

15. თ. კ-ამ მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ ლ. დ-ესთან ერთად 1999-2002 წლებში ს/ს „.....“ სახელით, საზოგადოების კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენებით რუსეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ერთ ორგანიზაციასთან გააფორმა ხელშეკრულება რამდენიმე დასახელების ღვინის მიწოდების შესახებ, რომლის რეალიზაციის შედეგად საზოგადოებას დღემდე არ მიუღია მისი ღირებულება და არც საზოგადოების დირექტორებს არ გაუტა-

რებიან კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაიმე ღონისძიება რეალიზებული ღვინის საფასურის მისაღებად, კერძოდ: 1999 წლის 7 ივლისს რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ შპს „თ. ტ-ის“ ცენტრსა და ს/ს „.....“ შორის გაფორმებული -/- ხელშეკრულების თანახმად, 17.09.99 წ. №... სავაჭრო დეკლარაციით ს/ს „.....“ მყიდველისათვის მიწოდებული აქვს სხვადასხვა დასახელების 32000 ბოთლი, 54853 ლარის ღირებულების ღვინო. აღნიშნული თანხა საზოგადოებას ერიცხება დებიტორულ დავალიანებად. სულ რეალიზებული პროდუქციის შედეგად საზოგადოებამ ამ ერთ შემთხვევაში ვერ მიიღო 54853 ლარი. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე, 9.7 მუხლებისა და საზოგადოების წესდების 7.3 მუხლის თანახმად, ს/ს დირექტორი ლ. დ-ე და შემცველი დირექტორი თ. კ-ა ვალდებული იყვნენ, კეთილსინდისიერად შეესრულებინათ დაკისრებული მოვალეობები და ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებათა მოქმედების ვადის გასვლისთანავე დაეყენებინათ სარჩელი რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლოში თანხების ამოღების უზრუნველსაყოფად, რაც არ შეასრულეს. მათ საზოგადოებაში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენებით, სხვისთვის გამოჩენის მიღების მიზნით ჩაიდინეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი – 54853 ლარის ზიანი გამოიწვია.

16. აღნიშნული ქმედებისათვის ლ. დ-სა და თ. კ-ას საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით განესაზღვრათ ჯარიმა – 500-500 ლარი, ანუ დღიური მინიმალური ოდენობის 250-მაგი ოდენობა, რომლის მოხდისაგან გათავისუფლდნენ „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონის საფუძველზე, თანახმად სსკ-ის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილისა; მათვე საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით მიესაჯათ 2-2 წლით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით საბოლოოდ განესაზღვრათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალათ პირობით, ლ. დ-ეს – 4 წლის, ხოლო თ. კ-ას – 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

17. დაკმაყოფილდა დაზარალებული კომპანიის – „ტ-ა ი...ის“ (დირექტორი რ. ტ-ი) სარჩელი და მსჯავრდებულ ლ. დ-ეს დაზარალებული კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 173.000 (ას სა მოცდაცამეტი ათასი) აშშ დოლარის, ხოლო მსჯავრდებულ თ.



კ-ას – 117.000 (ას ჩვიდმეტი ათასი) აშშ დოლარის გადახდა ეროვნული ვალუტით, გადახდის დროისათვის მოქმედი კურსით.

18. დაკმაყოფილდა ს/ს „.....“ სარჩელი და მსჯავრდებულ თ. კ-ას მის სასარგებლოდ დაეკისრა 54.853 ლარის, ხოლო მსჯავრდებულ ლ. დ-ეს – 206491,23 ლარის გადახდა.

19. მსჯავრდებულებს – ლ. დ-ესა და თ. კ-ას სოლიდარულად დაეკისრათ ოთხი ათასი ლარის – საადვოკატო მომსახურების ხარჯის გადახდა ს/ს „.....“ სასარგებლოდ.

20. ს/ს „.....“ და კომპანია „....“ სარჩელების უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედო ს/ს „.....“ ლ. დ-ის კუთვნილ 20254 აქციასა (პროცენტული წილი – 10,18%) და თ. კ-ას კუთვნილ 21833 აქციას (პროცენტული წილი – 10,98%).

21. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის პროკურატურის პროკურორმა მ. მ-მა და მსჯავრდებულთა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. კ-მა, ასევე – დაზარალებულების: „.....“ და კომპანია „....“ წარმომადგენელმა, ადვოკატმა ნ. ნ-ემ.

22. პროკურორმა მ. მ-მა სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულ თ. კ-ასათვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით; ადვოკატმა დ. კ-მა – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 28 ივნისის განაჩენის გაუქმება და ლ. დ-ისა და თ. კ-ას გამართლება, ხოლო ადვოკატმა ნ. ნ-ემ – მსჯავრდებულ თ. კ-ასათვის თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

23. დაზარალებული ს/ს „.....“ დირექტორმა ჯ. უ-ამ ქ-ისმა შესაგებლით ითხოვა მსჯავრდებულებისათვის პირობითი მსჯავრის სანაცვლოდ თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ასევე – საადვოკატო მომსახურების ხარჯების გაზრდა 4000 ლარიდან 8000 ლარამდე.

24. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს პროკურორმა და დაზარალებული მხარის წარმომადგენელმა უარი განაცხადეს სააპელაციო საჩივრების მოთხოვნაზე და ითხოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება.

25. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 იანვრის განაჩენით ადვოკატ დ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 28 ივნისის განაჩენი შეიცვალა: თ. კ-ასა და ლ. დ-ეს ამოერიცხათ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი; ლ. დ-ე და თ. კ-ა ცნობილ

იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და თ. კ-ას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე დანიშნული სასჯელი შემცირდა ერთი მეოთხედით და თ. კ-ას საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით პირობითი მსჯავრი, 4 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

26. მსჯავრდებულების – თ. კ-ასა და ლ. დ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. კ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 იანვრის განაჩენის გაუქმებას და თ. კ-ასა და ლ. დ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ. ადვოკატი მიუთითებს, რომ სასამართლოს უნდა გაერკვია:

- რუსეთის ფედერაციაში არსებულ ფირმებთან დადებული ხელშეკრულებები იყო თუ არა რენტაბელური;
- ლ. დ-ეს და თ. კ-ას ჰქონდათ თუ არა უფლებამოსილება, საჩივრით მიემართათ რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლოსათვის;
- 2000 წლის მარტში საიჯარო ხელშეკრულება დადებულია თუ არა ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს სავალდებულო თანხმობის გარეშე;
- არსებობს თუ არა სისხლის სამართლის საქმეში ის მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება განაჩენი;
- რეალურად არსებობს თუ არა ფირმა „ტ-ა ი-ი“ და რეალურად მიაღდა თუ არა მას მატერიალური ზიანი;
- რეალურად გაფორმებული იყო თუ არა საინვესტიციო ხელშეკრულება, მართლაც მიიღეს თუ არა ლ. დ-ემ და თ. კ-ამ 290 000 აშშ დოლარი და რა უტყუარი მტკიცებულებები არსებობს საამისოდ.
- საინვესტიციო თანხის – 290 000 აშშ დოლარის მიღებისა და თაღლითური გზით მითვისების შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტი უნდა სცოდნოდეთ თუ არა ქარხნის იმდროინდელ ხელმძღვანელობას და დაზარალებულებს;
- უნდა ასახულიყო თუ არა 290 000 აშშ დოლარი იმ შედარებით აქტებში, რომლებიც სისტემატურად დგებოდა რეალური ინვესტიციების დასადასტურებლად;
- წარმოადგენენ თუ არა ნდობის ღირს პირებს მონმისა და დაზარალებულის სტატუსით დაკითხული პირები;

27. ადვოკატ დ. კ-ის მითითებით საკასაციო სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს, რამდენად გონივრულ ვადებში ჩატარდა სააპელაციო საჩივრის განხილვა, რომელიც გრძელდებოდა 2005 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში; ხომ არ დარღვეულა ევროპული კონვენციის ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

28. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორი ვ. ვ-ი შესაგებლით ითხოვს საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობას, მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ლ. დ-ისა და თ. კ-ას მიმართ არის კანონიერი. საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი მათ მიერ ჩადენილი დანაშაული. აქედან გამომდინარე, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების კანონიერი საფუძველი, რის გამოც საჩივარი უნდა იქნეს ცნობილი დაუშვებლად.

29. სააქციო საზოგადოება „ლ-ის ქ-ა №... ს-ს“ წარმომადგენელი, ადვოკატი ნ. წ-ე შესაგებლით ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვებას, მიაჩნია, რომ სასამართლომ გააანალიზა ყველა მტკიცებულება და ამის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს ლ. დ-ისა და თ. კ-ას ბრალეულობის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მათ მიერ ჩადენილი დანაშაული, კერძოდ:

3. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მითითება იმის შესახებ, თითქოს სასამართლომ არ გაარკვია რუსეთის ფედერაციაში არსებულ ფირმებთან დადებული ხელშეკრულებები იყო თუ არა რენტაბელური, ასევე ლ. დ-ესა და თ. კ-ას ჰქონდათ თუ არა საარბიტრაჟო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, ვერ გახდება განაჩენის გაუქმების საფუძველი, რადგან სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ თ. კ-ა და ლ. დ-ე აფორმებდნენ არარენტაბე-

ლურ ხელშეკრულებებს ღვინის საბაზრო ფასთან შედარებით ნაკლებ ფასად მიწოდებასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციაში არსებულ სხვადასხვა ფირმასთან. არ აკონტროლებდნენ, ირიცხებოდა, თუ არა იქიდან გამოგზავნილი ღვინომასალის საფასური; მათ არ გაუტარებიათ არც ერთი ღონისძიება, რომ უზრუნველყოთ თანხების გადმორიცხვა. გასათვალისწინებელია, რომ „ს-მა“ ფუნქციონირება შეწყვიტა 2002 წლიდან, ხოლო „რ-მა“ – 2001 წლიდან. ასევე ვერ დადგინდა შპს „ლ-ის“ იურიდიული მისამართი, ვინაიდან მითითებული იყო ყალბი. კერძოდ, თ. კ-ს მიერ 1999 წლის 7 ივლისს რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ შპს „თ-ე ტ-ის“ ცენტრთან გაფორმებული 68/7 ხელშეკრულების თანახმად, სს „ს-ე ლ-ის №... ქარხანას“ 17.09.99 წლის №3532 სავაჭრო დეკლარაციით მყიდველისათვის მიწოდებული აქვს 54 853 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების 32 000 ბოთლი ღვინო. აღნიშნული თანხა საზოგადოებას ერიცხება დებიტორულ დავალიანებად.

4. ლ. დ-ემ 1998 წლის 24 ივლისს მოსკოვის დახურული ტიპის საზოგადოება „კ-ა პ-სთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე სს „ს-ე ლ-ის №... ქარხანას“ 18.02.99 წლის 3059 დეკლარაციით კომპანია „პ-სთვის“ მიწოდებული აქვს 47681.52 ლარის ღირებულების 16300 ბოთლი სხვადასხვა დასახელების ღვინო. აქედან სალაროს შემოსავლის 30.09.99 წლის №211 ორდერით გამყიდველს სალაროში ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი აქვს 10790 ლარი. დებიტორულ დავალიანებად დღემდე ერიცხება 36901.52 ლარი.

ლ. დ-ის მიერ 2001 წლის 30 იანვარს რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული შპს „ს-თან“ გაფორმებული №268/54602681/2538 ხელშეკრულების საფუძველზე სს „ს-ე ლ-ის №... ქარხანას“ 2001 წლის 30 მარტს მყიდველისთვის მიწოდებული აქვს 42988,08 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების 16800 ბოთლი ღვინო. აღნიშნული თანხა საზოგადოებას დღემდე დებიტორულ დავალიანებად ერიცხება.

5. მანვე 2001 წლის 25 სექტემბერს გააფორმა №268/54602681/2538 ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციაში შპს „რ-თან“, რომლის საფუძველზე სს „ს-ე ლ-ის №... ქარხანას“ მყიდველისთვის მიწოდებული აქვს 74491.63 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების 31000 ბოთლი ღვინო. აღნიშნული თანხა საზოგადოებას ერიცხება დებიტორულ დავალიანებად.

6. ამდენად, დაცვის მხარის აპელირება, რომ თ. კ-ა და ლ. დ-ე არ არიან პასუხისმგებლები იმ ზიანზე, რაც ქარხანას მიადგა, საფუძველს მოკლებულია. მით უმეტეს, მათ შეეძლოთ მიემარ-

თათ რუსეთის ფედერაციაში საარბიტრაჟო სასამართლოსათვის და მოეთხოვათ მიღებული ზიანის ანაზღაურება.

7. აღნიშნული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ თითქოს თ. კ-ა და ლ. დ-ე არ იყვნენ პასუხისმგებელი პირები იმ ზიანზე, რაც ქარხანას მიადგა. პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში განაჩენი არის კანონიერი და არ არსებობს საკასაციო საჩივრის გაზიარების საფუძველი.

8. რაც შეეხება 2000 წლის მარტში ლ. დ-ესა და შპს „თ-ს“ დირექტორ თ. კ-ას შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბრალდების ეპიზოდს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილშიც განაჩენი არის კანონიერი შემდეგ გარემოებათა გამო:

9. 2000 წლის მარტში ლ. დ-ესა და შპს „თ-ს“ დირექტორ თ. კ-ას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს „თ-ს“ 25 წლის ვადით გამოეყო ს/ს „ს-ე ლ-ის №... ქარხნის“ ტერიტორიის 150 კვ. მ ფართობი, რომელზედაც ანგარიშსწორება ხდებოდა 1 კვ. მ-ზე 0,40 თეთრის ოდენობით. სულ 60 ლარი თვეში, მაშინ, როდესაც ქონების სააგენტო „ც-რ პ-ის“ ცნობით, 2000-2003 წლებში ვაკე-საბურთალოს რაიონში (ვერეს უბანი), ცენტრალური პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთი კვ. მ. ფართის საშუალო საბაზრო ფასი შეადგენდა 5 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

10. სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის 2004 წლის 3 თებერვლის დასკვნის თანახმად, დადგენილია, რომ ს/ს „.....“ დირექტორ თ. კ-ას 100%-ით კუთვნილ ფირმა „თ-ე“ 25 წლის ვადით ს/ს „.....“ დირექტორ ლ. დ-ის მიერ საწარმოო ფართის გადაცემის ეპიზოდში საწარმოსთვის მიყენებული ზიანის გაანგარიშება უნდა მოხდეს უძრავი ქონების ბირჟის მონაცემებით. დადგენილია, რომ 2003 წლის დეკემბრის მდგომარეობით შპს „თ-ს“ დირექტორ თ. კ-ას ს/ს „.....“ უნდა გადაეხადა 25.500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, რაც იმდროისათვის შეადგენდა 53 550 ლარს. სწორედ ამ ოდენობის თანხით იქნა შემცირებული ს/ს „.....“ შემოსავლები, რის გამოც მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტს დააკლდა 8 282 ლარი, დღგ გადასახადში – 10 700 ლარი, ე.ი. სულ – 18 982 ლარი. ამასთანავე, თავად ქარხანა მოგების მიუღებლობით დაზარალებულია 33 128 ლარით. აღნიშნული გაანგარიშება მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტამდე – 2003 წლის 22 იანვრამდე.

11. პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების ინტერესების დამცველი ეჭვქვეშ აყენებს მსჯავრდებულების მხრიდან

290 000 აშშ დოლარის თაღლითური გზით მითვისების ფაქტს. კასატორი მიიჩნევს, რომ ამ ეპიზოდში არ არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, მით უმეტეს, ვერ დადგინდა რეალურად არსებობს თუ არა ფირმა „ტ-ა ი-ო“, მხარეებს შორის დადებული იყო თუ არა ხელშეკრულება და ამის შესახებ იცოდა თუ არა ქარხნის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ.

12. პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული ამ ეპიზოდში დადგენილია საქმეში არსებული მტკიცებულებებით და მათში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მოიპოვება, კერძოდ: პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განაჩენს იმის თაობაზე, რომ კომპანია „ტ-ა ი-ის“ წარმომავლობის გარკვევა არ წარმოადგენდა სასამართლოს განსჯის საგანს. მით უმეტეს, ამ საკითხის გარკვევა გავლენას ვერ მოახდენდა მსჯავრდებულების ბრალეულობაზე, ვინაიდან მათ მსჯავრი დაედოთ სხვისი ქონების თაღლითური გზით მითვისებისათვის. ეს გარემოება დადგენილია შემდეგი მტკიცებულებებით:

13. 2000 წლის 15 იანვარს №02/2000 საინვესტიციო და საკრედიტო თანხებსა და ფინანსურ გადასახადზე შეთანხმების თანახმად, „ი-ლ ჯ. ვ-ი“, მოქმედებს რა „.....“ და „ი-ლ ჯ-ნ ვ-ს“ შორის 2000 წლის 13 იანვარს დადებული, აქციათა ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, მოიზიდავს ინვესტორებსა და კრედიტორებს „ს-ე ლ-ის №... ქარხნისათვის“ საინვესტიციო თანხებით კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად. კერძოდ, „ი-ი“ ჩადებს ინვესტიციას 1 600 000 აშშ დოლარის ოდენობით. ამავე დროს „.....“ დირექციას შეეძლო ეკონომიკურად დასაბუთებული, მომგებიანი ბიზნეს-გეგმის ან განაცხადის საფუძველზე თავისი შეხედულებისამებრ განეკარგა საინვესტიციო თანხები. აღნიშნულ შეთანხმებას ხელს აწერს ლ. დ-ე.

14. 2000 წლის 16 მარტს №01/8 წერილით სს „.....“ დირექტორი თ. კ-ა მიმართავს მ. უ-ს წერილით, რომლითაც ითხოვს საინვესტიციოდ განსაზღვრული თანხიდან სასაწყობო ბაზის მოსაწყობად 290 000 აშშ დოლარის „თ-ი“ ბანკში არსებულ მათ სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხვას.

15. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა და კომპანია „ტ-ა ი-ის“ დირექტორმა რ. ტ-მა ი. ე-ეს დაავალა 290 000 აშშ დოლარის მიცემა „სს „ს-ე ლ-ის №... ქარხნის“ გენ. დირექტორის – ლ. დ-ისა და შემცვლელი დირექტორის – თ. კ-ასათვის. რის საფუძველიც იყო 2000 წლის 15 იანვარს დადებული №02/2000 შეთანხმება და 2000 წლის 16 მარტის „ს-ე ლ-ის №... ქარხნის“ სს №01/

8 წერილი.

16. 2000 წლის აპრილში „ჯ-ნ პ-რ კ-ის“ დირექტორი გ. რ-ი მიმართავს სს „თ-ის გამგეობის თავმჯდომარე დ. ბ-ეს თხოვნით, რომ ი. ე-ის სახელზე გახსნილი სადეპოზიტო ანგარიში გადატანილიყო ახალ სადეპოზიტო ანგარიშზე ლ. დ-ის სახელზე.

17. 2000 წლის 7 აპრილით დათარიღებული ხელწერილით დასტურდება, რომ ლ. დ-ე და თ-ზ კ-ა ადასტურებენ 2000 წლის 15 თებერვლის შეთანხმებისა და 2000 წლის 16 მარტის №01/8 განცხადების საფუძველზე ბ. ტ-საგან 290 000 აშშ დოლარის ქვეანგარიშების სახით მიღების ფაქტს, სასაწყობო მეურნეობის მოსაწყობად. ამავე წერილის თანახმად, 173 056 აშშ დოლარი ლ. დ-ის მოთხოვნით გადაირიცხა „თ-ის“ საბანკო ანგარიშზე, ხოლო 117 000 აშშ დოლარი კი მიღებულ იქნა ქვეანგარიშგების პირობით. აქვე აღნიშნულია, რომ თანხები სრულად უნდა მოხმარებულიყო სასაწყობო მეურნეობის მოწყობას და უნდა დაფიქსირებულიყო საწარმოს ბუღალტერიაში. ხელწერილს ხელს აწერენ ლ. დ-ე და თ. კ-ა.

18. ქალაქის პროკურატურაში შესული წერილით, ბ. ტ-ი ადასტურებს 2000 წლის 15 იანვარს დადებულ შეთანხმებას „ტ-ა ი-სა“ და სს „.....“ შორის. ასევე ადასტურებს თანხების გადაცემის ფაქტს, კერძოდ, აღნიშნავს, რომ 117 000 აშშ დოლარი გადაეცა თ. კ-ას, ხოლო 173 000 აშშ დოლარი – ლ. დ-ეს. ნაღდი ფული განაწილდა „ს-ეს“ დირექტორების მითითებით, ვინაიდან „ს-ეს“ ანგარიში დაგირავებული ჰქონდა სხვადასხვა კრედიტორს.

19. 2000 წლის 16 მარტის №01/9 წერილით თ. კ-ამ მიმართა „ი-ლ ჯ-ნ ვ-ს“ მ. უ-ს, რომლითაც ითხოვდა საინვესტიციო თანხიდან 60 000 აშშ დოლარის ჩარიცხვას „თ-ი“ ბანკში არსებულ სავალუტო ანგარიშზე, რაც საჭირო იყო ... ქარხნის ტერიტორიაზე ოფისის მოსაწყობად და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, რის ზედამხედველობასაც განახორციელებდნენ ლ. დ-ე და თ. კ-ა.

20. „ი-ლ ჯ-ნ ვ-ის“ კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს-ის სახელზე გაგზავნილ წერილში, რომელსაც სხვებთან ერთად ხელს აწერენ ლ. დ-ე და თ. კ-ა, აღნიშნულია, რომ უგზავნიან ჯამური შედარების აქტს 2,5 მილიონ აშშ დოლარის საინვესტიციო, საკრედიტო ხაზიდან 1 203 821 აშშ დოლარის გამოყენების მიზნობრიობის შესახებ. ამასთან, უგზავნიან ბიზნეს-გეგმას, რომელიც ითვალისწინებს 350 000 აშშ დოლარს საკრედიტო-საინვესტიციო ხაზის გამოყოფისათვის და ითხოვენ აღნიშნული თანხის მოზიდვას.

21. 2001 წლის 5 სექტემბრის №01/64 წერილით სს „.....“ დი-

რექტორმა ლ. დ-ემ შპს „ი-ლ ჯ-ან -ის“ დირექციას აცნობა, რომ 2001 წლის 30 აგვისტოს ჩატარდა დირექტორთა საბჭოს სხდო-  
მა და გაუგზავნა ბიზნეს-გეგმა 350 000 აშშ დოლარის ინვესტი-  
ციის მოზიდვის შესახებ. ასევე გაუგზავნა შედარების აქტი მო-  
ზიდული ინვესტიციის ხარჯვის შესახებ 2001 წლის 25 მაისის  
მდგომარეობით.

22. 2001 წლის 13 დეკემბრის №01/127 წერილით, „ი-ლ ჯ-ნ ვ-  
ს“ – ბ. ტ-ს ლ. დ-ემ და თ. კ-ამ მიმართეს თხოვნით, რომ მათ  
შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე საკრედიტო-  
საინვესტიციოდ მოზიდული 2, 3 მილიონი აშშ დოლარიდან ჩა-  
რიცხვით ან ნალდი ანგარიშსწორებით უზრუნველყოფნა 30 000  
აშშ დოლარის მიწოდება, რაც საჭიროა ქარხნის კეთილდღეო-  
ბისათვის.

23. თ. კ-ას მიერ ნალდი ანგარიშსწორებით 117 000 აშშ დო-  
ლარის ორჯერ მიღების ფაქტი და ლ. დ-ის მიერ საბანკო გადა-  
რიცხვით 173 000 აშშ დოლარის მიღების ფაქტი ასევე დადას-  
ტურებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ  
მონმეთა: ი. ე-ის, თ. ბ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ის ჩვენებებით, მათ ჩვე-  
ნებებში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. ასევე დად-  
გენილია, რომ 290 000 აშშ დოლარი არ არის აღრიცხული სს „ს-ე  
ლ-ის №... ქარხანაში“.

24. 2003 წლის 3 დეკემბრის ხელწერის კრიმინალური ექსპერ-  
ტიზის №-/- დასკვნის თანახმად დადგენილია, რომ ხელმოწე-  
რები 2000 წლის 7 აპრილით დათარიღებულ ხელწერილზე შეს-  
რულებულია ლ. დ-ის და თ. კ-ას მიერ. მათ მიერვეა შესრულე-  
ბული ხელმოწერები 2001 წლის 13 დეკემბრით დათარიღებულ  
წერილზე. ნ. ს-ის სახელზე გაგზავნილ და 2000 წლის 16 მარტის  
№-/- წერილზე ხელმოწერები შესრულებულია თ. კ-ას მიერ. 2001  
წლის 5 სექტემბრის წერილზე არსებული ხელმოწერა შესრუ-  
ლებულია ლ. დ-ის მიერ, რაც ცხადყოფს, რომ ორივე ურთიერ-  
თობის შესახებ თავიდანვე იყვნენ ინფორმირებული და ჩარ-  
თულნი.

25. ყველა ზემოთ მითითებული მტკიცებულებიდან გამომ-  
დინარე უტყუარადაა დადგენილი და აკმაყოფილებს გონივრულ  
ეჭვს მიღმა სტანდარტს, რომელიც დაარწმუნებდა ობიექტურ  
პირს, რომ თ. კ-ამ და ლ. დ-ემ თაღლითურად მიითვისეს 290 000  
აშშ დოლარი.

26. პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე დაკითხული მონმეები-  
სა და დაზარალებულების სტატუსით დაკითხული პირების ჩვე-  
ნებები არის ნდობის ღირსი, მათი ჩვენებები გამომდინარეობს  
საქმეში არსებული მასალებიდან და მათში ეჭვის შეტანის სა-



ფუძველი საკასაციო პალატას არ გააჩნია.

27. პალატა ეთანხმება დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მითითებას იმის შესახებ, რომ შეფასდეს გონივრული ვადის დაცვის მოთხოვნები სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების პროცესში. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის ჯეროვნად წარმოება, გაჭიანურების გარეშე. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლის მიხედვით, უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმეში არსებული გარემოებების მიხედვით (*Frydlender v. France* [GC], § 43), რომელსაც შეიძლება ასევე დასჭირდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოების მთლიანობაში შეფასება (*Obermeier v. Austria*, § 72; *Comingersoll S.A. v. Portugal* [GC], § 23).

28. სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. ამ შემთხვევაში ნიშანდობლივია სისხლის სამართლის საქმის სირთულე, ასევე ბრალდებულების, დაზარალებულისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების ქმედება და ის, თუ რა იყო რისკის ქვეშ ბრალდებულებისათვის (მსჯავრდებულებისათვის) ამ საქმეში (*Comingersoll S.A. v. Portugal* [GC]; *Frydlender v. France* [GC], § 43; *Sürmeli v. Germany* [GC], § 128). შესაფასებელია მართლმსაჯულების ორგანოს – სააპელაციო სასამართლოს მოქმედებები.

29. სისხლის სამართლის საქმის კომპლექსურობა, რომელიც უკავშირდება როგორც ფაქტებს, ასევე სამართლებრივ შეფასებებს (*Katte Klitsche de la Grange v. Italy*, § 55; *Papachelas v. Greece* [GC] § 39), მოცემულ საქმეში არ არის არასტანდარტული, არ გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული სისხლის სამართლის საქმე არის მრავალტომიანი, მრავალეპიზოდური და შინაარსით – სპეციფიკური. თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველი საქმე მსჯავრდებულების სააპელაციო საჩივრების საფუძველზე სამართალწარმოების კომპლექსურობის, ან სხვა პროცესუალური კუთხით სირთულეს არ წარმოადგენდა. ამდენად, აღნიშნულით ვერ აიხსნება სისხლის სამართლის საქმის განხილვის ხანგრძლივობა (*Tierce v. San Marino*, § 31). ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სააპელაციო საჩივარი და საქმე სხვადასხვა დროს განსახილველად გადაცემული ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს ექვს სხვადასხვა შემადგენლობას.

30. საქმის განხილვის გაჭიანურება გარკვეულწილად გამოინვია საქმეში მონაწილე სახელმწიფო ბრალმდებელთა ცვლამ, კერძოდ, სახელმწიფო ბრალდებას სხვადასხვა დროს მხარს უჭერდა ცამეტი პროკურორი, რომლებსაც საქმის გაცნობისა და სასამართლო პროცესზე მონაწილეობისათვის სჭირდებოდათ გარკვეული დრო. მით უმეტეს, საქმე მრავალეპიზოდური და შინაარსით – სპეციფიკურია. სამართალწარმოების მხარის მოუმზადებლობას, წარმოედგინა ბრალდების არგუმენტები სასამართლო პროცესის ხშირად გადადების გამო, გავლენა ჰქონდა მთლიანად სისხლის სამართლის სამართალწარმოების პროცესის გაჭიანურებაზე, თუმცა, მხოლოდ ეს გავლენა გადამწყვეტი არ ყოფილა (*Vernillo v. France*, §34).

31. საქმის განხილვის გაჭიანურება გამოინვია ასევე მსჯავრდებულთა და მათი ადვოკატის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობამ. სისხლის სამართლის საქმის განხილვა არაერთხელ გადაიდო თავად მსჯავრდებულ ლ. დ-ის ავადმყოფობის, ასევე მისი და მისი ადვოკატის – დ. კ-ის საპატიო თუ არასაპატიო მიზეზებით გამოუცხადებლობის გამოც. სამართალწარმოების ბოლო ეტაპზე კი მსჯავრდებულ ლ. დ-ე სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენამდე გარდაიცვალა.

32. ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლი არ ავალდებულებს მსჯავრდებულებს, აქტიურად ითანამშრომლონ სასამართლო ორგანოებთან და ასევე, არ შეიძლება მათ დაეკისროთ პასუხისმგებლობა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელმისაწვდომი სამართლებრივი საშუალების გამოყენებისათვის (*Erkner and Hofauer v. Austria*, § 68). მაგრამ მათ მოეთხოვებათ, რომ გამოეჩინათ გულმოდგინება მათთან დაკავშირებული პროცედურული ზომების განხორციელების დროს, თავი შეეკავებინათ ისეთი ტაქტიკისგან, რომელიც გააჭიანურებდა საქმეს და გამოეყენებინათ შიდასახელმწიფოებრივი სამართლით ნებადართული საშუალებები სამართალწარმოების ვადების შემცირებისათვის (*Unión Alimentaria Sanders S.A. v. Spain*, § 35). ამასთან, მხედველობაშია მისაღები ობიექტური ფაქტების არსებობა, საკასაციო საჩივრის ავტორების (მსჯავრდებულებისა და მათი დამცველის) პროცესებზე გამოუცხადებლობის შემთხვევები, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყო სხვადასხვა მოსაპოვებელ ინფორმაციასა და დაცვის სხვა საპროცესო ღონისძიებებთან (*Humen v. Poland [GC]* § 63), რათა ვიმსჯელოთ ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლით გათვალისწინებულ გონივრული ვადის გადაჭარბებაზე. (*Poiss v. Austria*, § 57; *Wiesinger v. Austria*, § 57; *Humen v. Poland [GC]*, § 66).

(Koenig v. Germany, §103).

33. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც სასამართლო შემადგენლობის ხშირმა ცვლამ, ასევე მხარეთა საპატიო თუ არასაპატიო მიზეზებით სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობამ, სააპელაციო სასამართლოში განაპირობა სისხლის სამართლის საქმის განხილვის დიდი ხნით გაჭიანურება. თუმცა, ამ გარემოებას დასაბუთებული და კანონიერი განაჩენის დადგენაზე გავლენა არ მოუხდენია.

34. სისხლის სამართლის საქმეზე ზემოაღნიშნულ ყველა გარემოებათა გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის გაჭიანურება (დაახლოებით 10 წლის განმავლობაში) არ წარმოადგენს ამ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი დასაბუთებული და კანონიერი განაჩენის გაუქმების საფუძველს. ამასთან, პალატას მიაჩნია, რომ ეს გარემოება არის განსჯისა და შეფასების ღირსი, რათა გათვალისწინებულ იქნეს სასამართლოს შემდგომ საქმიანობაში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 552-ე მუხლით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულების – ლ. დ-ისა და თ. კ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. მტკიცებულება**

#### **მტკიცებულებათა მოპოვება, რომლებიც გამამტყუნებელი განაჩენის გამომტანის საფუძველი უნდა გამსდარიყო, განხორციელდა კანონის არსებითი დარღვევით**

#### **განაჩენი საქართველოს სახელით**

№251აპ-16

26 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შაველიაშვილი**

განიხილა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პრო-  
კურობის პროკურორ თინათინ ჭურღულიას საკაცაციო საჩი-  
ვარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გ. ზ-ს, გ.  
ქ-ს, ი. ტ-სა და თ. პ-ს ბრალი დაედოთ შემდეგი დანაშაულის ჩა-  
დენაში:

2. 2014 წლის 12 დეკემბერს, დაახლოებით 23:50 საათზე, გ.  
ზ-მ, გ. ქ-მ და ი. ტ-მ, რომლებიც თ. პ-სთან ერთად ისხდნენ ტაქ-  
სის მძღოლ ზ. ბ-ს მიერ მართულ „ოპელ ვექტრას“ მოდელის ავ-  
ტომანქანაში, სანომრე ნიშნით .., წინასწარი შეთანხმებით, სი-  
ცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით გას-  
ტაცეს მას ფულადი თანხა 25 ლარის ოდენობით; ავტომანქანის  
მაგნიტოფონი მონიტორით; „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტე-  
ლეფონი, მასში მოთავსებული სიმბარათით ..; „ოსრამის“ ფირ-  
მის მრგვალი ფორმის ფარანი; ვერცხლისფერი ჯაჭვი, სუვენირ-  
ული ხანჯალი თავისი ქარქაშით და „ორიენტის“ ფირმის საა-  
თი. აღნიშნულის შემდეგ გ. ქ-მ მუქარით აიძულა ზ. ბ-ა, რომ  
გაეხადა რუხი ფერის უმკლავებო ე.წ. „დუტის“ ქურთუკი და მო-  
ესხნა ავტომანქანის მაგნიტოფონის ორი ხმის გამაძლიერებე-  
ლი. ვინაიდან ზ. ბ-ა განიცდიდა სიცოცხლის მოსპობისა და ჯან-

მრთელობის დაზიანების რეალურ საფრთხეს, შეასრულა მოთხოვნა და გაიხადა ქურთუკი, რომელიც ჩაიცვა ი. ტ-მ, ასევე თვითონ მოხსნა ხმის გამაძლიერებლები და გადასცა გ. ქ-ს. ამის შემდეგ მათ გახსნეს ავტომანქანის საბარგული, საიდანაც გაიტაცეს ჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო ავტომანქანის ქანჩები და სათადარიგო ნაწილები. დასახელებული ნივთები გ. ქ-მ, გ. ზ-მ და ი. ტ-მ გაინაწილეს ერთმანეთში და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს. აღნიშნული ქმედებით დაზარალებულ ზ. ბ-ს მიადგა როგორც მორალური, ასევე ქონებრივი ზიანი – 700 ლარის ოდენობით.

3. 2014 წლის 13 დეკემბერს, ღამის საათებში, გ. ქ-ე და არასრულწლოვანი ი. ტ-ა წინასწარი შეთანხმებით, ფარულად დაეუფლნენ თბილისში, ... მე-... კვარტლის მე-... კორპუსის მიმდებარედ გაჩერებული „ტოიოტას“ მოდელის ავტომანქანის, საწომრე ნიშნით .., წინა, მარჯვენა კარზე დამაგრებულ უკანა ხედვის სარკეს. ასევე ჩაამტვრიეს მარჯვენა კარის მინა და ავტომანქანის სალონიდან ფარულად დაეუფლნენ შავი ფერის ჩანთას, რომელშიც იდო სამედიცინო დახმარების საშუალებები და სათვალის ორი ნაჭრის ჩასადები. მასში მოთავსებული იყო ორი ვერცხლის ბეჭედი, ვერცხლისფერი ე.წ. „ბრასლეტი“ თვლებით, მძივი და მამაკაცის ორი სათვალე, რაც გაინაწილეს ერთმანეთში და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს. აღნიშნული ქმედებით დაზარალებულ ხ. მ-ს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი – 350 ლარის ოდენობით.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 სექტემბრის განაჩენით გ. ზ-ი, – დაზადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

5. გ. ქ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

6. გ. ქ-ე, – დაზადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2014 წლის 13 დეკემბრიდან.

7. ი. ტ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

8. ი. ტ-ა, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც არასრულწლოვანთა მართლსაჯულების კოდექსის მე-3 ნაწილის (სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილი) საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 3 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 13 დეკემბრიდან.

9. თ. პ-ე, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში. მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა.

10. სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ნივთმტკიცებები: ორმაგი „სკოჩი“, მაჯის საათი, ვერცხლის ჯაჭვი, ხანჯალი, უმკლავებო ქურთუკი, ფარანი, ა/მანქანა „ტოიოტას“ უკანა ხედვის სარკე, მანქანა „მერსედესის“ აფთიაქი, ე.წ. „ბრას-ლეტი“, მეფე ნიკოლოზის გამოსახულებიანი ოქროსფერი ბეჭედი, რეიზანის სათვალე, პოლოს სათვალე, ვერცხლისფერი, შავ-თვლიანი ბეჭედი უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. მინის ნატეხები, გ. ზ-ს სუნის ნიმუში, გ. ზ-ს თმის ნიმუში, გ. ქ-ს თმის ნიმუში, გ. ქ-ს სუნის ნიმუში, ი. ტ-ს თმის ნიმუში, ი. ტ-ს სუნის ნიმუში, თ. პ-ს თმის ნიმუში, თ. პ-ს სუნის ნიმუში, „ოპელ ვექტრადან“ ამოღებული მიკრონაწილაკების ნიმუშები, სუნის ნიმუში „ოპელ ვექტრადან“, „ტოიოტადან“ აღებული სუნის ნიმუში, „ტოიოტადან“ აღებული მიკრონაწილაკები, ხოლო ბრალდებულ ი. ტ-ს, თ. პ-ს, გ. ქ-სა და გ. ზ-საგან აღებული ხელის კვლევის ნიმუშები, რომლებიც ინახება შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ერთიან ბაზაში უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. გ. ზ-ს ტანსაცმელი, გ. ქ-ს ტანსაცმელი, ი. ტ-ს ტანსაცმელი, თ. პ-ს ტანსაცმელი უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

11. გამართლებულებს – გ. ზ-სა და თ. პ-ს განემართათ საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

12. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარ-

ტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

13. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორი თინათინ ჭურღულია საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ თ. პ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით და განესაზღვროს შესაბამისი სასჯელი; ი. ტ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და განესაზღვროს შესაბამისი სასჯელი; გ. ზ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და განესაზღვროს შესაბამისი სასჯელი; გ. ქ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით და განესაზღვროს შესაბამისი სასჯელი.

14. საკასაციო პალატის სხდომაზე თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თინათინ ჭურღულიამ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

15. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ი. ტ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ს. კ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განაჩენის უცვლელად დატოვება. ამასთან, ადვოკატმა იშუამდგომლა, რომ მსჯავრდებულ ი. ტ-ს მიმართ სასამართლოს ეხელმძღვანელა ჰუმანიზმის პრინციპებით, რასაც მხარი დაუჭირეს მსჯავრდებულმა ი. ტ-მ და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა – ზ. ტ-მ.

16. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა გ. ქ-მ იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განაჩენის უცვლელად დატოვება.

17. საკასაციო პალატის სხდომაზე გამართლებულ გ. ზ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ნ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განაჩენის უცვლელად დატოვება.

18. საკასაციო პალატის სხდომაზე გამართლებულ თ. პ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა მოსაზრებები, გააანალიზა საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ თინათინ ქურდულიას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულების – გ. ქ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და ი. ტ-ს მიერ – სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა დასტურდება საქმეზე შეკრებილი აშკარა, დამაჯერებელი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ:

3. მოწმე ა. მ-ს ჩვენებით, იგი ფლობს ავტომანქანა „ტოიოტას“, სანომრე ნიშნით .., რომელიც იურიდიულად გაფორმებულია მისი მეუღლის – ხ. მ-ს სახელზე. 2014 წლის 13 დეკემბერს, შუადამისას დაუკავშირდნენ პოლიციის თანამშრომლები და აცნობეს, რომ მისი ავტომანქანის შუშა იყო ჩამტვრეული, ხოლო სარკე – მოგლეჯილი. იგი ჩავიდა და აღმოაჩინა, რომ ავტომანქანას ჩამსხვრეული ჰქონდა წინა მარჯვენა შუშა, ასევე მოგლეჯილი იყო წინა მარჯვენა სარკე, ხოლო წაღებული – შავი ფერის ჩანთა, რომელშიც ინახავდა ავტომანქანის აფთიაქს, ასევე წაღებული იყო ორი ცალი ვერცხლის ბეჭედი, ერთ-ერთი მოოქროვილი, ნ. რ-ს გამოსახულებით, მეორე – გიშრისთვლიანი, ასევე მწვანე ფერის მძივი და ორი სათვალე, ასევე, მთლიანად დაზიანებული იყო ავტომანქანის მაგნიტოფონი. მისი განმარტებით, მან მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო მოქმედება – ამოცნობაში. ამოცნო ავტომანქანის სარკე, რომელსაც ეწერა მანქანის მარკა, ასევე ამოცნო ისეთი ინდივიდუალური ნიშნით, როგორიც არის მისი სარკის მოტეხილი ნაწილი, რომელიც ზუსტად ესადაგებოდა მანქანაზე დარჩენილ მოტეხილ ნაწილს.

4. 2014 წლის 13 დეკემბრის ი. ტ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ავტომობილის პატარა ზომის შავი ფერის ჩანთა, რომელსაც ლათი-



ნური ასოებით ეწერა „MERSEDES BENZ“. ჩანთაში მოთავსებული იყო პოლიეთილენის პაკეტებში პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები, ასევე ამოიღეს ავტომანქანის გვერდითა ხედვის მარჯვენა სარკე, ვერცხლისფერ პლასტმასის ჩარჩოში, რომელსაც ქვედა მხარეს ჰქონდა შავი ფერის სამაგრი, კორპუსზე მიმაგრებული სამი ჭანჭიკით. სამაგრს აღენიშნებოდა მექანიკური დაზიანების აშკარა კვალი. სარკის კორპუსის ქვედა მხარეს ლათინური ასოებით ამოტვიფრული იყო წარწერა „ტოიოტა“. იმავე ჯიბეში ბრალდებულ ტ-ს აღმოაჩნდა სათვალის ნაცრისფერი ჩასადები, შავი ფერის მრგვალი ორნამენტებით, რომელშიც მოთავსებული იყო მუქი ფერის ჩარჩოიანი მზის სათვალე და სხვა ნივთები.

5. 2014 წლის 13 დეკემბრის გ. ქ-ს დაკავებისა და პირადი ჩრეკის ოქმის თანახმად, მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს სათვალის ნაცრისფერი ჩასადები, მასში მოთავსებული ორი ბეჭდით, ასევე ვერცხლისფერი მეტალის ე.წ. „ბრასლეტი“, რომელზეც მიმაგრებული იყო მედალიონი ლეთისმშობლის გამოსახულებით, განყოფილი ვერცხლისფერი მეტალის ორნამენტებითა და მომწვანო ფერის მრგვალი ფორმის თვლებით.

6. 1-ლი ინსტანციის სასამართლოში დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმების სისწორე დაადასტურეს მოწმეებმა – პ. ჯ-მ, შ. კ-მ, რ. ქ-მ და ლ. ფ-მ.

7. 2014 წლის 30 დეკემბრის ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და ექსპერტ გ. ტ-ს ჩვენებით, 2014 წლის 13 დეკემბერს, თბილისში, ... დასახლებაში მე-... კვარტლის კორპუსი ...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტომანქანა „ტოიოტას“ სახ. ნომრით ...-ის გაქურდვის ფაქტთან დაკავშირებით, ავტომანქანის წინა მარჯვენა და წინა მარცხენა სავარძლებიდან აღებული სუნის კვალის 2(ორი) ნიმუში იდენტიურია ი. ტ-სა და გ. ქ-სგან აღებული სუნის კვალის ნიმუშებისა.

8. 2015 წლის 19 თებერვლის ნივთის ამოცნობის ოქმით, ა. ვ-ს წარედგინა ავტომანქანის უკანა ხედვის 3 სარკე და მან ამოიციწო მარჯვნიდან მარცხნივ, მესამე ადგილას განთავსებული ავტომანქანა „ტოიოტას“ მარჯვენა ხედვის სარკე, რომელიც 2014 წლის 13 დეკემბერს მოტეხეს და მოიპარეს მისი ავტომანქანიდან.

9. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტ ნ. ქ-ს ჩვენებით, მან გასცა დასკვნა, რითაც დაადგინა ავტომანქანა „ტოიოტა კლავია“ სანომრე ნიშნით ....., მარჯვენა უკანა ხედვის სარკის ქურდობით მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობა. კერძოდ, წინა მარჯვენა კარის მოძრავი მინის საბაზ-

რო ღირებულებამ, აღდგენითი სამუშაოების გათვალისწინებით, შეადგინა – 60 ლარი, ხოლო წინა მარჯვენა კარზე განთავსებული უკანა ხედვის სარკის საბაზრო ღირებულებამ, აღდგენითი სამუშაოების გათვალისწინებით, შეადგინა – 80 ლარი.

10. ამასთან, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს გ. ზ-სა და გ. ქ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, ხოლო ი. ტ-ს – სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულობის თაობაზე და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა უტყუარ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა გ. ზ-ს, გ. ქ-სა და ი. ტ-ს მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას.

11. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სახელმწიფო ბრალმდებლის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არის დადასტურებული გ. ზ-ს, გ. ქ-ს, ი. ტ-სა და თ. პ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება.

12. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ცალკეული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და მოპოვებული მტკიცებულებების საპროცესო დამაგრება განხორციელდა კანონის არსებით მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, დაზარალებულ ზ. ბ-ს კუთვნილი ავტომანქანის – „ოპელ ვექტრას“ სახ. ნომრით ... – დათვალიერება ჩატარდა 2014 წლის 13 დეკემბერს, 01:57 საათიდან და 03:55 საათამდე დროის შუალედში. დათვალიერების ოქმში მითითებულია, რომ თითქოს დაზარალებულმა წერილობითი თანხმობა განაცხადა ავტომანქანის დათვალიერებაზე, რაზედაც ეს უკანასკნელი აწერს ხელს, თუმცა საგამოძიებო მოქმედებაზე დაზარალებულის წერილობითი თანხმობა საქმეში არ მოიპოვება.

13. 1-ლი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულ ზ. ბ-ს მიერ მიცემული განმარტებით, ის ავტომანქანის დათვალიერებას არ დასწრებია, ასევე, იმ დღეს, გარდა მისი დაკითხვისა, სხვა რაიმე დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია და ჩვენების მიცემის დროს გამომძიებელს მისთვის სხვა დოკუმენტი არ უჩვენებია. ამასთან, დაზარალებულის დაკითხვა პოლიციის განყოფილებაში ჩატარდა 2014 წლის 13 დეკემბერს, 01:00 საათიდან 02:00 საათამდე, ანუ იმ მომენტში, როდესაც შემთხვევის ადგილზე მიმდინარეობდა ავტომანქანის დათვალიერება. სა-

სამართლოში საქმის გამომძიებელმა გ. მ-მ მიუთითა, რომ ავტომანქანის დათვალიერებას დაზარალებული არ დასწრებია და მისგან ზეპირი თანხმობა ჰქონდა მიღებული, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება სასამართლოში ექსპერტების მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომლის მიხედვით, ავტომანქანის დათვალიერება დაზარალებულის თანდასწრებით მიმდინარეობდა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაზარალებულ ზ. ბ-ს ავტომანქანის დათვალიერების ოქმი შედგენილია საქართველოს სსსკ-ის 125-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის არსებითი დარღვევით და იგი გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედება.

14. 2014 წლის 13 დეკემბრის 01:57 საათიდან 03:55 საათში, ექსპერტების მონაწილეობით განხორციელდა ავტომანქანა „ოპელ-ვექტრას“ სახ. ნომრით ... დათვალიერება, რა დროსაც აღებულ იქნა სუნისა და ხელის თითის კვლების ნიმუშები, ასევე ავტომანქანის სავარძლის ზედაპირიდან, საზურგიდან და თავის საყრდენებიდან აღებულ იქნა მიკრონაწილაკების ნიმუშები, რომლებიც შეიფუთა ცალ-ცალკე სამ ფუთად, დაილუქა და გაკეთდა შესაბამისი ხელმოწერები. აღებულ ნიმუშებზე ჩატარდა ოდოროლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზები. 2014 წლის 30 დეკემბრის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულ ზ. ბ-ს ავტომანქანის წინა მარცხენა კარის ჩარჩოს გარეთა ზედაპირიდან ამოღებული ხელის გულის კვალი იდენტიურია გ. ქ-ს მარცხენა ხელის გულის ანაბეჭდის ნიმუშისა. 2014 წლის 30 დეკემბრის ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულ ზ. ბ-ს ავტომანქანის წინა მარჯვენა, უკანა სავარძლის შუა ნაწილზე და უკანა მარცხენა სავარძლიდან ამოღებული ოთხი სუნის კვალის ნიმუში იდენტიურია თ. პ-ს, ი. ტ-ს, გ. ქ-სა და გ. ზ-საგან აღებული სუნის კვალის ნიმუშებისა.

15. საქართველოს სსკ-ის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

16. ამდენად, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენს და მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ავტომანქანის დათვალიერება ჩატარდა საქართველოს სსსკ-ის 125-ე მუხლის არსებითი დარღვევით, ამ საგამოძიებო მოქმედების დროს ამოღებული სუნი-

სა და ხელის თითის კვლების ნიმუშების საფუძველზე მოპოვებული ოდოროლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები, როგორც მტკიცებულებები, გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედება.

17. 2014 წლის 13 დეკემბრის ი. ტ-ს დაკავების ოქმის მიხედვით, იგი დაკავებულია 00:25 საათზე. დაკავებისას ი. ტ-ს ეცვა მამაკაცის „დუტის“ ყილეტი, რომელსაც აქვს ორმხრივი ჯიბეები, ხოლო რაიმე წარწერა ან ორნამენტი არ გააჩნია. აღნიშნული ყილეტი ამოიღო და დალუქა გამომძიებელმა.

18. 2014 წლის 13 დეკემბრის გ. ქ-ს დაკავების ოქმის მიხედვით, იგი დაკავებულია 00:25 საათზე. დაკავებისას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა და ამოღებულია ხანჯლის ფორმის პატარა ზომის დანა, ვერცხლისფერი მეტალის ქარქაშით, შავი ფერის პლასტმასის ტარით, ასევე, ვერცხლისფერი მეტალის საათი დაზიანებული სამაჯურით, საათის კორპუსის უკანა მხარეს ლათინური წარწერით „ORIENT“.

19. 2014 წლის 13 დეკემბრის გ. ზ-ს დაკავების ოქმის მიხედვით, იგი დაკავებულია 05:02 საათზე, მის ფაქტობრივ საცხოვრებელ სახლში, მდებარე თბილისში,..... ქუჩის №...-ში.

20. გ. ზ-ს ბინის ჩხრეკის ოქმის მიხედვით, საგამომძიებო მოქმედება ჩატარებულია 2014 წლის 13 დეკემბრის 06:00 საათიდან 06:30 საათამდე დროის შუალედში, მ. დ-ს საცხოვრებელ სახლში, მდებარე თბილისში, ... ქუჩის №...-ში. ჩხრეკის შედეგად, საძინებელ ოთახში არსებული კარადის მარჯვენა მადლიდან პირველი უჯრიდან ამოღებულია ვერცხლისფერი სამნათურიანი ფარანი, წარწერით „OSRAM DOT it TM“. ფარანს კორპუსზე აღენიშნება დაზიანების კვალი.

21. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, ამოღებულ ნივთებსა და საგნებზე გამოძიების პროცესში ამოცნობები ჩატარდა კანონის არსებითი დარღვევით და, შესაბამისად, ამოცნობის ოქმები გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედება.

22. საქართველოს სსსკ-ის 131-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამომცნობს ამოსაცნობი ობიექტი უნდა წარედგინოს არანაკლებ ორ სხვა, ერთგვაროვან საგანთან ერთად. საგნის ერთგვაროვნება დამოკიდებულია იმ კონკრეტულ ნიშან-თვისებაზე, რომლითაც ის ამომცნობმა პირმა უნდა განასხვავოს სხვა, გვარეობითად მსგავსი ნივთისაგან.

23. ფარნის ამოცნობის ოქმით დგინდება, რომ დაზარალებულს ამოსაცნობად წარედგინა გარეგნული ფორმით მკვეთრად განსხვავებული, მრგვალი, ცილინდრული და ოთხკუთხედი

ფორმის ფარნები, რაც, თავის მხრივ, არ შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვაროვან ნივთებად. ანალოგიური დარღვევით არის ჩატარებული ქარქაშიანი სუვენირული ხანჯლის ამოცნობა, რა დროსაც დაზარალებულს მასთან ერთად წარედგინა რადიკალურად განსხვავებული, ორი უქარქაშო ხანჯალი.

24. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს შეფასებას და აღნიშნავს, რომ ამ ორ შემთხვევაში ასეთი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს მინიშნებად საგნის ამომცნობი პირისთვის. ანალოგიური დარღვევით ჩატარდა ქურთუკის ამოცნობაც. დაზარალებულ ზ. ბ-ს ორმხრივად ჩასაცემელ ე.წ „დუტის“ ჟილეტთან ერთად ამოსაცნობად წარედგინა ორი ცალმხრივად ჩასაცემელი შავი ფერის „დუტის“ ჟილეტი და რუხი ფერის „დუტის“ ქურთუკი.

25. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არასწორად არის შედგენილი მაჯის საათის ამოცნობის ოქმი. დაზარალებულის მიერ ამოცნობილი მაჯის საათი, განლაგების მიხედვით, არ შეესაბამება მის მიერ გადმოცემულ ფაქტობრივ აღწერილობას. კერძოდ, ოქმში მითითებულია, რომ ზ. ბ-მ ამოიცნო მისგან მარჯვნიდან მარცხნივ, მეორე ადგილზე დადებული საათი, მაშინ, როდესაც მის მიერ ამოცნობილი საათი ოქმში მითითებულია პირველ ადგილზე.

26. 1-ლი ინსტანციის სასამართლოში გამომძიებელმა გ. მ-მ აღნიშნული დარღვევები „ახსნა“ იმ გარემოებით, რომ ოქმის სისწორეში დარწმუნებული იყო და შედგენის შემდეგ არ ნაუკითხავს და ისე მოაწერა ხელი.

27. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა მოპოვება და დამაგრება განხორციელდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და მიაჩნია, რომ აღნიშნულ მტკიცებულებათა მოპოვება, რომლებიც დაზარალებულის ჩვენებასთან ერთად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი უნდა გამხდარიყო, განხორციელდა კანონის არსებითი დარღვევით.

28. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნე-

ბელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საქირთა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

29. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარეს არ მოუპოვებია უტყუარ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა გ. ზ-ს, გ. ქ-სა და ი. ტ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობის დროს, დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულება უნდა არსებობდეს. მოცემულ შემთხვევაში რჩება მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება – დაზარალებულ ზ. ბ-ს ჩვენება, რომლითაც დასტურდება მისი დაყარალების ფაქტი და ისიც ამხელს მხოლოდ გ. ქ-სა და ი. ტ-ს. მხოლოდ ერთი პირის ჩვენება კი არ შეიძლება დაედოს პირის მსჯავრდებასა და გამამტყუნებელ განაჩენს. რაც შეეხება 1-ლი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული სხვა მონაშემების – რ. ქ-ს, ჯ. ხ-ს, ლ. ფ-ს, პ. ჯ-სა და შ. კ-ს ჩვენებებს, აღნიშნული ჩვენებებით დასტურდება მათ მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ფაქტი.

30. რაც შეეხება თ. პ-ს მიმართ ბრალდებას, როდესაც სახეზე არ გვაქვს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა გ. ზ-ს, გ. ქ-სა და ი. ტ-ს ბრალეულობას ყაჩაღობის ჩადენაში, ასეთ შემთხვევაში, თ. პ-ს ქმედებაში საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არსებობა გამორიცხულია.

31. რაც შეეხება დანიშნული სასჯელის ზომას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ქ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

32. მსჯავრდებულ ი. ტ-ს მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განაჩენით (რომლითაც ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით) 4 წლითა და 6 თვით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 3 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, უნდა შეიცვალოს, კერძოდ: სასჯე-

ლის გამოყენების პრინციპების გათვალისწინებით, ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) მე-40 მუხლის მე-4 პუნქტისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესების) მე-5 და 17.1 წესის შესაბამისად, მსჯავრდებულ ი. ტ-ს ასაკის გათვალისწინებითა და მისი რეინტეგრაციისათვის ხელშეწყობის მიზნით, მის მიერ სავარაუდო კონტრუქციული როლის შესრულებით საზოგადოებაში უნდა განხორციელდეს სასჯელის ეფექტური ფორმის გამოყენება და საპატიმრო სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა ი. ტ-ს მიმართ უნდა შეიცვალოს ისეთი შესაბამისი ზემოქმედების ღონისძიებით, როგორცაა პირობითი მსჯავრი.

33. ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) 37-ე (ბ) მუხლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები, გენერალური ასამბლეა, №40/30 რეზოლუცია, 1985 წ, წესი 17.1 (ბ) და (გ)) მოთხოვნით, თავისუფლების შემზღუდავი სასჯელის გამოყენება მძიმე დანაშაულის არაერთჯერადად ჩადენის შემთხვევაშია შესაძლებელი, ასევე, როცა არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ღონისძიება.

34. როგორც აღვნიშნეთ, ი. ტ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით იქნა მსჯავრდებული საპატიმრო სასჯელით. ამასთან, საპატიმრო სასჯელის – ვადიანი თავისუფლების აღკვეთის (3 წელი, 4 თვე და 15 დღე) მოხდა მსჯავრდებულს დაეწყო 2014 წლის 13 დეკემბრიდან და დღეისათვის მოხდილი აქვს სასჯელის მნიშვნელოვანი (დაახლოებით 1 წელი და 7 თვე) ნაწილი. აღნიშნული პერიოდი – ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მოხდისა – საკმარისია ი. ტ-ს საჭიროებებიდან გამომდინარე, რათა საპატიმრო სასჯელით განხორციელდეს შესაბამისი ინტერვენცია.

35. ამდენად, სასამართლოს მიერ არასრულწლოვნისათვის განსაზღვრული ვადიანი თავისუფლების აღკვეთის – 3 წლის, 4 თვისა და 15 დღის მოხდა აღემატება ი. ტ-ს საჭიროებებიდან გამომდინარე განსახორციელებელ ინტერვენციას და დანიშნული საპატიმრო სასჯელის მოხდა არ უნდა გაგრძელდეს თავისუფლების აღკვეთის სახით.

36. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვან ი. ტ-ს საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, სასჯელის დანიშნვისას სასამართლოში წარმოდგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მონაცემებით: ხასიათდება დადებითად, დანაშაულის ჩადენამდე არ ყოფილა შემჩნეული ცუდ საქციელში; ოჯახური გარემო დადებითია, მშობლები მისთვის წარმოადგენენ ავტორიტეტს, მათ მიმართ ამყლავნებს პატივისცემას და ნდობას, ასევე დედის გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობა (სიმსივნით დაავადება) მისთვის სტრესის მნიშვნელოვანი წყაროა და სავარაუდოდ მასთან უშუალო ურთიერთობა სტრესის დაძლევის საშუალება იქნება. ზემოაღნიშნული გარემოებები იძლევა საკმარის ინფორმაციას სასამართლოს მიერ დანიშნული საპატიმრო სასჯელის – ვადიანი თავისუფლების აღკვეთის პირობით ჩასათვლელად პენიტენციური დეპარტამენტის ანგარიშის გარეშე.

37. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო საჭიროებისამებრ ითვალისწინებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში მითითებულ გარემოებებს, რომ ი. ტ-ა არის სპორტსმენი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებული და პრიზიორი ჭიდაობაში, კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, უკრავს გიტარაზე, იტაცებს მუსიკა.

38. მსჯავრდებული ი. ტ-ა არის მორწმუნე; დაპატიმრებამდე და მას შემდეგაც ეკლესიურად ცხოვრობს, ხვდება სულიერ მოძღვარს, კანონიერი წარმომადგენლის – მამის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, იგი სასულიერო ცხოვრებით ძლიერ არის დაინტერესებული და გათავისუფლების შემდეგ ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილავს ცხოვრების ეკლესიასთან დაკავშირებას.

39. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიხედვით, შეფასების პროცესში შესწავლილი არასრულწლოვნის განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, რომ მას აქვს ასაკის შესაბამისი ჯანსაღი ინტერესები, თავშეკავებისა და ნებისყოფის უნარი, ადეკვატური თვითშეფასების უნარი, ჯანსაღი ამბიციია, განათლების მიღებისა და წარმატების მიღწევის მოტივაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა ზემოთ მითითებული გარემოებები, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა, საფუძველია სასამართლოს მიერ, სსკ-ის 64-ე-65-ე მუხლებით გათვალისწინებული პროპორციული მოვალეობის დაკის-



რებისა და გამოსაცდელი ვადის განსაზღვრისათვის.

40. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეცვლა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუ მსჯავრდებული არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, დააკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ და სასამართლოს მიერ დაწესებულ ყველა პროპორციულ პირობას, შესაძლებელია – საპატიმრო სასჯელის დარჩენილი ნაწილის აღსასრულებლად არ მიექცევა ი. ტ-ს მიმართ.

41. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ი. ტ-სათვის მიზანშეწონილია ისეთი სასჯელის დანიშვნა, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 74-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ თინათინ ჭურდულიას საკასაციო საჩივარი გ. ქ-ს, ი. ტ-ს, თ. პ-სა და გ. ზ-ს მიმართ არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განაჩენში მსჯავრდებულ ი. ტ-ს მიმართ სასჯელის ნაწილში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. ი. ტ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დანიშნული სასჯელი შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს 3 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად პირობით არ იქნეს გამოყენებული. საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად, ი.ტ-ს გამოსაცდელ ვადად განესაზღვროს 3 წელი, 4 თვე და 15 დღე.

4. პირობითი სასჯელის პერიოდში მასზე ზედამხედველობა დაევალოს პრობაციის სამსახურს მსჯავრდებულის საცხოვრე-

ბელი ადგილის მიხედვით.

5. ი. ტ-ს დაევალოს პრობაციის სამსახურის ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი.

6. ი. ტ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2014 წლის 13 დეკემბრიდან 2016 წლის 26 ივლისის ჩათვლით.

7. ი. ტ-ა დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

8. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

9. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. საპროცესო შეთანხმება

### საპროცესო შეთანხმების პირობის დარღვევის გამო განაჩენის გაუქმება და საქმის პროკურორისთვის დაბრუნება

#### განაჩენი საქართველოს სახელით

№ 182აპ.-16

28 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. კ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. ლ-სა და ბრალდებულ მ. მ-ს შორის. მ. მ., – დაბადებული ... წლის .....ს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 2 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 4 წელი ჩაეთვალი პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2015 წლის 21 იანვრიდან.

2. ზემოხსენებული საპროცესო შეთანხმება, სასჯელთან დაკავშირებული პირობების გარდა, ისანი-სამგორის რაიონულმა პროკურატურამ ბრალდებულ მ. მ-თან დადო აგრეთვე იმ პირობით, რომ მასთან მოხდა შეთანხმება თანამშრომლობაზე, კერძოდ, მას უნდა მიეცა ბრალდებულ თ. შ-ის მამხილებელი ჩვენე-

ბა საქმის არსებითი განხილვის პროცესში ამ უკანასკნელის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, რაზეც მ. მ-მა განაცხადა თანხმობა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლ. კ-ემ. სააპელაციო საჩივრით პროკურორმა მოითხოვა აღნიშნული განაჩენის (რომლითაც დამტკიცდა პროკურორსა და მ. მ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება) გაუქმება იმ მოტივით, რომ მ. მ-მა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა, კერძოდ, 2015 წლის 21 სექტემბერს მსჯავრდებულმა მ. მ-მა, რომელიც დაიკითხა თბილისის საქალაქო სასამართლოში თ. შ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, არ მისცა თ. შ-ის მამხილებელი ჩვენება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის განაჩენი მ. მ-ის მიმართ და საქმე დაუბრუნდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურას.

5. კასატორებმა – მ. მ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ს. კ-ამ ითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 თებერვლის განაჩენის გაუქმება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის განაჩენის (რომლითაც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება მ. მ-სა და პროკურორს შორის) ძალაში დატოვება შემდეგი მოტივით: მ. მ-მა არაფერი იცოდა მასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების იმ პირობის შესახებ, რომ თ. შ-ის წინააღმდეგ უნდა მიეცა მამხილებელი ჩვენება და რომ სცოდნოდა აღნიშნული პირობის შესახებ, იგი არ დათანხმდებოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 აპრილის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, გარდა სასჯელისა, მხარეები შეთანხმდნენ ასევე თანამშრომლობაზეც, კერძოდ: მ. მ-ს უნ-

და მიეცა ბრალდებულ თ. შ-ის მამხილებელი ჩვენება საქმის არსებითი განხილვის პროცესში ამ უკანასკნელის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე.

3. აღნიშნულის მიუხედავად, 2015 წლის 21 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში თ. შ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, მოწმის სახით დაკითხულმა მ. მ-მა აჩვენა, რომ პერფერატორი და გენერატორი მართო თვითონ მოიპარა. გატეხა იმ კონტინერის ბოქლომი, რომელშიც აღნიშნული ნივთები ინახებოდა და ბოქლომი გადააგდო. ამის შემდეგ სთხოვა დახმარება თ. შ-ს გენერატორის წამოღებაში. მისთვის არ უთქვამს, რომ გენერატორი მოპარული იყო. თ. შ-მა არაფერი იცოდა ქურდობის შესახებ. მ. მ-მა უარყო გამოძიებაში მიცემული ჩვენება იმის შესახებ, რომ მან და შ-მა წინასწარი შეთანხმებით, ერთად მოიპარეს ზემოხსენებული ნივთები.

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა, პროკურორი უფლებამოსილია დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე“. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმებისას სასამართლო საქმეს უბრუნებს პროკურორს“.

5. იმის გათვალისწინებით, რომ მ. მ-მა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა გამოძიებასთან თანამშრომლობის შესახებ – არ მისცა თ. შ-ის მამხილებელი ჩვენება – თბილისის სააპელაციო სასამართლომ კანონიერად იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებით და გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმება.

6. საკასაციო პალატა სრულად ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს და არ იზიარებს კასაციონის პოზიციას, რომ თითქოს მან არაფერი იცოდა მასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების პირობის – გამოძიებასთან თანამშრომლობისა და თ. შ-ის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მიცემის შესახებ და რომ სცოდნოდა ამის შესახებ, არ დათანხმდებოდა ამ პირობით საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, ვინაიდან საქმის მასალებში არსებული 2015 წლის 3 აპრილის საპროცესო შეთანხმების დადების ოქმით, რომელსაც

ხელს აწერენ ბრალდებული მ. მ. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ც., დასტურდება, რომ სასჯელთან დაკავშირებული პირობების გარდა, ბრალდებულთან მოხდა შეთანხმება თანამშრომლობაზეც, კერძოდ, მას უნდა მიეცა ბრალდებულ თ. შ-ის მამხილებელი ჩვენება საქმის არსებითი განხილვის პროცესში ამ უკანასკნელის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, რაზეც მ. მ-მა განაცხადა თანხმობა. აღნიშნული ოქმის ასლი გადაეცა ბრალდებულსა და მის ადვოკატს. მათი მხრიდან შენიშვნები არ გაკეთებულა. სასამართლოს სხდომის ოქმებით დასტურდება, რომ მ. მ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას ბრალდებულს მოსამართლემ განუმარტა საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები, წარდგენილი ბრალდების არსი, ინკრიმინირებული ქმედების კვალიფიკაცია და ა.შ. მ. მ-მა წარდგენილ ბრალდებაში (მათ შორის, ქურდობის ჩადენაში წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) თავი ცნო დამნაშავედ. გარდა აღნიშნულისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე ბრალდებულმა მ. მ-მა მხარი დაუჭირა პროკურორის შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ, სრულად აღიარა ჩადენილი დანაშაული და დაადასტურა, რომ მისი უფლებები არავის დაურღვევია, საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს, სრულყოფილად აღიქვამს საპროცესო შეთანხმების შინაარსს, სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება, ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა, სრულად იცნობს საქმის მასალებს, ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ ფაქტობრივ საფუძველს, საპროცესო შეთანხმებაში მასა და პროკურორის შორის დადებული შეთანხმების ყველა პირობაა ასახული, თვითონ მოანერგა ხელი საპროცესო შეთანხმებას ადვოკატის თანდასწრებით, მას და მის ადვოკატს გადაეცათ საპროცესო შეთანხმების ოქმი, რასაც ეთანხმება და შენიშვნა არ გააჩნია.

7. ამრიგად, უტყუარადაა დადგენილი, რომ მ. მ-მა დაარღვია მასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების მისთვის ცნობილი პირობა გამოძიებასთან თანამშრომლობის შესახებ, რაც საპროცესო შეთანხმების გაუქმების სამართლებრივი საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით,

209-215-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. კ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმისა და საქმის პროკურორისათვის დაბრუნების შესახებ**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ლ ი თ**

№403აპ-16

24 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- ნ. გვენეტაძე,**
- გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი სახიაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2016 წლის 4 მაისს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი სახიაშვილმა, რომელმაც მოითხოვა ბრალდებულ ს. გ-ს მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანა და მასა და ს. გ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

2. ს. გ-ს, – დაბადებულს 19.. წელს, – ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2

ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 125-ე მუხლის პირველი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; ასევე სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში: ... რაიონის სოფელ ... 2016 წლის 23 აპრილს, დღის მეორე ნახევარში, ს. გ-მ სახეში ხელის დარტყმითა და ყელში ხელის მოჭერით იძალადა ცოლის არასრულწლოვან ძმაზე – მ. ა-ზე, რომელთანაც მუდმივად ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას. ს. გ-მ თმაში რამდენჯერმე მოქაჩვით ასევე იძალადა მ. ა-ს დაზე – რ. ა-ზე, არასრულწლოვან მ. ა-ს თანდასწრებით (აღნიშნული გარემოება პროკურორმა დააზუსტა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ შუამდგომლობის განხილვის ეტაპზე), რის შედეგადაც და-ძმამ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

3. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი სახიაშვილის შუამდგომლობა მასა და ს. გ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ და საქმე დაუბრუნდა პროკურორს.

4. აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი სახიაშვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მასა და ს. გ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება, შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ძალადობას, რითაც კანონმდებელმა ცალსახად დაიცვა არასრულწლოვნის ინტერესები, ვინაიდან მის თვალწინ მისივე ანუ არასრულწლოვნის ოჯახის წევრზე ძალადობა ფაქტობრივად არასრულწლოვანზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობაა, რადგან ამ დროს მას უჩნდება დაუცველობის შეგრძნება. მოცემულ შემთხვევაში კი ბრალდებულმა არასრულწლოვან მ. ა-ზე ფსიქოლოგიურად იძალადა მისი ოჯახის წევრზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობით. შედეგად, სახეზე გვაქვს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრზე – მ. ა-ზე ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტი. გარ-



და ამისა, აპელანტმა აღნიშნა, რომ არ მომხდარა ერთი ქმედების ორი სხვადასხვა მუხლით დაკვალიფიცირება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინებით მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი სახიაშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თეთრწყაროს რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის განჩინება დარჩა უცვლელად.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი სახიაშვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მასა და ს. გ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება იმავე სამართლებრივი საფუძვლებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამომჩემს, დასაბუთებულია თუ არა ბრალდება, არსებობს თუ არა ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები და არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი. ამავე მუხლის მე-6<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის მე-3 მუხლის მე-11<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსე-

ბოხს, ან დაადგენს, რომ პროკურორის შუამდგომლობა ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევით არის წარმოდგენილი, იგი საქმეს პროკურორს უბრუნებს.

4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის მიხედვით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არის ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე.

5. საკასაციო საჩივრით ბრალდების მხარე სადავოდ ხდის საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციის საკითხს (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ).

6. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების შეფასებას და ყურადღებას მიაპყრობს საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიციას, რომლის თანახმად, დასჯად ქმედებად ითვლება: „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი დასჯად ქმედებად მიიჩნევს: „იგივე ქმედებას ჩადენილს არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ“. ამდენად, საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ამ დანაშაულის სუბიექტი და ობიექტი იყვნენ ოჯახის წევრები. ხსენებული მუხლის ობიექტური მხარე გამოიხატება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ორივე ინსტანციის სასამართლოების განმარტებას, რომ სწორედ – „მოძალადე“ და „ძალადობის მსხვერპლი“ უნდა იყვნენ ერთი ოჯახის წევრები და არა – „არასრულწლოვანი“ და ამ უკანასკნელის ოჯახის წევრი (რაზედაც აპელირებს ბრალდების მხარე).

7. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს. გ-მ („მოძალადე“), არასრულწლოვან მ. ა-ს თანდასწრებით, იძალადა ცოლის დაზე – რ. ა-ზე („ძალადობის მსხვერპლი“), თუმცა რ. ა-ი, საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის შენიშვნის გათვალისწინებით, ს. გ-ს ოჯახის წევრს არ წარმოადგენს.

8. რაც შეეხება ბრალდების მხარის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულად გვევლინება არა მარტო ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, არამედ არასრულწლოვანიც, რადგან იგი წარმოადგენს ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლს – მისი ოჯახის წევრზე ძალადობა მასაც უქმნის დაუცველობის შეგრძნებას და მის ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება -, პროკურორის განმარტებით, ამ შემთხვევაში დაზარალებულია არასრულწლოვანი მ. ა-ი და სახეზეა ოჯახის ერთი წევრის – ს. გ-ს მიერ ოჯახის მეორე წევრზე – მ. ა-ზე ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტი, საკასაციო პალატა ამასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ბრალდების მხარის მიერ ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია სცილდება როგორც ბრალდების, ისე საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დისპოზიციის ფარგლებს, რადგან ხსენებული კვალიფიკაციით დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა მაშინ, როდესაც ძალადობა მიმართულია არა უშუალოდ არასრულწლოვნის, არამედ მისი თანდასწრებით, მოძალადის ოჯახის წევრის მიმართ.

9. გარდა ამისა, საკასაციო პალატა ასევე იზიარებს ორივე ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას, რომ ბრალდების მხარემ ს. გ-ს ერთი და იმავე ქმედების გამო ორმაგი პასუხისმგებლობა დააკისრა – სისხლის სამართლის კოდექსის ორი სხვადასხვა მუხლით.

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად და საქმე დაუბრუნდეს პროკურორს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-11<sup>1</sup> ნაწილით, 192-ე, 213-ე, 300-309-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორ-

- გი სახიაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
  3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. აპელაცია

### სააპელაციო განაჩენი და შეზღუდვა საშარესოდ

#### განაჩენი საქართველოს სახელით

№ 109აპ-16

15 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ს საკაცაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განაჩენით თ. მ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით ჩამოერთვა საქმიანობის უფლება. სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 5 წელი და 4 თვე განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი და 8 თვე ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 8 თვის გამოსაცდელი ვადით. თ. მ-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული სასჯელი და განესაზღვრა 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე გაუნახევრდა პირობითი მსჯავრი – 1 წელი და 8 თვე და განესაზღვრა 10 თვით პირობითი მსჯავრი, გამოსაცდელ ვადად კი დაუდგინდა 1 წელი, მასვე 1 წლით ჩამოერთვა საქმიანობის უფლება, 341-ე მუხლით განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ თ. მ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების აღკვეთის

დანესებულებაში მოხდით, ხოლო 10 თვით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი, მასვე 1 წლით ჩამოერთვა საქმიანობის უფლება.

3. თ. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 14 აგვისტოდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 30 მაისიდან იმავე წლის 7 ივნისის ჩათვლით.

4. თ. მ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და ე. ვ-ს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონება და მოეხსნას ყადაღა ე. ვ-ს კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარეს ქ. ...-ში, ... ქუჩა №...-ში, სართული პირველი, ბინა №..., ფართი – 79,08 (საკადასტრო კოდი: №...).

5. განაჩენით მსჯავრდებულ თ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2010 წლის 19 ივლისიდან 2013 წლის 24 მაისამდე თ. მ-ა მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ... ქვეითი ბრიგადის ..-ე ბატალიონის ფინანსისტად და სამსახურებრივად ევალებოდა ამავე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებზე გასაცემი სახელფასო თანხების გაანგარიშება და მათ შესაბამისად, სახელფასო რეესტრების შედგენა, რომელთაც იგი ყოველთვიურად წარადგენდა ... ქვეით ბრიგადაში, ხოლო ... ქვეითი ბრიგადა თავის მხრივ წარადგენდა თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში. თავისი პირდაპირი და უშუალო მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების სანაცვლოდ, თ. მ-მ, როგორც სახელმწიფო მოხელემ, ანგარებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, გადაწყვიტა განზრახ შეექმნა ისეთი პირობები, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში ყალბი ჩანაწერების შეტანის გზით, თავის მართლზომიერ მფლობელობაში მოექცია თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხები შემდგომში მათი მითვისების მიზნით.

6. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, თ. მ-მ ისარგებლა სამსახურებრივი მდგომარეობით და 2011 წლის მარტში, სექტემბერში, დეკემბერსა და 2012 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით დროის მომაკვეთში სახელფასო რეესტრებისა და მათი ელექტრონული ვერსიების გაყალბების შედეგად საკუთარ ხელფასად ზედმეტად მიუთითა შესაბამისად: 921 ლარი, 901,69 ლარი, 990,96 ლარი, 533,86 ლარი, 965 ლარი, 636,64 ლარი და 804,42 ლარი, საერთო რაოდენობით – 5753,57 ლარი, რაც სახელფასო თანხის ჩარიცხვის შემდეგ მიითვისა და გამოიყენა პირადი საჭიროებისათვის. მანვე 2012 წლის ივლისში გააყალბა ..-ე ქვეითი ბატალიონის სახელფასო რეესტრი, შესაბამისად, მისი

ელექტრონული ვერსიაც და თავის სახელზე გამოიწერა ხელფასი – 6776,16 ლარის ოდენობით, რომელშიც გარდა მისი კუთვნილი ხელფასის – 1008,8 ლარისა, შედიოდა ...-ე ქვეითი ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეების – პ. ჭ-ს, ბ. ჯ-ს, გ. პ-სა და რ. მ-ს ხელფასი. 2012 წლის 20 ივლისს, ხელფასის სახით 6776,16 ლარის დარიცხვის შემდეგ, მან პ. ჭ-ს, ბ. ჯ-ს, გ. პ-სა და რ. მ-ს გადაურიცხა მათი კუთვნილი ხელფასი ბანკ „რესპუბლიკის“ ბარათებზე, შესაბამისად, 683,76 ლარი, 679,36 ლარი, 674,96 ლარი და 679,36 ლარი, სულ – 2717,44 ლარი, ხოლო ჩარიცხული ზედმეტი თანხა – 3049,92 ლარი მიითვისა და გამოიყენა პირადი საჭიროებისათვის. მანვე 2012 წლის აგვისტოს თვეში გააყალბა ...-ე ქვეითი ბატალიონის სახელფასო რეესტრი, შესაბამისად, მისი ელექტრონული ვერსიაც და კუთვნილი ხელფასის – 1008,8 ლარის ნაცვლად თავის სახელზე ხელფასის სახით გამოიწერა 1547,2 ლარი. სახელფასო თანხების ჩარიცხვის შემდეგ, ზედმეტად ჩარიცხული 478.4 ლარი მიითვისა და გამოიყენა პირადი საჭიროებისათვის.

7. განაგრძობდა რა დანაშაულებრივ საქმიანობას, 2012 წლის აგვისტოში, იმ პირთა ოფიციალურ სახელფასო რეესტრში, რომლითაც მეორე კონტრაქტის დასრულების საფუძველით მათ ეკუთვნოდათ საკომპენსაციო თანხა – 3000 ლარის ოდენობით, თ. მ-მ ყალბი ჩანანერის შეტანის გზით ორ შემთხვევაში მიუთითა საკუთარი თავი და გასაცემ თანხად მინიშნა 3000-3000 ლარი, სულ – 6000 ლარი, რაც მის კუთვნილ ანგარიშზე 2012 წლის 21 სექტემბერს დარიცხვის შემდეგ, გამოიტანა და მიითვისა. მანვე 2012 სექტემბერში გააყალბა მინდობილობების საფუძველზე გასაცემი ხელფასების რეესტრი, სადაც ზოგიერთ სამხედრო მოსამსახურეთა მინდობილ პირად რეესტრში შეიყვანა საკუთარი თავი, რეალურად კი ასეთი მინდობილობები არ არსებობდა. ხელფასის სახით აჩვენა გაზრდილი თანხები და თანდართული ელექტრონული ვერსიით გადასცა ... ქვეითი ბრიგადის საფინანსო სამსახურს, სადაც სამხედრო მოსამსახურეთა მიერ მისაღები თანხები ყალბად იყო მითითებული, კერძოდ: ა. მ-ზე – 1451,6 ლარი, თ. დ-ზე – 1384,26 ლარი, ხ. ჩ-ზე – 1349,92 ლარი, გ. ს-ზე – 1349,92 ლარი, პ. ჭ-ზე – 1367,51 ლარი. სახელფასო თანხების ჩარიცხვის შემდეგ თ. მ-მ ბანკ „რესპუბლიკაში“ საბანკო ოპერაციით ა. მ-ს ჩაურიცხა კუთვნილი ხელფასი – 430,1 ლარი, თ. დ-ს – 362,76 ლარი, ხ. ჩ-ს – 681,12 ლარი, პ. ჭ-ს – 689,92 ლარი და გ. ს-ს მინდობილ პირს გ. პ-ს – 681,12 ლარი, სულ – 2845,2 ლარი. დარჩენილი ზედმეტი თანხა კი – 4058,19 ლარის ოდენობით – მიითვისა და გამოიყენა პირადი საჭიროებისათ-

ვის.

8. აღნიშნული სქემით, სამხედრო მოსამსახურეთა მინდობილ პირად რეესტრში საკუთარი თავის ყალბად შეყვანისა და მოსამსახურეთათვის უსაფუძვლოდ გაზრდილი სახელფასო თანხების ჩვენების გზით, მან 2012 წლის ოქტომბერში მიითვისა შვიდ სამხედრო მოსამსახურეზე ზედმეტად ჩარიცხული 5502,93 ლარი, 2012 წლის ნოემბერში ცხრა სამხედრო მოსამსახურეზე ზედმეტად ჩარიცხული 5979,6 ლარი, 2012 წლის დეკემბერში – თერთმეტ სამხედრო მოსამსახურეზე ზედმეტად ჩარიცხული 7124,76 ლარი, 2013 წლის იანვარში – ცხრა სამხედრო მოსამსახურეზე ზედმეტად ჩარიცხული 6204,74 ლარი, 2013 წლის თებერვალში რვა სამხედრო მოსამსახურეზე ზედმეტად ჩარიცხული 3553,4 ლარი. სულ, აღნიშნული ხერხით, თ. მ-მ 2012 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით დროის მონაკვეთში მიითვისა თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი საბიუჯეტო თანხა – 32423,62 ლარის ოდენობით.

9. მოქმედებდა რა დანაშაულებრივი განზრახვით, თ. მ-მ მიზანმიმართულად, 2012 წლის ივლისის სახელფასო რეესტრში, ...-ე ბატალიონის სამედიცინო ოცეულის სამედიცინო პუნქტის საბრძოლო მედიკოსის ლ. ლ-ს გრაფის გასწვრივ უსაფუძვლოდ შეიტანა ყალბი ჩანაწერი, თითქოსდა ამ უკანასკნელს შეიარაღებულ ძალებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებით საკომპენსაციო თანხის სახით ეკუთვნოდა 3000 ლარი, მაშინ, როდესაც, ამ ოდენობით საკომპენსაციო თანხა ლ. ლ-ს კანონიერი საფუძვლით უკვე მიღებული ჰქონდა. სახელფასო ანგარიშზე მითითებული თანხის ჩარიცხვის შემდეგ, ლ. ლ-ს თ. მ-მ განუმარტა, რომ იგი შეცდომით იყო გამოწერილი და მოითხოვა მის მიერ დასახელებულ ანგარიშზე დაბრუნება, რომელიც იმავდროულად თ. მ-ს პირად ანგარიშს წარმოადგენდა. მოთხოვნის კანონიერად მიჩნევის გამო, ლ. ლ-ის მიერ საბანკო ოპერაციით 2012 წლის 23 ივლისს დაბრუნებული თანხა – 3000 ლარის ოდენობით, თ. მ-მ გამოიტანა და მიითვისა. ანალოგიური ხერხით, მიუხედავად იმისა, რომ ...-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებს: გ. ქ-ს, ჯ. ჯ-ს და გ. მ-ს მიღებული ჰქონდათ მეორე კონტრაქტის დასრულებისათვის განკუთვნილი საკომპენსაციო თანხა – 3000-3000 ლარის ოდენობით, თ. მ-მ ანგარიშბითი მოტივით, 2012 წლის აგვისტოში ... ქვეით ბრიგადაში წარდგენილი სახელფასო რეესტრით, თითქოსდა შეიარაღებულ ძალებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებით, უსაფუძვლოდ, საკომპენსაციო თანხის სახით, სამივე მათგანს 2012 წლის 24 აგვისტოს ყალბად გამოუწერა დამატებით 3000-



3000 ლარი, სულ – 9000 ლარი, რაც თ. მ-ს მოთხოვნის შესაბამისად, საბანკო ოპერაციებით დაბრუნდა რა მის პირად ანგარიშზე ამ უკანასკნელმა იგი გამოიტანა და მიითვისა.

10. მანვე, თავისი პირდაპირი და უშუალო მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების სანაცვლოდ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ოფიციალურ დოკუმენტებში ყალბი ჩანაწერების შეტანის გზით, თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი, დიდი ოდენობით თანხების შემდგომში მითვისების მიზნით, თავის ახლობლებს – ვ. ბ-სა და დ. კ-ს დაუმზადა „საქართველოს ბანკის“ პლასტიკური ბარათები, რომლებიც პირადად დაიტოვა. 2011-2013 წლებში იგი აყალბებდა რა სახელფასო რეესტრებისა და მინდობილობების საფუძველზე გასაცემი ხელფასების რეესტრებს და ვ. ბ-ი და დ. კ-ს უკანონოდ, ყალბად შეჰყავდა სახელფასო რეესტრებში. ამასთან, მიუთითებდა მათ სხვადასხვა სამხედრო მოსამსახურეთა მინდობილ პირებად, ისე, რომ ამის შესახებ რაიმე დოკუმენტი არ არსებობდა. გაყალბებულ რეესტრებს იგი ყოველთვიურად წარადგენდა ... ქვეითი ბრიგადის საფინანსო სამსახურში, საიდანაც იგზავნებოდა თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში. ყალბად გამოწერილი რეესტრების საფუძველზე ვ. ბ-სა და დ. კ-ს პლასტიკურ ბარათებზე ირიცხებოდა დიდი ოდენობით სახელფასო თანხები. სულ 2011-2013 წლებში, ვ. ბ-ს უკანონოდ ჩაერიცხა 32662,34 ლარი, ხოლო დ. კ-ს – 31603,9 ლარი, საერთო ჯამში – 64266,24 ლარი, რომელიც თ. მ-მ მიითვისა და გამოიყენა პირადი საჭიროებისათვის.

11. მთლიანად, 2011-2013 წლებში სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელფასო რეესტრებსა და მათ ელექტრონულ ვერსიებში ყალბი მონაცემების შეტანით, თ. მ-ს მიერ მითვისებულია თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი საბიუჯეტო თანხა – 123971,75 ლარის ოდენობით.

12. აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: თ. მ-ს ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 5 წელი და 3 თვე განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი და 9 თვე, სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 9 თვის გამოსაცდელი ვადით, მასვე 2 წლით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში საფინანსო კუთხით საქმიანობის უფლება, 341-ე

მუხლით – ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ თ. მ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა სასჯელაღსრულების დანესებულებაში მოსახდელად, ხოლო 1 წელი და 9 თვე, სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 9 თვის გამოსაცდელი ვადით. მასვე 2 წლით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში საფინანსო კუთხით საქმიანობის უფლება.

13. თ. მ-ს სასჯელის მოხდა დაენყო დაკავების (განაჩენის გამოცხადების) დღიდან – 2015 წლის 14 აგვისტოდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 30 მაისიდან იმავე წლის 7 ივნისის ჩათვლით.

14. თ. მ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და ე. ვ-ს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონება და მოეხსნას ყადაღა ე. ვ-ს კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარეს ქ. ...ში, ... ქუჩა №...-ში, საართული პირველი, ბინა №..., ფართი – 79,08 (საკადასტრო კოდი: №...).

15. მსჯავრდებული თ. მ-ა და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. მ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ მსჯავრდებულ თ. მ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 2 წლით, 6 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დანესებულებაში მოხდით, ხოლო 10 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალოს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე 1 წლით ჩამოერთვას საჯარო სამსახურში საფინანსო კუთხით საქმიანობის უფლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობ-

ლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება თ. მ-სათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, რასაც სადავოდ არც კასატორები ხდიან.

3. რაც შეეხება დანიშნული სასჯელის ზომას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ თ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები ერთიანი მიზნით და საერთო განზრახვით გრძელდებოდა 2011-2013 წლებში, მათ შორის რამდენიმე ქმედება ჩადენილია 2012 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ, რის გამოც არასწორია „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოცემულ დანაშაულზე გავრცელება, ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც დანაშაული 2012 წლის 2 ოქტომბრამდე ჩაიდინა.

5. აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ იყო უგლებამოსილი „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გამოყენების ნაწილში ცვლილების შეტანით დაემძიმებინა მსჯავრდებულ თ. მ-ს მდგომარეობა.

6. საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

7. საქმის მასალების მიხედვით, 1-ლი ინსტანციის მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სახელმწიფო ბრალმდებელმა, რომელიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განაჩენში ცვლილების შეტანასა და თ. მ-ს მიმართ უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას, რაც დაკავშირებული იქნება მის სასჯელალსრულების დანესებულებაში ხანგრძლივ მოთავსებასთან, შემდეგი მოტივებით: სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თ. მ-ა დანაშაულს სჩადიოდა 2011-2013 წლებში და მხოლოდ

მას შემდეგ შეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება, როდესაც გამ-  
კაცრდა კონტროლისა და ზედამხედველობის ზომები ბრალდე-  
ბულის მიერ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ხერხების  
მიმართ. ამასთან, ბრალდების მხარემ სასამართლოს წარუდგი-  
ნა და საქმეზე მტკიცებულებად იქნა ცნობილი საბუღალტრო  
ექსპერტიზის დასკვნა და დაკითხვის ოქმები, სადაც სხვა სის-  
ხლის სამართლის საქმეზე გამოვლენილი იყო თ. მ-ს მიერ დამა-  
ტებით თანხების მითვისების ფაქტი. სასამართლომ განაჩენის  
დადგენისას ზოგადად განმარტა, რომ ბრალდებულს არ გააჩ-  
ნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი  
გარემოებები და არ მიუთითა, თუ რა გარემოებებზე დაყრდნო-  
ბით გამოიყენა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლი, რა დროსაც  
ბრალდებულს დანიშნული სასჯელის ნაწილი ჩაუთვალა პირო-  
ბითად, მაშინ, როდესაც სახეზე არ იყო და სრულყოფილად არ  
არსებობდა ბრალდებულის მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე  
მუხლის გამოყენების პირობები. სასამართლომ არ გაითვალის-  
წინა ბრალდებულის მიერ ქმედების ჩადენის სახე და ხერხი,  
რომ ბრალდებული მოქმედებდა წინასწარ დაგეგმილი რამდე-  
ნიმე სქემით, მისი დანაშაულებრივი საქმიანობა გრძელდებო-  
და ერთ წელზე მეტხანს და მის მიერ მითვისებული სახელმწი-  
ფოს კუთვნილი თანხის ოდენობამ შეადგინა 123971,75 ლარი,  
რომლის უდიდესი ნაწილი აუნაზღაურებელია. ზემოაღნიშნუ-  
ლიდან გამომდინარე, სასამართლომ მიერ დანიშნული სასჯე-  
ლი აშკარად მსუბუქია და არ გამომდინარეობს საქმეში არსე-  
ბული ფაქტობრივი გარემოებების ობიექტური ანალიზიდან.

8. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო ბრალმდე-  
ბელი სააპელაციო საჩივარში საერთოდ არ მიუთითებდა იმ გა-  
რემოებაზე, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლომ არასწორად  
გამოიყენა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის სა-  
ქართველოს კანონი.

9. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სახელმწი-  
ფო ბრალმდებლის მოთხოვნა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხ-  
ლთან დაკავშირებით, რადგან მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ თ.  
მ-ს მიმართ სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენება იყო კანონიერი,  
მაგრამ სხვა გზით გააუარესა მსჯავრდებულის მდგომარეობა,  
კერძოდ: მიიჩნია, რომ თ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი  
ქმედებები ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით გრძელ-  
დებოდა 2011-2013 წლებში, მათ შორის რამდენიმე ქმედება ჩა-  
დენილია 2012 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ, რის გამოც „ამნის-  
ტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი  
მოცემულ დანაშაულზე ვერ გავრცელდება.

10. სახელმწიფო ბრალმდებელმა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი აღარ გაასაჩივრა და, შესაბამისად, საკასაციო პალატა არ მსჯელობს თ. მ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენების კანონიერების თაობაზე.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, რამაც მკვეთრად გააუარესა მსჯავრდებულ თ. მ-ს მდგომარეობა, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასარგებლოდ და მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ თ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. თ. მ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 5 წელი და 4 თვე განესაზღვროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 წელი და 8 თვე ჩაეთვალოს პირობით, 1 წლისა და 8 თვის გამოსაცდელი ვადით, მასვე 2 წლით ჩამოერთვას საჯარო სამსახურში საფინანსო კუთხით საქმიანობის უფლება, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახვერდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული სასჯელი და განესაზღვროს 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე გაუნახვერდეს პირობითი მსჯავრი – 1 წელი და 8 თვე და განესაზღვროს 10 თვით პირობითი მსჯავრი, ხოლო გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 1 წელი, მასვე 1 წლით ჩამოერ-

თვას საჯარო სამსახურში საფინანსო კუთხით საქმიანობის უფლება, სსკ-ის 341-ე მუხლით – ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ თ. მ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 2 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 10 თვით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალოს პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 1 წელი, მასვე 1 წლით ჩამოერთვას საჯარო სამსახურში საფინანსო კუთხით საქმიანობის უფლება.

5. მსჯავრდებულ თ. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2015 წლის 14 აგვისტოდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 30 მაისიდან იმავე წლის 7 ივნისის ჩათვლით.

6. მსჯავრდებულ თ. მ-ს პირობითი მსჯავრის ვადის ათვლა დაეწყოს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლი დაევალოს პრობაციის ბიუროს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ თ. მ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. ე. ვ-ს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონება და მოეხსნას ყადაღა ე. ვ-ს კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარეს ქ. ...ში, ... ქუჩის №...-ში (სართული – პირველი, ბინა №..., ფართი – 79,08 საკადასტრო კოდი: №...).

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 6. საკასაციო განაჩენი

### გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

#### განაჩენი საქართველოს სსრ-ით

№404აპ-16

15 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა მ. თ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ჩ-სა და მ. ხ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით მ. თ., – დაბადებული ...ს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2. 2015 წლის 26 თებერვალს, დაახლოებით 05:00 საათზე, ...-ში, დ. ა-ის ...ის №...ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მ. თ-ემ და მასთან მყოფმა, გამოძიებით დაუდგენელმა ორმა პირმა დააზიანეს „.....“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატი, რის შემდეგაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ 1700 ლარს. ამ ქმედებით დაზარალებულს მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი – 1700 ლარის ოდენობით.

3. აღნიშნული ქმედებისათვის მ. თ-ეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან; მასვე სას-

ჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 26 თებერვლიდან იმავე წლის 1 მარტის ჩათვლით.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ს-მა. მათ ითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის განაჩენის გაუქმება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მსჯავრდებულ მ. თ-ის ადვოკატებმა – მ. ჩ-მა და მ. ხ-ამ მოითხოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმება და მ. თ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატების სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 23 ოქტომბრიდან.

7. კასატორები – მსჯავრდებული მ. თ. და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები – მ. ჩ. და მ. ხ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ამიტომ უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. ორივე ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე და განაპირობა მ. თ-ის უკანონო მსჯავრდება; გასაჩივრებულ განაჩენში ჩამოყალიბებული დასკვნები არ ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

9. სასამართლომ მ. თ-ის ბრალეულობის დამადასტურებელ ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებად გამოიყენა მონწე ზ. კ-ის ჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ის არ ადასტურებს მ. თ-ის მიერ სწრაფი ჩარიცხვის აპარატის გაქურდვის ფაქტის დანახვას; ასევე მტკიცებულებადაა მოყვანილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, რომელიც, დაცვის აზრით, ადასტურებს მხოლოდ ფაქტს, რომ დანაშაულია მომხდარი, ამასთან, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული თითის კვლებიდან არც ერთი არ არის მ. თ-ს მიერ დატოვებული.

10. მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას ასევე არ ადასტურებს ნივთიერი მტკიცებულების (ლაზერული დისკის) დათვალიერების ოქმი; დისკზე არსებული გამოსახულების უხა-



რისხობის გამო შეუძლებელია მასზე დაფიქსირებული პირების იდენტიფიცირება; მართალია, მ. თ-ემ გამოძიებაში თვითონ განაცხადა, რომ სამი პირიდან ერთი თვითონაა, მაგრამ მისგან არ ამოღებულა მ. თ-ის მიერ აღწერილი ტანსაცმელი; მოწმეების – ო. კა-ის, გ. გ-ის, ნ. ბ-სა და კ. დ-ის ჩვენებებით მხოლოდ დანაშაულის ფაქტი დასტურდება, ამიტომ განაჩენში მათი ჩვენებების მოხსენიება მ. თ-ის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, საფუძველსაა მოკლებული.

11. დანაშაულის ჩადენიდან მოკლე დროში პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს მ. თ., რომელსაც ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, თუმცა მას ფული არ აღმოაჩნდა და, შესაბამისად, არც ამოღებული ყოფილა. რაც შეეხება მის აღიარებით ჩვენებას, ეს მოტივირებული იყო ბრალდების მხრიდან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შეპირებით, მაგრამ ასეთი არ შედგა, ამიტომ დაუშვებელია, რომ საპროცესო შეთანხმების შეპირებით მიცემული აღიარებითი ჩვენება ბრალდების მხარესა და სასამართლოს გამოეყენებინათ მ. თ-ის საწინააღმდეგოდ.

12. კასატორთა აზრით, საქმის განხილვის დროს დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის, საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სსსკ-ის მე-4, მე-5, მე-9, მე-12, მე-13, 74-ე და 82-ე მუხლების მოთხოვნები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განაჩენის გაუქმებასა და მ. თ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

13. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა მ. თ-ემ და მისმა ადვოკატებმა – მ. ხ-ამ, მ. ჩ-მა და მ. ბ-ამ მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას.

14. პროკურორმა ა. მ-მა მხარი არ დაუჭირა კასატორთა საკასაციო საჩივარს და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას მ. თ-ის ბრალეულობის თაობაზე, ვინაიდან ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა საკმარის მტკიცებულებათა ერთობ-

ლიობა, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა მ. თ-ის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების ფაქტს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, კერძოდ:

3. საკასაციო პალატას საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით: მოწმეების – ო. კ-ის, გ. გ-ის, ნ. ბ-სა და კ. დ-ის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ნივთიერი მტკიცებულებების გახსნისა და დათვალიერების ოქმებით, ექსპერტიზების დასკვნებით დადასტურებულად მიაჩნია, რომ ...ში, დ. ა-ის ...ს №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა დააზიანეს „...“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატი, რის შემდეგაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ 1700 ლარს, რითიც დაზარალებულს მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქესპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2015 წლის ... თებერვლის №... დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გამოკვლევაზე წარმოდგენილი კვალი №1, №2, №3 პირის იდენტიფიკაციისათვის ვარგისია, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის იდენტური დაქტილოსკოპიურ მონაცემთა ბაზაში რიცხული მ. თ-ის ხელის ანაბეჭდების ნიმუშებისა. პირის იდენტიფიკაციისათვის ვარგისი №1, №2, №3 ხელის კვალის იდენტური შემთხვევის ადგილიდან ამოღებული კვლები და ანაბეჭდების ნიმუშები დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის განყოფილებაში არსებულ მონაცემთა ერთიან ბაზაში არ მოიპოვება.

5. დანაშაულის ჩადენის დღეს, რამდენიმე საათში, პოლიციის თანამშრომლებმა ...ში, ბ-ის ქუჩაზე დააკავეს მ. თ., რომელსაც ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა. პირადი ჩხრეკის შედეგად მ. თ-ეს ამოუღეს მობილური ტელეფონი და გასაღები. ფული ან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი მისგან ამოღებული არ ყოფილა.

6. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, დათვალიერებული და შემდგომ დეტალურადაა გაშიფრული მ. ტ-ის მიერ წარმოდგენილი ლაზერული დისკი, რომლის პერსონალურ კომპიუტერში გახსნისას ჩანს ფაილი – 2015 წლის 26 თებერვლის 04.40 საათიდან 05.15 საათამდე დროის ინტერვალში ჩანანერით. ჩანანერში ჩანს ...-ში, დ. ა-ის .... №...-ის მიმდებარე ტერიტორია, სწრაფი ჩარიცხვის აპარატები, ავტომანქანა ტაქსის ტრაფარეტით, საიდანაც გადმოდის სამი პირი, რომლებმაც რამდენიმე წუთში ასნიეს და იქვე მდებარე

„არკაში“ შეიტანეს „საქართველოს ბანკის“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატი. დისკზე არსებული გამოსახულება იმდენად უხარისხოა, რომ შეუძლებელია მასზე ასახული პირების ან ავტომანქანის ამოცნობა. ბრალდების მხარეს არ ჩაუტარებია ექსპერტიზა აღნიშნულ დისკზე დაფიქსირებული პირების ან ავტომანქანის იდენტიფიკაციის მიზნით, ამიტომ მისი გამოყენება მ. თ-ის ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებად, პალატის აზრით, მიზანშეუწონელია. ასევე უსაფუძვლოა მონმე ზ. კ-ის ჩვენების, როგორც მტკიცებულების, მოყვანა გამამტყუნებელ განაჩენში, რადგან იგი არ არის დანაშაულის ფაქტის თვითმხილველი.

7. საკასაციო პალატის სხდომაზე მ. თ-ემ განაცხადა, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, ხოლო გამოძიების პროცესში და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მიცემული აღიარებითი ჩვენება განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ბრალდების მხრიდან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შეპირებით. პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილით: „ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააკველაციო პალატის დასკვნა, რომ მ. თ-ის მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი უდავოდ არის დადასტურებული, არის მხოლოდ ვარაუდი, რაც საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს, ვინაიდან საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც სასამართლოს დასკვნა ემყარება.

8. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მტკიცებულება ინფორმაციის წყაროა, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს ან უარყოს ბრალდებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. მტკიცებულებების მეშვეობით სასამართლომ, სხვა გარემოებებთან ერთად, უნდა დაადგინოს, დამნაშავეა თუ არა კონკრეტული პირი მისთვის ინკრინირებული დანაშაულის ჩადენაში. დანაშაულებრივი ქმედე-

ბა უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა და გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით.

9. საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა; ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. იმავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილით, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რომ მ. თ-ემ ჩაიდინა „.....“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატის ქურდობა ჯგუფურად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. თ. უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. თ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. ჩ-სა და მ. ხ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განაჩენი გაუქმდეს;

3. მ. თ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

4. მ. თ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

5. მ. თ-ეს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

6. მ. თ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და გირაოს თანხა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს მის შემტანს.

7. ნივთმტკიცება – შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული თითის კვლეები განადგურდეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო 1 (ერთი) CD დისკი – შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში განაჩენის გაუქმება და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№318აპ-16

7 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. დ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ო. ს-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 აპრილის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის განაჩენით დ. დ., – დაბადებული ...-ს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება; ასევე – ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე – თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანა-

შაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, ორი პირის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3. დ. დ-მა განიზრახა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის AK-74 მოდელის ავტომატი და ქარხნული წესით დამზადებული ავტომატის 22 ვაზნა, რომლებსაც ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში.

4. 2009 წლის 4 ივლისს დ. დ-მა ხსენებული ავტომატი და ვაზნები ვ. და კ. გ-ის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის დროს მართლსაწინააღმდეგოდ ატარა. აღნიშნული იარაღი ამოიღეს იმავე დღეს დ. დ-ის საცხოვრებელი სახლიდან. ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღი წარმოადგენს ქარხნული წესით დამზადებულ, 1974 წლის ნიმუშის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის, 5,45 მმ კალიბრიან, AK-74 მოდელის №... ავტომატს, მიეკუთვნება ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის, ხოლო 22 სამხედრო ვაზნა განკუთვნილია იმავე კალიბრიანი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატებისათვის, მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

5. დ. დ-მა განიზრახა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ...-ის რაიონის სოფელ კ. მცხოვრებ ვ. გ-ის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იგი დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ ოთხ პირს, რომლებმაც დაგეგმეს ვ. გ-ის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა. 2009 წლის 4 ივლისს, დაახლოებით 1.30 საათზე, დ. დ. და ძიებით დაუდგენელი ოთხი პირი მივიდნენ ...-ის რაიონის სოფელ კ. მცხოვრებ ვ. და კ. გ-ის საცხოვრებელ სახლთან. ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ხმაურზე გამოსულ კ. გ-ს თავში ჩაარტყა მძიმე საგანი, რის შემდეგაც იგი ეზოდან საცხოვრებელ სახლში შეათრია, სადაც განაგრძეს კ. გ-სა და მისი მეუღლის – ვ. გ-ის ცემა. დ. დ-მა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გ-ს მოსთხოვა ფული, ოქროს ნივთები და თანამზრახველებთან ერთად წებოვანი ლენტით შეუკრა ხელ-ფეხი და პირი. მათ ვ. გ-ს ცხელი უთოთი

მიაყენეს სხეულის დამწვრობა, რის შემდეგმ დ. დ. და მასთან ერთად მყოფი ბოროტმოქმედები გ-ის ოჯახში დაეუფლნენ 5480 ლარად ღირებულ ოქროს და საყოფაცხოვრებო ნივთებს, ასევე თანხას – 300 აშშ დოლარსა და 270 ლარს. დ. დ-ის დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულებს მიადგათ 5950 ლარისა და 300 აშშ დოლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

6. ვ. გ-ის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის დროს ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა დ. დ-მა ოთხ თანამზრახველთან ერთად, ყაჩაღური თავდასხმის გაადვილების მიზნით, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ვ. და კ. გ-ს ნებოვანი ლენტით, ე.წ. „სკოჩით“ შეუკრა ხელ-ფეხი და პირი, უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება, რათა მათ წინააღმდეგობა არ გაენიათ და ხელი არ შეეშალათ განზრახვის განხორციელებაში.

7. აღნიშნული ქმედებისათვის დ. დ-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 6 თვით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 9 წლითა და 6 თვით, ხოლო 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და დ. დ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 20 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 6500 ლარი.

8. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7 მარტის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე დ. დ. გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელების მოხდისაგან; მასვე ერთი მეოთხედით შეუმცირდა სსკ-ის 179-ე და 143-ე მუხლებით დანიშნული სასჯელები და განესაზღვრა: სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 7 წლით, 1 თვითა და 15 დღით, ხოლო 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით – 5 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

9. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ე. ა-მა. მან ითხოვა დ. დ-სათვის დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელისა და ჯარიმის მოხსნა.

10. საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს მსჯავრდებულმა დ. დ-მა და მისმა ადვოკატმა ო. ს-მა შეცვა-

ლეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს დ. დ-ის გა-  
მართლება.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-  
თლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 აპრილის განაჩენით საა-  
პელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; ამასთან,  
გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის  
განაჩენსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 7  
მარტის განჩინებაში შევიდა ცვლილება: დ. დ-სათვის საქართვე-  
ლოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“  
ქვეპუნქტებით დანიშნულმა და ამნისტიის აქტის საფუძველ-  
ზე შემცირებულმა სასჯელმა – 7 წლით, 1 თვითა და 15 დღით  
თავისუფლების აღკვეთა მთანთქა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2  
ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნუ-  
ლი და ასევე ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელი –  
5 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა და სა-  
ბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავი-  
სუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2015 წლის 3 ივნის-  
სიდან; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 6500  
ლარი. განაჩენი და განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

12. კასატორები – მსჯავრდებული დ. დ. და ადვოკატი ო. ს.  
საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონოა შემ-  
დეგ გარემოებათა გამო:

13. სასამართლოს არ უმსჯელია იმაზე, თუ როგორ ამოიცნო  
დაზარალებულმა ვ. გ-მა ბოროტმოქმედებში დ. დ., ძმები კ-ები  
და მათი ნათესავი, თუ ისინი იყვნენ ნიღბებით; ამ ნაწილში არ  
არის სარწმუნო დაზარალებულ ვ. გ-ს ჩვენება, გაუგებარია, რო-  
გორ ამოიცნო მან ბოროტმოქმედები აღნაგობით, როდესაც რა-  
იმე კონკრეტული ნიშანი არ დაუსახელებია; მისი ჩვენება იმ  
ნაწილშიც არ არის სარწმუნო, როდესაც, როგორც თვითონ აღ-  
ნიშნავს, ორი საათის განმავლობაში ის ჰყავდათ იატაკზე პირ-  
ქვე დაწვენილი, ზურგზე ესხდნენ და ურტყამდნენ, ამ პერი-  
ოდში მან დაინახა, თუ ვინ როგორ მოქმედებდა და ვის რა ეჭირა  
– დანა, ჯოხი თუ იარაღი; ასეთ ვითარებაში იგი ვერ დაინახა ვ-  
და და ვერ აღიქვამდა დეტალებს; ასევე კასატორთა აზრით,  
ეჭვს ისიც ბადებს, რომ, თუ ერთმა დაზარალებულმა – ვ. გ-მა  
ამოიცნო და დაასახელა თავდამსხმელები, მაშინ რატომ ვერ  
დაასახელა ისინი მისმა მეუღლემ – კ. გ-ამ;

14. სასამართლოს დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ეცნო  
ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმი, რადგან ის შედგენილია  
2008 წლის 8 ივლისს, ხოლო თავდასხმა მოხდა 2009 წლის 4 ივ-  
ლისს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოქმი აშკარად გაყალბებუ-



ლია; გარდა ამისა, ამოცნობის ოქმში დაფიქსირებული პირები აშკარად განსხვავდებიან ამოსაცნობი ობიექტისაგან გარეგნობითა და ჩაცმულობით, რაც კანონით დაუშვებელია.

15. ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ხის ჯვარზე, რომელიც დაზარალებულმა ჩამონყვიტა ერთ-ერთ თავდამსხმელს, რომელიც, მისივე თქმით, იყო დ. დ., არსებული სუნის ნიმუში არ არის დ. დ-ის სუნის კვალის ნიმუშის იდენტური;

16. მოგონილია პოლიციელების – ნ. ა-სა და გ. ლ-ის ჩვენებები, თითქოს ფოტოსურათების დათვალიერებისას დ. დ-ს ყელზე სინითლე შეამჩნიეს, რადგან მსგავსი ჩვენება მათ არსად მიუციათ და არც ფოტოსურათებზე ჩანს სინითლის ნიშანი; გარდა ამისა, ნ. ა-ს ჩვენება სააპელაციო სასამართლოში ჩაწერილია ხარვეზით და არ ისმინება, რაც თავისთავად დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუმცა სასამართლომ ეს ჩვენება მაინც დაუდო საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს.

17. გარდა ამისა, გასაუქმებელია სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის განჩინება დაზარალებულ კ. გ-ას წინასწარ გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებების გამოქვეყნების ნაწილშიც, რადგან ამის საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან სასამართლომ ამ საკითხზე ერთხელ უკვე იმსჯელა და დასაბუთებული უარი უთხრა ბრალდების მხარეს; ბრალდებამ ვერ წარმოადგინა სასამართლოში სამედიცინო ცნობა, რომ დაზარალებულ კ. გ-ას არ შეეძლო გადაადგილება;

18. საყურადღებოა ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნაც, საიდანაც ირკვევა, რომ ...-ის რაიონის პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული დ. დ-ის სახლის ჩხრეკის დროს ამოღებული ავტომატი დალუქულია მარნეულის პოლიციის სამმართველოს ბეჭდით, თუმცა სასამართლო არც ამით დაინტერესდა.

19. საჩივრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის განჩინება ნივთიერი მტკიცებულების (ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის) დათვალიერებაზე (გამოკვლევაზე) უარის თქმის შესახებ, რადგან საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოკვლეულა არც პირველ და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში. დაცვის მხარისთვის ისიც კი უცნობია, არსებობს თუ არა ფიზიკურად აღნიშნული მტკიცებულება; შესაბამისად, ნივთმტკიცება, რომელიც სასამართლოს არ გამოუკვლევია, საფუძვლად არ უნდა დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.

20. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევებით გამოიკვლია მტკიცებულებები, ხოლო რიგ შემთხვევაში საერთოდ უარი თქვა მათ გამოკვლევაზე, რითიც ბრალდებულს მოუსპო საშუალება, მონაწილეობა მიეღო მტკიცებულებების გამოკვლევაში მაშინ, როდესაც ბრალდებულს, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობა არ მიუღია, კანონი აძლევს საშუალებას, დაპატიმრების ან გამოცხადების შემდეგ გაასაჩივროს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში და არსებითად გამოიკვლიოს ყველა მტკიცებულება; ამდენად, სასამართლომ უგულვებელყო ბრალდებულის ინტერესები.

21. სასამართლომ არასწორად, კანონის დარღვევით დატოვა ჯარიმები, მიუხედავად შთანთქმის პრინციპის გამოყენებისა.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული დ. დ. და ადვოკატი ო. ს. ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის განჩინებებისა და იმავე წლის 15 აპრილის განაჩენის გაუქმებას და დ. დ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ: გასაჩივრებული განაჩენი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ბრალდების ეპიზოდში უნდა გაუქმდეს და საქმე ამ ნაწილში შეწყდეს, ხოლო დანარჩენ ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს დ. დ-ის ბრალეულობის თაობაზე და მიაჩნია, რომ მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, ასევე ამავე კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ბრალდების ეპიზოდებში განაჩენი ემყარება კანონის მოთხოვნათა დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას და გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მის მიერ ამ ნაწილში ჩადენილი დანაშაული, კერძოდ:

3. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ ამოიცნო ვ. გ-მა თავდამსხმე-

ლები, მაშინ, როდესაც მისმა მეუღლემ – კ. გ-ამ ვერ იცნო ისინი. საკასაციო პალატა ამ ნაწილში სავესტით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას და აღნიშნავს, რომ საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას დაზარალებულმა ვ. გ-მა დამაჯერებლად მიუთითა, რომ დიდი ხანია, დ. დ-ს კარგად იცნობს, იგი არის მისი მეზობელი, კარგად იცნობს მის ოჯახს, მამას – დ. დ-ს, დედას, ასევე ძმას და პირადად მასაც. მანვე აღნიშნა, რომ პირველი დაკითხვისთანავე დეტალურად მიუთითა, თავდამსხმელთაგან ყაჩაღობისას ვინ რა მოქმედება ჩაიდინა; მანვე განმარტა, რომ ყველა თავდამსხმელს სახეზე ჩამოფარებული ჰქონდა ნილაბი. მან ერთ-ერთს ნილაბზე სტაცა ხელი და აუწია, რა დროსაც თავდამსხმელმა ნილაბი მთლიანად თვითონ მოიხადა და კარგად იცნო დ. დ-ის შვილი – დ. დ.. პალატა აღნიშნავს: მხოლოდ ის გარემოება, რომ კ. გ-ამ ვერ იცნო თავდამსხმელები, არ წარმოადგენს დაზარალებულ ვ. გ-ის ჩვენებაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

4. პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ეცნო ფოტოსურათები ამოცნობის ოქმი, რადგან ის შედგენილია 2008 წლის 8 ივლისს, ხოლო თავდასხმა მოხდა 2009 წლის 4 ივლისს. ამ საკითხთან დაკავშირებით პალატა აღნიშნავს, რომ დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა – ამოცნობის ოქმში, ნაცვლად 2009 წლისა, მითითებულია 2008 წელი. ეს გარემოება არ წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

5. პალატა ვერ დაეთანხმება საკასაციო საჩივრის მითითებას, რომ თითქოს ამოცნობის ოქმში დაფიქსირებული პირები გარეგნობითა და ჩაცმულობით აშკარად განსხვავდებიან ამოსაცნობი ობიექტისაგან. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაზარალებული (ამომცნობი) ძალიან კარგად იცნობდა დ. დ-ს, რომელიც შემთხვევის შემდეგ მიიძალა, მისი ადგილსამყოფელი არ იყო ცნობილი და ამოსაცნობად წარდგენაც შეუძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში კი, როცა ამომცნობისათვის ამოსაცნობი ობიექტის წარდგენა შეუძლებელია, ამოცნობა ტარდება ფოტოსურათით. ამასთან, ამომცნობს უნდა წარედგინოს არანაკლებ 3 სხვა ფოტოსურათი, რომლებზე აღბეჭდილი ობიექტებიც მკვეთრად არ განსხვავდებიან ერთმანეთისა და ამოსაცნობისაგან. კანონის ეს მოთხოვნა არ დარღვეულა, რადგან ოქმში მითითებული – აღბეჭდილი პირების ფოტოსურათები მკვეთრად არ განსხვავდებიან ერთმანეთისა და ამოსაცნობისაგან.

6. პალატა აღნიშნავს: ის გარემოება, რომ ხის ჯვრიდან აღებული სუნის ნიმუში, ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის

მიხედვით, არ იყო დ. დ-ის სუნის ნიმუშის იდენტიური, არ შეიძლება დ. დ-ის მიმართ დადგენილი განაჩენის გაუქმების საფუძველი გახდეს, რადგან მის მიერ ჩადენილი დანაშაული (ყაჩაღობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა) დადგენილია საქმის ერთობლივი მასალებით, რომელთა შესახებ დეტალურადაა მსჯელობა განაჩენში.

7. პალატა ვერ დაეთანხმება საჩივრის მითითებას იმის შესახებ, რომ თითქოს მოწმე პოლიციელების – ნ. ა-სა და გ. ლ-ის ჩვენებები არის მოგონილი. ამ საკითხთან დაკავშირებით პალატა აღნიშნავს, რომ მითითებულმა მოწმეებმა თანმიმდევრული ჩვენებები მისცეს სასამართლოს, მიუთითეს ყველა იმ გარემოებაზე, რაც მათთვის იყო ცნობილი მოცემულ საქმესთან დაკავშირებით. სასამართლომ სავსებით სამართლიანად გაიზიარა მათი ჩვენებები და ასევე სათანადოდ შეაფასა.

8. პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის მითითებას, რომ თითქოს ნ. ა-ს ჩვენება სააპელაციო სასამართლოში ჩაწერილია ხარვეზით და არ ისმინება. ჯერ ერთი, საქართველოს სსსკ-ის 455-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო სხდომის ოქმზე მხარეს არ შეუტანია არავითარი შენიშვნა და არ დაუფიქსირებია თავისი პოზიცია; მეორეც, სასამართლოს ჩანაწერი არის სრულყოფილი და გასაგები.

9. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სავსებით სამართლიანად, საპროცესო კანონის (სსსკ-ის 481-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) დაცვით მოხდა მოწმე კ. გ-ას მიერ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე მიცემული ჩვენებების საჯაროდ წაკითხვა. ბრალდების მხარემ სასამართლოს წარუდგინა ცნობები მოწმე კ. გ-ას ჯანმრთელობის შესახებ, რომელთა მიხედვით, სხვადასხვა დაავადების გამო კ. გ-ას ჯანმრთელობის მიმდინარეობა იყო მძიმე, რის გამოც შეუძლებელი იყო მისი სასამართლოში წარმოდგენა. კერძოდ, 2015 წლის 24 ნოემბერს გაცემული სამედიცინო ცნობის მიხედვით, კ. გ-ას მკურნალობისათვის აუცილებელია წოლითი რეჟიმი; 2016 წლის 19 იანვარს გაცემული სამედიცინო ცნობის თანახმად, კ. გ-ას ჯანმრთელობის მიმდინარეობა იყო მძიმე, ხოლო ამავე წლის 10 თებერვალს გაცემული ცნობის მიხედვით კი – კ. გ-ას ავადმყოფობა პროგრესირებდა. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სავსებით კანონიერად დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და გამოაქვეყნა მოწმის ჩვენებები.

10. საკასაციო პალატა ეთანხმება საჩივრის მითითებას, რომ გასაჩივრებული განაჩენი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის

1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ბრალდების ეპიზოდში უნდა გაუქმდეს და საქმე ამ ნაწილში შეწყდეს. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ბრალდების მხარემ სასამართლოს ვერ წარუდგინა ვერც ერთი უტყუარი დამამტკიცებელი საბუთი, რომ მსჯავრდებულმა დ. დ-მა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა, შეინახა და ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას. ამ მიმართებით განაჩენში მითითებულია მხოლოდ ის, რომ დ. დ-ის საცხოვრებელი ბინის სათავის ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ავტომატი მჭიდითა და 22 ვაზნით, რომლებიც, ბალისტიკური ექსპერტის დასკვნის მიხედვით, ვარგისია სროლისათვის.

11. საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ ოჯახში, საიდანაც ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი, ცხოვრობდნენ: ოჯახის უფროსი – დ. დ., მისი მეუღლე – ე. ჩ. და მათი ორი შვილი – 23 წლის პ. დ. და 21 წლის დ. დ.. ჩხრეკა- ამოღებას ესწრებოდა დ. დ., რომელმაც ხელი არ მოაწერა ჩხრეკის ოქმს. შემდგომ ის დაიკითხა მონმის სახით, მაგრამ საერთოდ არ დაკითხულა ცეცხლსასროლი იარაღის თაობაზე და არც გამოურკვევიათ, თუ რატომ არ მოაწერა ხელი ჩხრეკის ოქმს. საერთოდ არ დაკითხულა პ. დ.; ასევე არ ყოფილა გამოკვლეული და შემოწმებული, თუ ვის ეკუთვნოდა და ვინ შეინახა სახლის დამხმარე სათავსში ცეცხლსასროლი იარაღი. მონმის სახით დაკითხული ე. ჩ-ათვის ასევე არ უკითხავთ, თუ ვის შეეძლო შეენახა ცეცხლსასროლი იარაღი მათ ეზოში არსებულ დამხმარე სათავსში. აქედან გამომდინარე, არ არის უარყოფილი ვერსია იმის შესახებ, რომ ცეცხლსასროლი იარაღი შეიძლება შეენახა ოჯახის სხვა წევრს ანდა სხვა პირს, რადგან დამხმარე სათავსი განთავსებული იყო საცხოვრებელი სახლის ეზოში და არ იყო დაცული.

12. საქმეზე დართული ჩხრეკის ოქმით ირკვევა, რომ საცხოვრებელი ბინისა და დამხმარე სათავსის ჩხრეკა ჩაატარა ...-ის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელმა ბ. ზ-მა და მანვე დალუქა ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები (არაა მითითებული ლუქის ნომერი). ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ გამოკვლევაზე წარმოდგენილი ნივთმტკიცება დალუქულია ორ პაკეტად „საქართველოს შსს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო, ...-ის რაიონული სამმართველო №...“ ბეჭდით პაკეტებისათვის და „საქართველოს შსს საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველო, ...-ის განყოფილება №...“ ბეჭდით პაკეტებისათვის.

13. საკასაციო პალატა ეთანხმება საჩივრის ავტორების მო-

საზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში არ არის მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ...-ის შს სამმართველოს ბეჭდის გამოყენება და ნივთმტკიცების დალუქვა, როდესაც აღნიშნულ შს სამმართველოს არავითარი შემხებლობა ამ საქმესთან არ ჰქონია, მაშინ, როდესაც დაცვის მხარე ამ გარემოების შეფასებას და გადაწყვეტას სასამართლო განხილვის დროს მოითხოვდა.

14. ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ უტყუარად არ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა დ. დ-მა უკანონოდ შეიძინა, ინახავდა და ატარებდა და ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას. აქედან გამომდინარე, მის მიმართ ამ ნაწილში განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე შეწყდეს, თანახმად საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა.

15. პალატა აღნიშნავს, რომ ყოველგვარ აზრს მოკლებულია მსჯელობა დამატებითი სასჯელის – ჯარიმის შეკრების თაობაზე, დ. დ-ის მიმართ განაჩენის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ბრალდების ეპიზოდში გაუქმებისა და საქმის ამ ნაწილში შეწყვეტის გამო, თუმცა სააპელაციო სასამართლოს დამატებითი სასჯელის – ჯარიმის შეკრებისას არ დაურღვევია სისხლის სამართლის კოდექსისა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მოთხოვნები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 552-ე მუხლით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ დ. დ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ო. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 აპრილის განაჩენი დ. დ-ის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე შეწყდეს.

3. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის  
შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე  
ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის  
მოთხოვნის შუამდგომლობასთან დაკავშირებით  
საქმისწარმოების შეწყვეტა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№136აგ-16

29 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ჯ-ს ად-  
ვოკატების – დ. ბ-სა და თ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გა-  
მოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მა-  
ისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 ნოემ-  
ბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ი. ჯ-ს შორის და-  
დებული საპროცესო შეთანხმება. ი. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშა-  
ვედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხ-  
ლით და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავდ  
კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირო-  
ბით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე სისხლის სამართლის  
კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სა-  
ხით დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარი.

2. მსჯავრდებულ ი. ჯ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინა-  
აღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველ-  
ზე 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის,  
საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთია-  
ქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის,  
საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებუ-  
ლებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვით-  
მმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში –

საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური სარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

3. 2016 წლის 5 მაისს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ი. ჯ-მ და მოითხოვა მის მიმართ ამავე სასამართლოს 2014 წლის 24 ნოემბრის განაჩენით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენა.

4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის პირველი აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ ი. ჯ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1<sup>1</sup>-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია არის უფლებამოსილი, მსჯავრდებულს ამავე კანონით ჩამორთმეული უფლებები ვადამდე აღუდგინოს ან ვადა შეუმციროს.

5. აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. ჯ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების შეცვლა და შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ ი. ჯ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის პირველი აპრილის განჩინება დარჩა უცვლელად.

7. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ი. ჯ-ს ადვოკატებმა – დ. ბ-მ და თ. ჯ-მ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების შეცვლა და მსჯავრდებულ ი. ჯ-ს შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საქმისწარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესა-



ხებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენა გათვალისწინებულია ამავე კანონის მე-6 მუხლის 1<sup>1</sup>-ლი ნაწილით, კერძოდ – მსჯავრდებულისათვის ამავე კანონით ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის ან ვადის შემცირების უფლებამოსილება აქვს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიას.

3. მოცემულ შემთხვევაში კი მსჯავრდებულმა ი. ჯ-მ მისთვის „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის შესახებ შუამდგომლობით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება წარადგინონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ამასთან, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო შუამდგომლობას იხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესით, განსჯადობის მიხედვით, ხოლო მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენცია არის ამ კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

5. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის მოთხოვნით სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვისა და სასამართლოს მიერ ასეთი შუამდგომლობის განხილვის პროცედურას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ ი. ჯ-ს ზემოაღნიშნული შუამდგომლობის განხილვა არ წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას და სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, განიხილოს წარმოდ-

გენილი შუამდგომლობა.

6. რაც შეეხება მსჯავრდებულ ი. ჯ-სა და მისი ადვოკატების მოსაზრებას, რომ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი ხარვეზიანია და სასამართლომ შუამდგომლობის განხილვისას ანალოგიის წესით უნდა გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლი (სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა), ასევე პრეტენზიას, რომ სასამართლოს არ სურს გადაწყვეტილების მიღება შესაძლო პრეცედენტის წარმოქმნის გამო, – საკასაციო პალატა განმარტავს: ანალოგიის წესით საკანონმდებლო ნორმების გამოყენების სასამართლო პრეცედენტის დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი გარემოებების არსებობა, როგორცაა კანონში კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი კონკრეტული ნორმის არარსებობა – ხარვეზი და ამის გამო კანონის (ან სამართლის) ანალოგიის პრინციპის საფუძველზე მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენება ან კონკრეტული კაზუსიდან გამომდინარე, ნორმის ბუნდოვანების შემთხვევაში, კონკრეტული ნორმის იმგვარი განმარტება, რომელიც დაიცავს მხარეთა საუკეთესო ინტერესებს, განამტკიცებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებასა და, შესაბამისად, პრეცედენტის წარმოქმნას. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ი. ჯ-ს შუამდგომლობის განხილვისა და პრეცედენტის წარმოქმნის ზემოაღნიშნული არც ერთი გარემოება.

7. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულ ი. ჯ-ს შუამდგომლობაში მითითებულ მოთხოვნას აწესრიგებს კონკრეტული ნორმა, – როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენა გათვალისწინებულია ამავე კანონის მე-6 მუხლის 1<sup>1</sup>-ლი ნაწილით, – არ არსებობს წარმოდგენილი შუამდგომლობის სასამართლოს მიერ ანალოგიის წესის გამოყენებით განხილვისა და შესაბამისი პრეცედენტის დამკვიდრების საჭიროება.

8. რაც შეეხება მსჯავრდებულ ი. ჯ-სა და მისი ადვოკატების მოსაზრებას, რომ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი ხარვეზიანია სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა გან-

მხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულებასთან მიმართებით, რადგან მუდმივმოქმედი კომისიის დებულებით არ წესრიგდება სადავო საკითხი, რის გამოც სასამართლომ ანალოგიის წესით უნდა გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლი (სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა) და განიხილოს მსჯავრდებულის შუამდგომლობა, – საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ საკანონმდებლო აქტების ნორმებს შორის შესაძლო შეუსაბამობისა და ხარვეზის დადგენა, რომლებითაც არ ხელმძღვანელობს სასამართლო სადავო საკითხის გადაწყვეტისას, არ წარმოადგენს სასამართლოს განხილვისა და მსჯელობის თემას.

9. ამდენად, სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის დებულების „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის საკითხის გარკვევა არ წარმოადგენს საქართველოს საერთო სასამართლოების (არც ერთი ინსტანციით) სისხლის სამართლის წესით განსახილველ საქმეს.

10. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილ შუამდგომლობასთან მიმართებით არ არსებობს სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენების საფუძველი.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. ჯ-ს შუამდგომლობასთან დაკავშირებით საქმისწარმოება უნდა შეწყდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 300-309-ე მუხლებით, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შეწყდეს საქმისწარმოება მსჯავრდებულ ი. ჯ-ს შუამდგომლობასთან დაკავშირებით;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **7. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი**

### **ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება**

#### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№31აგ-16

25 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. დ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 11 ნოემბრის განაჩენით გ. დ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით, რასაც დაემატა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე და 151-ე მუხლებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით, მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 1000 ლარი; მასვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 29 სექტემბრიდან.

2015 წლის 29 დეკემბერს მსჯავრდებულმა გ. დ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე – მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 იანვრის განჩინებით მსჯავრდებულის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებული გ. დ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 იანვრის განჩინების გაუქმებას, შუამდგომლობის განხილვას, მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვას და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას იმის გათვალისწინებით, რომ „მარიხუანის“ მოხმარება უფრო მსუბუქი დანაშაულია, ვიდრე პირადი მოხმარებისათვის მისი შექმენა-შენახვა და მისი ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთა არაპროპორციული სასჯელია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ: არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 11 ნოემბრის განაჩენით გ. დ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის არაპროპორციულობის თაობაზე, რის გამოც ხსენებული გადაწყვეტილების შინაარსი საერთოდ არ ვრცელდება მოცემულ კონკრეტულ საქმეზე.

რაც შეეხება გ. დ-სთვის განსაზღვრულ 6 თვით თავისუფლების აღკვეთას (რისგანაც გათავისუფლდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე), აღნიშნული სასჯელი მას განსაზღვრული ჰქონდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე და 151-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის გამო. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება

არც აღნიშნულზე ახდენს გავლენას.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ გ. დ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერია, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განჩინება მსჯავრდებულ გ. დ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№82აგ-16

26 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ვ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 მაისის განაჩენით შ. ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 800 ლარი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 2 ივლისის განაჩენით შ. ვ-ეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (3 ეპიზოდი) განესაზღვრა 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა; დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 15 წლით, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით – 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2007 წლის 24 დეკემბრიდან; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 12000 ლარი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 მარტის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დე-

კემბრის კანონის საფუძველზე შ. ვ-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლითა და 6 თვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 4 მარტის განაჩენით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 ივლისის განაჩენი, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 სექტემბრის განაჩენითა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 მარტის განჩინებით შ. ვ-თვის დანიშნული სასჯელები დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 11 სექტემბრის განაჩენით სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 მაისის განაჩენი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა: შ. ვ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე (2015 წლის 31 ივლისიდან მოქმედი რედაქცია); განაჩენები სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. ბ-სა და ბრალდებულ შ. ვ-ეს შორის, რომლის თანახმად, შ. ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 მარტის განჩინებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 წელი, 8 თვე, 8 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით, 2 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2015 წლის 16 ოქტომბრიდან.

2015 წლის 27 ნოემბერს მსჯავრდებულმა შ. ვ-ემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადანყვეტილების საფუძველზე – მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებული შ. ვ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინების გაუქმებას, შუამდგომლობის განხილვას და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯე-



ლის მოხსნას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის პირველი მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების – „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ – ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისათვის შექენისა და შენახვის გამო.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შ. ვ-ეს სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 მაისის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში – 11 გრამი ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო დამზადება-შექენა-შენახვის ფაქტზე, რასთან დაკავშირებითაც (კერძოდ – დამზადების თაობაზე) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიუღია.

შესაბამისად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სა-

მართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებას, რაც შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულ შ. ვ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ შ. ვ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინება მსჯავრდებულ შ. ვ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე დარჩეს უცვლელად;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№60აგ-16

21 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 თებერვლის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 20 აგვისტოს განჩინებით გ. მ., – დაბადებული ...-ს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს 1960 წლის რედაქციის სსკ-ის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით, ხოლო 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით – უვადო თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ გ. მ-ს განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 1998 წლის 8 აპრილიდან.

2. აღნიშნული განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 11 მარტის განჩინებით დარჩა უცვლელად.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 4 ნოემბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. მ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენის გადასინჯვის შესახებ დაუშვებლად იქნა ცნობილი.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. მ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენის გადასინჯვის შესახებ

დაუშვებლად იქნა ცნობილი.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 18 იანვრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განჩინება მსჯავრდებულ გ. მ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩა უცვლელად.

6. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ გ. მ-ის მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი, კერძოდ: „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, მსჯავრდებულ გ. მ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და განესაზღვრა: საქართველოს 1960 წლის რედაქციის სსკ-ის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლითა და 3 თვით, ხოლო 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით – უვადო თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ გ. მ-ს მოსახდელად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 1998 წლის 8 აპრილიდან. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ გ. მ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 თებერვლის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, მსჯავრდებულ გ. მ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა საქართველოს 1960 წლის რედაქციის სსკ-ის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ერთი მეოთხედით შეუმცირდა საქართველოს 1960 წლის რედაქციის სსკ-ის 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მსჯავრდებულ გ. მ-ს, შთანთქმის პრინციპის გათვალისწინებით, განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 თებერვლის განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

8. 2016 წლის 25 იანვარს მსჯავრდებულმა გ. მ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენის გადასინჯვა

იმ მოტივით, რომ გამამტყუნებელი განაჩენი მის მიმართ გამოტანილია უსაფუძვლოდ; განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ ირიბი მონშის ჩვენებას, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით უკანონოდ იქნა მიჩნეული; ასევე შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს იმაზე, რომ მას არ მიეცა უფლება, გაესაჩივრებინა განაჩენი ზემდგომ ინსტანციაში; მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა; გარდა ამისა, მისი საქმე განიხილა სასამართლოს არაუფლებამოსილმა შემადგენლობამ სახალხო მსაჯულების მონაწილეობით, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ გ. მ-ს შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

10. კასატორი – მსჯავრდებული გ. მ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განჩინება დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს სხვა საფუძვლებთან ერთად იმ მოტივითაც, რომ სააპელაციო პალატამ განჩინებაში მიუთითა, რომ გ. მ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის სამართლებრივ საფუძვლად გამოყენებულია 1960 წლის 30 დეკემბრის კანონი – საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ანტიკონსტიტუციურად იქნა ცნობილი 2009 წლის 9 ოქტომბრის კანონის – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები ირიბი ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე, რაც უსაფუძვლოა და არ შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსს.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის განჩინებით შეჩერდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ გ. მ-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით და წარდგინებით მიემართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს რესპუბლიკის 1960 წლის 30 დეკემბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლის სიტყვების: „სასამართლო განაჩენს საფუძვლად უდებს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც განხილული იყო სასამართლო სხდომაზე“ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც იძლევა „ირიბი ჩვენების“ საფუძველზე გამამტყუნე-

ბელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.

12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით კონსტიტუციური წარდგინება არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად იმ მოტივით, რომ მოცემული წარდგინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, უზენაესი სასამართლო ითხოვდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეექმნა ფაქტობრივი საფუძვლები საქმისწარმოების განახლებისათვის, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სცილდება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის კანონით განსაზღვრულ ფარგლებს.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ნოემბრის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ გ. მ-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ:

2. პალატა აღნიშნავს, რომ შუამდგომლობასა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებულ არც ერთ საფუძველს, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში (სხვა საფუძველთან ერთად) კასატორი ითხოვს განაჩენის გადასინჯვას საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ (არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი) ქვეპუნქტის შესაბამისად, რის საფუძველდაც მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების ნორმატიული შინაარსი, რომლებიც ირობი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდა.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს იმ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც საფუძველად და-

ედო გადასასინჯ განაჩენს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ გ. მ-ის მიმართ დადგენილ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად არ უდევს საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პალატა კანონისმიერადაა მოკლებული შესაძლებლობას, გადალახოს საპროცესო კოდექსით დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმი.

4. რაც შეეხება კასატორის მიერ მითითებულ სხვა გარემოებებს, კერძოდ – განაჩენის გადასინჯვას იმ მოტივით, რომ მას არ მიეცა უფლება, გაესაჩივრებინა განაჩენი ზემდგომ ინსტანციაში, მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა, მისი საქმე განიხილა სასამართლოს არაუფლებამოსილმა შემადგენლობამ სახალხო მსაჯულების მონაწილეობით, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია – საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს აღნიშნულ საკითხებზე და მიუთითებს:

- ორი მსაჯულის მონაწილეობით სასამართლოს მიერ საქმის განხილვა გათვალისწინებული იყო „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით. მსაჯულები აირჩიეს 1991 წელს, ხოლო მათი უფლებამოსილების ვადა რამდენჯერმე გახანგრძლივდა, კერძოდ, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 12 ივნისის კანონის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მსაჯულებს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდათ 2005 წლის 31 დეკემბრამდე. ამდენად, საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული.

- საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევის ფაქტი, უნდა არსებობდეს ამ კონკრეტულ საქმეზე. მოცემულ საქმეზე კი მსაჯულთა მონაწილეობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რაიმე სახის გადაწყვეტილება არ მიუღია.

- სისხლის სამართლის საქმის დაკარგვა ასევე ვერ გახდება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველი, ვინაიდან იგი არ გამომდინარეობს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის მოთხოვნებიდან.

- რაც შეეხება შუამდგომლობის ავტორის მითითებას, რომ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ მას შეუზღუდა განაჩენის გასაჩივრების უფლება საკასაციო ინსტანციაში, რითაც დაარღვია მისი უფლებები საქმის ორ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით, აღნიშნული გარემოება ასევე არ წარმოშობს განაჩენის გადასინჯვის საფუძველს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ვინაიდან გ. მ-ის მიმართ საქმის სასამართლო განხილვა წარიმართა 1960 წლის რედაქციის საპროცესო კოდექსით, რომლის 337-ე მუხლის მე-5 ნაწილი დაუშვებლად მიიჩნევა უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრებას საკასაციო წესით. შესაბამისად, იმ პერიოდში მოქმედი საპროცესო ნორმები არ დარღვეულა.

5. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ გ. მ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერია, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 2 თებერვლის განჩინება მსჯავრდებულ გ. მ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ 130აგ-16

1 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 იანვრის განჩინებაზე.

**აღწერითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით გ. გ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების (0,1945 გრამი კანაფის ფისის) უკანონო შექმნა-შენახვა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 4000 ლარი. გ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო 2015 წლის 16 სექტემბრიდან 2015 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით.

2. 2016 წლის 4 იანვარს მსჯავრდებულმა გ. გ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა მის მიმართ არსებული განჩინების გადასინჯვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 იანვრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. გ-ის შუამდგომლობა არ იქნა დაშვებული განსახილველად.

4. მსჯავრდებული გ. გ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბი-

ლისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 იანვრის განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის პირველი მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების – „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ – ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარისხუანის“ პირადი მონარების მიზნებისათვის შეძენისა და შენახვის გამო.

4. საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. გ-ლს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში – 0, 1945 გრამი კანაფის ფისის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, რასთან დაკავშირებითაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიუღია.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას

მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 14 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№96აგ-15

2 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შველიაშვილი (თავმჯდომარე),
- ნ. გვენეტაძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. წ-ის ადვოკატის – მ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 ივნისის განაჩენით გ. წ-ე ცნო-

ბილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განაჩენით დაზარალებულის უფლებამონაცვლე ნ. ჭ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულ გ. ნ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჩ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ივნისის განაჩენში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, გ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ნ-ის ადვოკატ დ. ჩ-ისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ნ. ჭ-ის საკასაციო საჩივრები არ იქნა დაშვებული განსახილველად.

4. 2015 წლის 17 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ გ. ნ-ის ადვოკატმა მ. ჯ-მა, რომელმაც წარმოდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა მსჯავრდებულ გ. ნ-ის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

5. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ეყრდნობა დაუშვებელ მტკიცებულებებს, როგორცაა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ნ. ჭ-ისა და ლ. ლ-ის ირიბი ჩვენებები, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორის აზრით, ნ. ჭ-ის ჩვენება სიტყვასიტყვით იმეორებს ნ. ჯ-ის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ხოლო ლ. ლ-ის ჩვენების ის ნაწილი, სადაც იგი ამბობს, რომ თითქოსდა გ. ნ-ემ მათ უთხრა, „დავიღუპეთ, დანა დავარტყი გ-ო“, წარმოადგენს ირიბ ჩვენებას.

6. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, შუამდგომლობის ავტორს ახალი გარემოების სახით წარმოდგენილი აქვს ბიოლოგიური ექსპერტიზის №..., ტრასოლოგიური ექსპერტიზის №... და ქიმიური ექსპერტიზის №... №...

დასკვნები, ასევე შპს „სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მიერ გაცემული წერილი, რაც, მისი აზრით, ერთობლიობაში ადასტურებს მსჯავრდებულ გ. წ-ის უდანაშაულობას.

7. შუამდგომლობის ავტორს ასევე მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას და განაჩენის გამოტანისას უხეშად დაარღვია სსსკ-ის 540-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები (საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი).

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 28 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ გ. წ-ის ადვოკატის – მ. ჯ-ის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

9. მსჯავრდებულ გ. წ-ის ადვოკატი მ. ჯ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 28 ივლისის განჩინების გაუქმებას, მისი შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას იმ საფუძველზე (სხვა საფუძველთან ერთად), რომ განაჩენი გ. წ-ის მიმართ გამოტანილია ირიბი ჩვენებების საფუძველზე. ადვოკატი მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დაუშვებელი გახდა გამამტყუნებელი განაჩენის დაფუძნება ირიბ ჩვენებებზე.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 7 მარტის განჩინებით შეჩერდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ გ. წ-ის ადვოკატის – მ. ჯ-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით და წარდგინებით მიემართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების: „გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც იძლევა „ირიბი ჩვენების“ საფუძველზე გამამატყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით კონსტიტუციური წარდგინება არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად იმ მოტივით, რომ მოცემული წარდგინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, უზენაესი სასამართლო ითხოვდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეექმნა ფაქტობრივი საფუძველები საქმისწარმოების განახლებისათვის, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სცილდება საკონსტიტუციო

სასამართლოს კომპეტენციის კანონით განსაზღვრულ ფარგლებს.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ნოემბრის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ გ. წ-ის ადვოკატის – მ. ჯ-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან შუამდგომლობასა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებულ არც ერთ საფუძველს, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში კასატორი ითხოვს განაჩენის გადასინჯვას საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ (არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი) და „ზ“ (წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო) ქვეპუნქტების შესაბამისად.

2. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასინჯვის საფუძველად კასატორი მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების ნორმატიული შინაარსი, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდა.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს იმ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც საფუძველად და-

ედო გადასასინჯ განაჩენს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ გ. ნ-ის მიმართ დადგენილ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად არ უდევს საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პალატა კანონისმიერადაა მოკლებული შესაძლებლობას, გადალახოს საპროცესო კოდექსით დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმი.

4. საკასაციო პალატა არ იზიარებს ასევე კასატორის პოზიციას განაჩენის საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გადასინჯვის თაობაზე (იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი ბიოლოგიური ექსპერტიზის №..., ტრასოლოგიური ექსპერტიზის №... და ქიმიური ექსპერტიზის №... №... დასკვნები, ასევე შპს „ს... .. ის“ მიერ გაცემული წერილი ერთობლივად ადასტურებს მსჯავრდებულ გ. ნ-ის უდანაშაულობას), ვინაიდან, პირველ ყოვლისა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქმის მასალებში მოთავსებულია გამოძიებლის 2007 წლის 14 ნოემბრის დადგენილება კომპლექსური – ბიოლოგიური, მიკრონაწილაკების, ტრასოლოგიური, დაქტილოსკოპიური და ქიმიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ასევე, ოქმი ბრალდებულისთვის ექსპერტიზის დანიშვნის გამოცხადების შესახებ (რომლის თანახმადაც ბრალდებულ გ. ნ-ის გამოძიებელმა გააცნო მითითებული დადგენილება). შესაბამისად, დაცვის მხარისთვის ცნობილი იყო ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, ხოლო ის ფაქტი, რომ ბრალდების მხარემ არ დაურთო საქმეს აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნები, ეს ბრალდების მხარის გადასაწყვეტი იყო. ის გარემოება, რომ დაცვის მხარეს სურდა მითითებული ექსპერტიზის დასკვნების მოპოვება, მაგრამ ობიექტურად ვერ მოახერხა ეს საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, საქმის მასალებით არ დასტურდება. ამასთანავე, პალატა მიუთითებს, რომ ამ ექსპერტიზის დასკვნებით, რომლებიც დაცვის მხარემ დაურთო წარმოდგენილ შუამდგომლობას, არც პირდაპირ და არც სხვა გარემოებებთან ერთად არ დასტურდება მსჯავრდებულის უდანაშაულობა, ვინაიდან ის გარემოება, რომ ბრალდებულის ტანსაცმელზე არ აღმოჩნდა გარდაცვლილის სისხლი, ასევე, ზუსტად ვერ დადგინდა, თუ რომელი დანით იქნა მოკლული დაზარალებული და ბრალდებულისა და დაზარალებულის ტანსაცმელზე არ აღმოჩნდა ურთიერთგარდამავლი ბოჭკოს მიკრონაწილაკები, – არ გამოორიჯხავს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას.

5. რაც შეეხება შპს „ს... .. ის“ მიერ გაცემული წერილს, რომელშიც მითითებულია, რომ 2007 წლის 11-12 ნოემბერს მოქალაქე გ. ჭ-ისთვის თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარე-

ბის ცენტრში, სამედიცინო ბრიგადის გამოძახება დაფიქსირებული არ არის, რის საფუძველზეც კასატორს მიაჩნია, რომ დასტურდება მოწმეების – ნ. ჯ-ის (-), ნ. ჯ-ის (-) და ი. ჯ-ის მიერ ცრუ ჩვენებების მიცემის ფაქტი, პალატა არ იზიარებს, ვინაიდან ხსენებულ მოწმეებს არ დაუფიქსირებიათ თავიანთ ჩვენებებში, რომ მათ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება გ. ჭ-ისთვის; ხოლო რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას მოწმეთა ჩვენებებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე, პალატა მიუთითებს, რომ მათი ჩვენებები საქმის არსებითი განხილვის შედეგად შეაფასა სამივე ინსტანციის სასამართლომ, ხოლო მათი ხელახალი შეფასების სამართლებრივი საფუძველი საკასაციო პალატას არ გააჩნია.

6. უსაფუძვლოა ასევე კასატორის მითითება განაჩენის გადასინჯვის შესახებ იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ დაუმძიმა სასჯელი გ. ნ-ეს, ვინაიდან კასატორის მითითება საკანონმდებლო ნორმის არასწორად გამოყენების თაობაზე არ წარმოადგენს განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ საფუძველს. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მოთხოვნა დაცვის მხარეს წარმოდგენილი ჰქონდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განაჩენზე შეტანილ საკასაციო საჩივარშიც, შესაბამისად, საკასაციო პალატას ეს საკითხი შეფასებული აქვს.

7. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ გ. ნ-ის ადვოკატის – მ. ჯ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერია, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. ნ-ის ადვოკატის – მ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება მსჯავ-



რდებულ გ. ნ-ის ადვოკატის – მ. ჯ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№137აგ-16

6 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. კ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 ივლისის განაჩენით გ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-სამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, ხოლო 15 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – სა-

ჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები. მსჯავრდებულ გ. გ-ას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2011 წლის 20 აპრილიდან.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ გ. გ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 28 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. გ-ას საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

4. 2016 წლის 20 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ გ. გ-ას ადვოკატმა დ. კ-ემ და ითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

5. გ. გ. მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, თუმცა მას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღება არ ჩაუდენია. მან ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა, ხოლო გასაღება ჩაიდინა სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში. შესაბამისად, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო როგორც 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ისე – 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (გასაღების ნაწილში).

6. ადვოკატს მიაჩნია, რომ გ. გ-ას მსჯავრდებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებისათვის დაირღვა მისი კონსტიტუციური უფლებები, კერძოდ, კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები. აღნიშნული დარღვევა არ შეუფასებიათ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებს, ვინაიდან საქმის განხილვის მომენტი სათავის ისინი შებოჭილი იყვნენ სსსკ-ის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტითა და 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებით, რომელთა თანახმადაც, ვალდებული იყვნენ, ემსჯელათ მხოლოდ სააპელაციო/საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ვინაიდან სააპელაციო და საკასაციო საჩივრებში არ იყო მითითება გ. გ-ას მიმართ წარდგენილ კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ დარღვევაზე, სა-

აპელაციო და უზენაესმა სასამართლოებმა არ იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და მათ განაჩენი შეამოწმეს მხოლოდ საჩივრის ფარგლებში.

7. ადვოკატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში ახლად გამოვლენილ გარემოებას წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსსკ-ის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება და საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს და პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს პირი იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების ჩადენის შემდგომ მიღებული კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას. შესაბამისად, ადვოკატი მიიჩნევს, რომ სახეზეა საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გ. გ-ას მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვისათვის.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 31 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ გ. გ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

9. კასატორი – მსჯავრდებულ გ. გ-ას ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. კ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 31 მაისის განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას შუამდგომლობაში მითითებული მოტივებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუცი-

ურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

3. პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს.

4. პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებად მიჩნევის თაობაზე, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ მითითებულ გადაწყვეტილებაში იმსჯელა ორ კონკრეტულ საკითხზე, კერძოდ: საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა (სააპელაციო საჩივრის განხილვის ფარგლებში) და 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის (საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლებში) იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, რომლებიც სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს ართმევდა შესაძლებლობას, გასცდენოდნენ საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს ორ შემთხვევაში: 1. როდესაც ამას მოითხოვდა პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენებისა და 2. ორმაგი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპები. წარმოდგენილ შუამდგომლობასა და საკასაციო საჩივარში კი კასატორი არ მიუთითებს გ. გ-ას მიმართ აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპების შესაძლო დარღვევის თაობაზე.

5. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას, რომ დაცვის მხარის მიერ მითითებული საფუძვლის არასაკმარისად მიჩნევის შემთხვევაში სასამართლომ თავად მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული პროცესუალური ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა საერთოდ არ დგას სსსკ-ის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა და 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაშე, ვინაიდან მსჯელობს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის საკითხზე, ხოლო, ზოგადად, ნორმის კონსტიტუციურობაზე მიმართვის უფლებამოსილება (როდესაც იგი არ წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევაში გამოსაყენებელ კანონს) საკასაციო პალატას არ გააჩნია.

6. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ გ. გ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. კ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონ-

ნიერია, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. გ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის განჩინება მსჯავრდებულ გ. გ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. კ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№149აგ-16

22 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ს-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით დამტკიცდა პროკურორსა და ბრალდებულებს

– მ. ს-სა და ა. ა-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება:

- მ. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე ამავე კოდექსის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი. მ. ს-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 7 ივნისიდან იმავე წლის 9 ივნისის ჩათვლით. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

- ა. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე ამავე კოდექსის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი. ა. ა-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 7 ივნისიდან იმავე წლის 9 ივნისის ჩათვლით. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

2. 2016 წლის 14 ივნისს მსჯავრდებულმა მ. ს-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ მ. ს-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

4. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. ს-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, შუამდგომლობის დასაშვებად ცნობა და მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გა-

დანყვეტილების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის პირველი მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების – „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ – ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისათვის შექენისა და შენახვის გამო.

4. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. ს-ს თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ: წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით – 171,63 გრამი ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ უკანონო შექენა-შენახვაში. აღნიშნული ოდენობა კი აღემატება საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულ ოდენობას. ამასთან, გადაწყვეტილება მიღებულია ნარკოტიკულ საშუალება – „გამომშრალ მარიხუანასთან“ მიმართებით.

5. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა კონსტიტუციური წარდგინებებით სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შექენისა და შენახვის გამო, მაგრამ წარდგინებებში მითითებული ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ მოცულობა არ აღემატება საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მითითებულ 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანის“ ორმაგ ოდენობას (ნარკოტიკული საშუალება – „ნედლი მარიხუანის“ ორმაგი ოდენობა გამომდინარეობს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, რომლის №2 დანართის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში აღნიშნული ოდენობების მიხედვით, ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ ტოლფას ოდენობას შეადგენს „ნედლი მარიხუანის“ ორმაგი ოდენობა).

6. აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ წარდგინებებზე საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ეტაპზე გადაწყვეტილება არ მიუღია, ხოლო ამავე სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება არ ვრცელდება ნარკოტიკულ საშუალება – „ნედლ მარიხუანაზე“, მით უმეტეს 171,63 გრამზე, რომელიც აღემატება გადაწყვეტილებაში მითითებულ 70 გრამამდე „გამომშრალი მარიხუანის“ ორმაგ ოდენობასაც კი, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენისათვის მსჯავრდებულ მ. ს-ს მიმართ განსაზღვრული სასჯელის კონსტიტუციურობის საკითხის დასადგენად საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი დღევანდელი მოცემულობით არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს მსჯავრდებულ მ. ს-ს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და მისივე შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველი.

7. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებას, რაც შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შე-



სული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულ მ. ს-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. ს-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის განჩინება მსჯავრდებულ მ. ს-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ  
განჩინების უცვლელად დატოვება**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ 148აგ-16

29 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. გ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 ივნისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. წალკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრის განაჩენით ზ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 120-ე მუხლით – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ზ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მარტის განაჩენით წალკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მარტის განაჩენზე არ იქნა დამეხებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

4. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის

გამოყენებით ზ. გ. გათავისუფლდა წალკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დაკისრებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან; ზ. გ-ეს ერთი მეოთხედით შეუმცირდა წალკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზ. გ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2010 წლის 10 აგვისტოდან.

5. 2016 წლის 13 ივნისს მსჯავრდებულმა ზ. გ-ემ და მისმა ადვოკატმა ი. ბ-მა შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ პუნქტზე მითითებით მოითხოვეს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა. შუამდგომლობის ავტორები განმარტავენ, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს ექსპერტ მ. ნ-ის მიერ 2016 წლის 25 მაისს გაცემული №.....- სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებული ზ. გ. მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. აღნიშნულისა და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ მარცხენა წინაგულის ქრილობის გაკერვა მნიშვნელოვნად გაზრდიდა გ. დ-ის გადარჩენის შანსს, ზ. გ. და მისი ადვოკატი ითხოვენ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო წალკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრის გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ ზ. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-ის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

7. კასატორი – მსჯავრდებულ ზ. გ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ბ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას მასში მითითებული მოტივებით. კასატორი აგრეთვე მიუთითებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 310-ე და 313-ე მუხლები სასამართლოს უალტერნატივოდ ავალებს განაჩენის გადასინჯვას იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობა დაყენებულია სსსკ-ის 312-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ: შუამდგომლობა განსჯადობის მიხედვით წერი-

ლობითი ფორმითაა შეტანილი უფლებამოსილი სუბიექტის მიერ და მასში აღნიშნულია განაჩენის გადასინჯვის საფუძველი და მტკიცებულება. კასატორის აზრით, როდესაც შუამდგომლობა აკმაყოფილებს ხსენებულ კრიტერიუმებს (რასთანაც მოცემულ შემთხვევაში გვაქვს საქმე), სასამართლო ვალდებულია, გადასინჯოს განაჩენი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებებთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას, ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის განმარტებით, ახალ გარემოებას წარმოადგენს ექსპერტ მ. ნ-ის მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ზ. გ. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა.

3. პირველ ყოვლისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკითხი – პირი მოქმედებდა თუ არა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში – სცდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის კომპეტენციას. აუცილებელი მოგერიება არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, რომლის არსებობაც ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად სასამართლოს დასადგენია მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების შედეგად.

4. გარდა ამისა, პალატა მიუთითებს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს, თუ რატომ არ იშუამდგომლა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე და რა ახალი გარემოება გამოვლინდა, რის გამოც ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი ახლა გამოიკვეთა. ამდენად, აღნიშნული დასკვნა ვერ ჩაითვლება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის

საფუძვლად.

5. რაც შეეხება ადვოკატის მოსაზრებას, რომ საქართველოს სსსკ-ის 310-ე-313-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, დაეშვა შუამდგომლობა განსახილველად, პალატა აღნიშნავს, რომ დაცვის მხარე არასწორად განმარტავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მითითებულ მუხლებს, კერძოდ:

6. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის შეტანიდან 2 კვირის ვადაში სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე ამონმებს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და რამდენად არის ის დასაბუთებული; თუ შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არ არის დაყენებული ან დაუსაბუთებელია, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დაუშვებლად ცნობს მას; თუ შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არის დაყენებული და დასაბუთებულია, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დაუშვებს მას, ნიშნავს საქმის არსებითი განხილვის თარიღს და მხარეებს აძლევს გონივრულ ვადას საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებლად.

7. საკასაციო პალატა განმარტავს: საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-4 ნაწილი – თუ შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არის დაყენებული და დასაბუთებულია, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დაუშვებს მას – მიუთითებს, რომ იმისათვის, რათა სასამართლომ დაუშვას შუამდგომლობა განსახილველად, სახეზე უნდა იყოს ორივე პირობა, კერძოდ: დაცული უნდა იყოს როგორც ფორმალური მხარე, ისე შინაარსობრივი – ანუ შუამდგომლობა უნდა იყოს კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად დაყენებულიც და დასაბუთებულიც. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის შუამდგომლობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება დასაბუთებულად, თუ წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებებთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას, ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო. ხოლო იმ გარემოებას, არის თუ არა წარმოდგენილი ფაქტი/მტკიცებულება ახალი და ამტკიცებს თუ არა ის მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ უფრო მსუბუქი/მძიმე დანა-

შაულის ჩადენას, სასამართლო სწორედ დასაშვებობის ეტაპზე ამოწმებს და იმ შემთხვევაში, თუ დადებითად გადაწყვეტს აღნიშნულ საკითხს, ჩაითვლება რომ შუამდგომლობა აკმაყოფილებს დასაბუთებულობის კრიტერიუმს და თუ ფორმალურადაც სწორად არის დაყენებული, სასამართლო, საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, დაუშვას და განიხილოს იგი.

8. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ ზ. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერია, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. მსჯავრდებულ ზ. გ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 ივნისის განჩინება მსჯავრდებულ ზ. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
უცვლელად დატოვება იმ მოტივით, რომ არ  
არსებობს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის  
კანონით გათვალისწინებული საფუძველი**

**განაჩენი  
საქართველოს სახელმწიფო**

№ 139 აგ-16

9 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. მ-ს ად-  
ვოკატ ვ. გ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემო-  
ებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სა-  
მართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ნოემბრის განაჩენით ა. მ-ი  
ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეუწყვეტით (განსა-  
კუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკა-  
ნონო შექმნა, შენახვა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული სა-  
შუალების გასაღება) და მიესაჯა 17 წლით თავისუფლების აღ-  
კვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2011 წლის 12 მაისიდან. მასვე  
ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის  
შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლე-  
ბები.

2. ამავე განაჩენით მსჯავრდებულები არიან: გ. თ-ე, გ. ვ-ა,  
დ. ს-ა და გ. ე-ი.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-  
თლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მარტის განაჩენით თბი-  
ლისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის განა-  
ჩენი ა. მ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

4. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემ-  
ბრის კანონის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს  
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 თებერ-

ვლის განჩინებით ა. მ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2011 წლის 12 მაისიდან.

5. 2015 წლის 26 აგვისტოს მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატმა ვ. გ-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მსჯავრდებულ ა. მ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 სექტემბრის განჩინებით მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატ ვ. გ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 სექტემბრის განჩინება მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატ ვ. გ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ გაუქმდა შემდეგი მოტივით: სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობის დასაშვებობის ეტაპზე არ იყო უფლებამოსილი, შეეფასებინა მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნებოდა გადასასინჯი განაჩენი. გადანყვეტილება იმის თაობაზე, ირიბი ჩვენებების გაუზიარებლობის შემთხვევაში საკმარისი იყო თუ არა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, სააპელაციო პალატას უნდა მიეღო მხოლოდ შუამდგომლობის დაშვებისა და კანონით დადგენილი წესით განხილვის შედეგად. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია შუამდგომლობაში მითითებულ მოთხოვნაზე – ა. მ-ს მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელის ამავე კოდექსის 260-ე მუხლის ახალ რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის განჩინების შესა-



ბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 31 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატ ვ. გ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განსახილველად.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განაჩენით მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატ ვ. გ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატმა ვ. გ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ ა. მ-ს გამართლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ – განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონიშნავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ

საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე<sup>1</sup>) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადანყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

ზ<sup>1</sup>) წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. პირველ რიგში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატ ვ. გ-ს მოსაზრებაზე, რომ

თითქოს სააპელაციო სასამართლომ არ შეასრულა საკასაციო პალატის მითითება, ამასთან, განაჩენი გამოიტანა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის განხილვისათვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურების დარღვევით, კერძოდ: ის მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება გადასასინჯი განაჩენი, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა და განეხილა მხოლოდ გადასასინჯი განაჩენის გაუქმების შემდეგ, საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე მხარეთა დასწრებით, – ამ მოსაზრებაზე დაფუძნებულ მოთხოვნას საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება, რადგან უსაფუძვლოა და კიდევ ერთხელ განმარტავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 9 სექტემბრის განჩინების (რომლითაც მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატ ვ. გ-ს შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი) გაუქმების მოტივს მტკიცებულებათა შეფასების ნაწილში: სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობის დასაშვებობის ეტაპზე არ იყო უფლებამოსილი, შეეფასებინა მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნებოდა გადასასინჯი განაჩენი. გადაწყვეტილება იმის შესახებ, ირიბი ჩვენებების გაუზიარებლობის შემთხვევაში საკმარისი იყო თუ არა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, სააპელაციო პალატას უნდა მიეღო მხოლოდ შუამდგომლობის დამვეებისა და კანონით დადგენილი წესით განხილვის შედეგად, რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 31 მარტის განჩინებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებად ცნო მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატ ვ. გ-ს შუამდგომლობა, ხოლო 2016 წლის 30 მაისის განაჩენით შუამდგომლობა განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, რისი უფლებამოსილებაც ჰქონდა, ამავე კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის განხილვას გადასასინჯი განაჩენის გაუქმების შედეგად კანონი არ ითვალისწინებს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია შუამდგომლობის დაშვებისა და განხილვისათვის კანონით დადგენილი პროცედურები.

4. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იყოს განჩინების და არა – განაჩენის სახით, ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუ-

ამდგომლობის განსახილველად დაშვების შემდეგ სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობასა და საქმეს იხილავს არსებითად, რის შედეგადაც გამოაქვს განაჩენი. იმას, რომ სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განაჩენის ფორმით, ადასტურებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლის მე-3 ნაწილი, კერძოდ: „სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე შეიტანება საკასაციო საჩივარი ამ კოდექსით დადგენილი წესით“; ასევე, ამავე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება – „საქმის არსებითი განხილვა ტარდება სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად“, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმის – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განაჩენის ფორმით, მიუხედავად იმისა, ამ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილება თუ არა შუამდგომლობა (მოცემულ საქმესთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება (განაჩენი) გამოიტანა 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე – უცვლელად დატოვა გადასასინჯი განაჩენი და არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა).

5. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯავრდებულ ა. მ.-ს ადვოკატ ვ. გ.-ს შუამდგომლობის დაშვებისას და განხილვისას კანონით დადგენილი პროცედურები არ დაურღვევია, ასევე, სრულად შეასრულა საკასაციო სასამართლოს მითითებები მოცემულ საქმესთან დაკავშირებით.

6. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა და მართებულად თქვა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატი-

ული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.

9. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში არსებობს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულ ა. მ-ს მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მარტის განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, რაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა, კერძოდ, ა. მ-ს ბრალეულობა დასტურდება: ა. მ-ს პირადი ჩხრეკის, დაკავებისა და მისივე ავტომანქანის ჩხრეკის ოქმებით; გ. თ-ს, გ. ვ-ს, დ. ს-სა და გ. ე-ს პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმებით; მონმეთა ჩვენებებით; ექსპერტიზის დასკვნებითა და სხვა მტკიცებულებებით. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მარტის განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულ ა. მ-ს უდანაშაულოდ ცნობის შესახებ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმეში მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები, რომლებითაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დასტურდება მსჯავრდებულ ა. მ-ს მიმართ შერაცხული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა.

10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.

11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს იმ ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე იხდის მას, სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

12. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ა. მ-ს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვაში და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაში, რის გამოც სასჯელი განსაზღვრული

აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, რაც ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას რვიდან ოც წლამდე, ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში 2015 წლის 8 ივლისის კანონით განხორციელებული ცვლილებით, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 31 ივლისიდან, მსჯავრდებულ ა. მ-ს სისხლისსამართლებრივი მდგომარეობა არ უმჯობესდება და, შესაბამისად, მის მიმართ ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

13. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, მსჯავრდებულ ა. მ-თვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის შემსუბუქების შესახებ, ამავე მუხლში შესული ცვლილების შესაბამისად და ეთანხმება სააპელაციო სამართლოს პოზიციას, რომელმაც მართებულად არ გაავრცელა აღნიშნული ცვლილება მსჯავრდებულ ა. მ-ს მიმართ.

14. რაც შეეხება მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატ ვ. გ-ს მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ მოთხოვნას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის შესახებ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ შინაარსის შუამდგომლობით მას არ მიუმართავს განსჯადი – სააპელაციო სასამართლოსათვის და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ამ საკითხზე, რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, განიხილოს ეს მოთხოვნა.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც სადავო განაჩენის გაუქმების ან მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე, 307-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ა. მ-ს ადვოკატ ვ. გ-ს საკასაციო საჩივარი

არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად  
დატოვება**

**განაჩენი  
საქართველოს სახელმწიფო**

№75აგ-16

26 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. პ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ის საკაცაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 იანვრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით ე. პ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 თვე და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 3 წლის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 5 წელი – ჩაეთვალია პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარი. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაენყო 2014 წლის 21 მარტიდან.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით შეიცვალა: ე. პ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე; განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

3. 2015 წლის 16 და 18 ნოემბერს მსჯავრდებულმა ე. პ-მა და მისმა ადვოკატმა მ. მ-მ შუამდგომლობით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე – მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 იანვრის განაჩენით შუამდგომლობები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრისა და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის განაჩენებში შევიდა ცვლილება იმ მიმართებით, რომ ე. პ. გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – 6,89 გრამი „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით შექმენა-შენახვისათვის დაწინიებული სასჯელის მოხდისაგან. განაჩენები სხვა ნაწილში, მათ შორის – საბოლოო სასჯელის ნაწილში, დარჩა უცვლელად.

5. ადვოკატი მ. მ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

- ე. პ. მსჯავრდებულია პირადი მოხმარების მიზნით 6,89 გრამი ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანის“ შექმენა-შენახვისა და გადაზიდვის გამო; არც მის მიმართ ბრალდების დადგენილებასა და არც – სასამართლოს განაჩენში არ არის მითითებული, თუ რა მიზნით გადაზიდა აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება ე. პ-მა. ასეც რომ არ იყოს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში ყურადღება გამახვილებულია „გამომშრალი მარიხუანის“ ზოგადად ფლობასა და რეალიზაციის მიზანზე; საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლში შესული ცვლილებებით კანონმდებელმა დააწესა პასუხისმგებლობის სხვადასხვა ზომა ნარკოტიკული საშუალებების ფლობისა და რეალიზაციისათვის; აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს პოზიცია, როდესაც მან „გამომშრალი მარიხუანის“ გადაზიდვის გამო ე. პ-ის მიმართ არ გაავრცელა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწ-



ყვეტილება და არ გაათავისუფლდა ის ამ დანაშაულისათვის და-  
ნიშნული სასჯელისაგან, დაუსაბუთებელია.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. მ. ითხოვს  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 იანვრის გა-  
ნაჩენის გაუქმებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის  
თქმის ნაწილში, საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლსა და 260-ე  
მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელზე საქართვე-  
ლოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის  
გადაწყვეტილების გავრცელებას და ე. პ-ის გათავისუფლებას  
სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საქარ-  
თველოს სსსკ-ის 314-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეა-  
მოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დას-  
კვნამდე, რომ მსჯავრდებულ ე. პ-ის ინტერესების დამცველის,  
ადვოკატ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილ-  
დეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემ-  
დეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის  
310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლე-  
ნილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს  
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილე-  
ბა, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყე-  
ნებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის  
24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა  
ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2  
პუნქტთან მიმართებით, საქართველოს სისხლის სამართლის კო-  
დექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის პირველი მაისი-  
დან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების –  
„ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ  
წლამდე“ – ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწი-  
ნებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლე-  
ბის აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული სა-  
შუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკუროსორე-  
ბისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს  
კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში გან-  
საზღვრული, სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარ-  
კოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხ-  
მარების მიზნებისათვის შეძენისა და შენახვის გამო.

4. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ე. პ-ს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში – 6,89 გრამი „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის ფაქტზე, ხოლო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის განაჩენით – საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში – ნარკოტიკული საშუალებების – „ბუპრენორფინისა“ და „მარიხუანის“ უკანონოდ მოხმარების ფაქტზე, რასთან დაკავშირებითაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიუღია.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერი, მისი გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ე. პ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო  
სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად  
დატოვება**

**განაჩენი  
საქართველოს სსხ-ით**

№46აგ-16

29 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**  
**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**  
**ნ. გვენეტაძე,**  
**გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ბ-ს სა-  
კსაცო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბი-  
ლისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-  
თა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 მაისის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და შ. ბ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. შ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით ორ ეპიზოდში და მიესაჯა: 2013 წლის 6 დეკემბრის ეპიზოდისათვის (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქციით) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 2014 წლის 11 იანვრის ეპიზოდისათვის (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქციით) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე მკაცრმა სასჯელმა შეთანქვა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და მას დაუდგინდა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, 5 წელი განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 წელი – ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩეთავალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. შ. ბ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2014 წლის 12 იანვრიდან.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ შ. ბ-ს შუამდგომლობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „გ“ ქვეპუნ-

ქტის საფუძველზე მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლისა და ადვოკატის მიერ შესაძლო უკანონო ქმედებების განხორციელების შესახებ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ შ. ბ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განჩინება დარჩა უცვლელად.

4. 2015 წლის პირველ ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა შ. ბ-მ, რომელმაც მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გაუქმება და გამართლება იმ საფუძველით, რომ მას მოტყუებით დაადებინეს საპროცესო შეთანხმება და მიუსაჯეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, მის საქმესთან დაკავშირებით დაკითხული 13 მონმის ჩვენება არის ირიბი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებას, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. ასევე, მას შეცდომით განუსაზღვრეს მძიმე სასჯელი, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლში შეტანილი ცვლილება არ მოქმედებდა მის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ შ. ბ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინება მსჯავრდებულ შ. ბ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ გაუქმდა იმ საფუძველით, რომ გადაწყვეტილება – ირიბი ჩვენებების გა-

უზიარებლობის შემთხვევაში საკმარისია თუ არა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად – სააპელაციო პალატამ უნდა მიიღოს შუამდგომლობის დაშვებისა და კანონით დადგენილი წესით განხილვის შედეგად.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინების შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ შ. ბ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაშვებულ იქნა საქმის ზეპირი მოსმენით განსახილველად.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულ შ. ბ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა შ. ბ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამართლება იმავე საფუძვლებით, რაზეც უთითებდა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ – განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონიშნავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლო-

ბას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამოძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე<sup>1</sup>) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადანყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

ზ<sup>1</sup>) წარმოდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც

მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში არსებობს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულ შ. ბ-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 მაისის განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა, რაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა, კერძოდ: განაჩენით შ. ბ-ს ბრალეულობა დასტურდება მოწმეთა (მათ შორის დაზარალებულთა) ჩვენებებით, თავად შ. ბ-ს ჩვენებებით, ამოცნობის ოქმით, ვიდეოჩანაწერის, ტელეფონისა და რვეულის დათვალიერების ოქმებით, ასევე საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ოქმითა და სხვა მტკიცებულებებით.

4. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 მაისის განაჩენის გაუქმებისა და მისი უდანაშაულოდ ცნობის შესახებ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე მითითებით, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, ვინაიდან შ. ბ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმეში არის პირდაპირი ხასიათის ჩვენებები, რომლებითაც – როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა – დასტურდება მსჯავრდებულ შ. ბ-ს მიმართ შერაცხული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის ფაქტები.

5. რაც შეეხება მსჯავრდებულ შ. ბ-ს მოთხოვნას, რომ მას შეეცდომით განუსაზღვრეს მძიმე სასჯელი, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლში შეტანილი ცვლილება არ მოქმედებდა მის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლში 2013 წლის 27 ნოემბრის კანონით განხორციელებული ცვლილება, რომლითაც გამკაც-

რდა სასჯელის ზომა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, 2013 წლის 16 დეკემბერს კანონით დადგენილი წესით ელექტრონულად გამოქვეყნდა სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, ხოლო ამავე ცვლილების მე-2 მუხლის შესაბამისად, ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 მაისის განაჩენით მსჯავრდებულ შ. ბ-ს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის (ორივე ეპიზოდში) კანონის შესაბამისად განესაზღვრა სასჯელები.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც გასაჩივრებული განაჩენის მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ შ. ბ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№32აგ-16

28 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ო-ს სა-  
კასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბი-  
ლისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-  
თა პალატის 2016 წლის 13 იანვრის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით ვ. ო-ე  
ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის 273-ე მუხლით და განესაზღვრა 1 წლით თავისუფ-  
ლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2015 წლის 20 ოქტომ-  
ბრიდან. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინა-  
აღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალის-  
წინებული უფლებები.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის 2015 წლის 14 დეკემბრის განაჩენით თბილი-  
სის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კო-  
ლეგიის 2015 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3. 2015 წლის 31 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვ-  
ლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავ-  
რდებულმა ვ. ო-მ და მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განა-  
ჩენის გადასინჯვა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-  
თლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 იანვრის განჩინებით  
მსჯავრდებულ ვ. ო-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გა-

რემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

5. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. ო-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის დაკმაყოფილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შექენისა და შენახვის გამო.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება, რომლითაც, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე „გამომშრალი მარიხუანის“ შექენა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში და 2016 წლის 13 ივლისის განჩინებით კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ მოხმარებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე. საკასაციო პალატამ ამავე განჩინებით შეაჩერა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის

განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინებაში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტამდე.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 20 ოქტომბრის განმნესრიგებელი სხდომის განჩინებით შეწყდა საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე, ვინაიდან სადავოდ გამხდარი ნორმა საქმის განხილვის მომენტისათვის უკვე ძალადაკარგული იყო, კერძოდ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ ვ. ო-ს საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, ისე, რომ არ ამონებს მის დასაშვებობას. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, ძალაში დატოვოს სააპელაციო სასამართლოს განჩინება ან გააუქმოს იგი და მიუთითოს სააპელაციო სასამართლოს, რომ მან დაუშვას შუამდგომლობა.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს სა-

ქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განმმნესრიგებელი სხდომის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის.

5. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებული ვ. ო-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით – ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ უკანონო მოხმარებისათვის, რისთვისაც განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ვ. ო-ს საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 იანვრის განჩინება მსჯავრდებულ ვ. ო-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, შუამდგომლობის დასაშვებლად ცნობისა და განაჩენის გადასინჯვისათვის მსჯავრდებულ ვ. ო-ს სასჯელის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დაკმაყოფილდეს მსჯავრდებულ ვ. ო-ს საკასაციო საჩი-

ვარი;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 იანვრის განჩინება მსჯავრდებულ ვ. ო-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
ნაწილობრივ გაუქმება და საქმის დაბრუნება  
სასამართლოსთვის დასაშვებობის საკითხის  
გადასანახევრად**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№76აგ-15

21 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ჩ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 15 აგვისტოს განაჩენით ნ. ჩ., – დაბადებული ...-ს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, 109-ე მუხლის „თ“, „ი“, „ო“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), მე-17, 105-ე მუხლით (1996 წლის რედაქცია) და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით – 3

წლით, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით – 10 წლით, სსკ-ის მე-17,105-ე მუხლით – 9 წლით, სსკ-ის 109-ე მუხლის „თ“, „ი“, „ო“ ქვეპუნქტებით – უვადო თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების საფუძველზე, ნაწილობრივი შეკრებით, ნ. ჩ-ას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2005 წლის 23 დეკემბრიდან.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივრები მოცემულ საქმეზე არ დაკმაყოფილდა; ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 15 აგვისტოს განაჩენში ნ. ჩ-ს მიმართ შევიდა შემდეგი ცვლილება:

3. ნ. ჩ-ს ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის მე-19,109-ე მუხლის „თ“, „ი“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), გადაკვალიფიცირდა სსკ-ის მე-17,105-ე მუხლზე (1996 წლის რედაქცია), სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, ხოლო 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

4. ნ. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (ამჟამად მოქმედი რედაქცია) და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 10 წლით, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 2 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით, სსკ-ის მე-17,105-ე მუხლით (1996 წლის რედაქცია) – 9 წლით, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა (ამჟამად მოქმედი რედაქცია) და სსკ-ის 109-ე მუხლის „ი“, „ო“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – უვადო თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ნ. ჩ-ას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2005 წლის 23 დეკემბრიდან.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 11 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ ნ. ჩ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა; ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007

წლის 16 აპრილის განაჩენი ნ. ჩ-ს მიმართ შეიცვალა:

7. ნ. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გამოყენებით მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (ამჟამად მოქმედი რედაქცია) და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 7 წლითა და 6 თვით, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა (ამჟამად მოქმედი რედაქცია) და სსკ-ის 109-ე მუხლის „ი“, „ო“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით ნ. ჩ-ას საბოლოოდ განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2005 წლის 23 დეკემბრიდან. ამნისტიის აქტის საფუძველზე ნ. ჩ. გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის მე-17,105-ე მუხლით (1996 წლის რედაქცია), 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელების მოხდისაგან.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ ნ. ჩ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 11 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

9. 2015 წლის 2 ივლისს მსჯავრდებულ ნ. ჩ-ას ადვოკატმა გ. ნ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა ნ. ჩ-ას მიმართ გამოტანილი განაჩენების გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო იმ მოტივით, რომ ყველა გამამტყუნებელი განაჩენი ნ. ჩ-ს მიმართ გამოტანილია უსაფუძვლოდ; საქმეში არ მოიპოვება პირდაპირი და ირიბი სამხილები, რომლებიც გამორიცხავდა ყოველგვარ გონივრულ ეჭვსა და ვარაუდებს; ნ. ჩ-ს მიმართ დადგენილი ოთხივე განაჩენი ეყრდნობა იმ ნორმებს, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა, კერძოდ: 2015 წლის 22 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა: ა) საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადების ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამ კოდექსის 76-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებების ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) სსსკ-ის 169-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირი-

ბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდების შესაძლებლობას; ამდენად, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ანტიკონსტიტუციურად გამოცხადებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დასახელებული მუხლები გაუქმდა და იურიდიული ძალა დაკარგა, მაშასადამე, სახეზეა ამავე კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული გარემოების იურიდიული შესაძლებლობა და, შესაბამისად, ნ. ჩ-ს ბრალდების საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები უნდა გადაისინჯოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ ნ. ჩ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

11. კასატორი – მსჯავრდებულ ნ. ჩ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ნ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინება დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

- სააპელაციო პალატამ განჩინებაში მიუთითა, რომ ნ. ჩ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის სამართლებრივ საფუძველად გამოყენებულია 1998 წლის 20 თებერვლის კანონი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ანტიკონსტიტუციურად იქნა ცნობილი 2009 წლის 9 ოქტომბრის კანონის – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები ირიბი ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე; სააპელაციო სასამართლოს ლოგიკით, ძალადაკარგულად გამოცხადებული კანონი მეორედ უნდა გაუქმდეს, ხოლო ძალადაკარგული კანონის საფუძველზე გამოტანილი განაჩენი „მარადიულ ძალას ატარებს“ და მისი გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო არასდროს შეიძლება, რაც სამართლებრივად მიუღებელია, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად ცნო ზოგადად ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ირიბი მტკიცებულებების შეფასებასთან იყო დაკავშირებული; ამდენად, დაუშვებლად იქნა ცნობილი ირიბი მტკიცებულებები ყველა იმ განაჩენში, რომლებშიც იგი გამოყენებულია გადაწყვეტილების მიღების საფუძველად და მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი კოდექსი ადგენდა ამ მტკიცებულებათა გამოყენების წესს;

- კასატორის განმარტებით, ნ. ჩ-ას მიმართ გამამტყუნებელი



განაჩენის დადგენას საფუძვლად დაედო მონმის – ექსპერტ გ. ც-ის ჩვენება, რომელიც არ იყო მოპოვებული კანონით დადგენილი წესით და სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რის გამოც წარმოადგენდა დაუშვებელ მტკიცებულებას და არ უნდა დასდებოდა საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს; ეს ფაქტი სწორედ ის გარემოებაა, რომელსაც სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი გულისხმობს (იმისდა მიუხედავად, არის თუ არა იგი ახალი სასამართლოსათვის), ამიტომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მასზე;

• გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა ისეთი შემადგენლობით, რომელიც მსჯავრდებულ ნ. ჩ-თან მიმართებით არ იყო კანონიერი – მოსამართლე გ. კ. ხელს აწერს ნ. ჩ-ს მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს;

12. ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით, ადვოკატი გ. ნ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინების გაუქმებას და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ნოემბრის განჩინებით შეჩერდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ ნ. ჩ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით და წარდგინებით მიემართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების: „გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც იძლევა „ირიბი ჩვენების“ საფუძველზე გამამატყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით კონსტიტუციური წარდგინება არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად იმ მოტივით, რომ მოცემული წარდგინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, უზენაესი სასამართლო ითხოვდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეექმნა ფაქტობრივი საფუძვლები საქმისწარმოების განახლებისათვის, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სცილდება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის კანონით განსაზღვრულ ფარგლებს.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ ნ. ჩ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლებელია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ: განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე<sup>1</sup>) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფ-

ხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

ზ<sup>1</sup>) წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საქმის მასალებით ცნობილია, რომ კასატორი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვას ითხოვს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, შესაბამისად, შუამდგომლობა ემყარება განაჩენის გადასინჯვის ორ სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველს.

4. პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ კასატორი საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასინჯვის საფუძვლად მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ

ნორმების ნორმატიული შინაარსი, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდა.

5. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს იმ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც საფუძველად დაედო გადასასინჯ განაჩენს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ჩ-ს მიმართ დადგენილ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად არ უდევს საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პალატა კანონისმიერადაა მოკლებული შესაძლებლობას, გადალახოს საპროცესო კოდექსით დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმი.

6. საკასაციო პალატა არ იზიარებს ასევე კასატორის მოსაზრებას, რომ მოსამართლე გ. კ-ეს არ ჰქონდა უფლება, მონაწილეობა მიეღო მისი შუამდგომლობის განხილვაში იმ მოტივით, რომ იგი მონაწილეობდა ნ. ჩ-ს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში. პალატა ამასთან დაკავშირებით მიუთითებს: საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობა მოსამართლეს არ უზღუდავს უფლებას, მონაწილეობდეს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვაში (№17აგ-16, №416აგ-15, №28აგ-15).

7. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოთხოვნას თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინების გაუქმებისა და სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასასინჯად სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის დაბრუნების თაობაზე შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, ვინაიდან როგორც გასაჩივრებული განჩინებიდან დგინდება, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესახებ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის კონტექსტში.

8. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინება უნდა გაუქმდეს ნაწილობრივ და საქმე დაბრუნდეს სააპელაციო სასამართლოში საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით ნ. ჩ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. ნ-ის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად.

9. სააპელაციო სასამართლოს განჩინება სხვა ნაწილში, მათ შორის საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით

განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის ნაწილში, უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ნ. ჩ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს ნაწილობრივ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინება და საქმე დაბრუნდეს სააპელაციო სასამართლოში საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულ ნ. ჩ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. ნ-ის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინება სხვა ნაწილში, მათ შორის საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
ნაწილობრივ გაუქმება და საქმის დაბრუნება  
სასამართლოსთვის დასაშვებობის საკითხის  
გადასაწყვეტად**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№77აგ-15

21 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ს ად-  
ვოკატ ვ. გ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოე-  
ბათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-  
თლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 15 აგვისტოს განაჩენით გ. გ-ი  
ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის 109-ე მუხლის „გ“, „თ“, „ი“, „ლ“ ქვეპუნქტებით (2006  
წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და განესაზღვრა უვადო  
თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო დაკავების  
დღიდან – 2006 წლის 7 მარტიდან.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-  
თლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 აპრილის განაჩენით გ. გ-  
ს ადვოკატის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა კოლეგიის 2006 წლის 15 აგვისტოს განაჩენში შევიდა შემ-  
დეგი ცვლილება:

• გ. გ-ს დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული  
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის  
„გ“, „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმე-  
დი რედაქცია), გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კო-

დექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ და მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებზე. სხვა ნაწილში კვალიფიკაცია დარჩა უცვლელად;

• გ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით (მოქმედი რედაქცია), სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2006 წლის 7 მარტიდან.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინებით დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 11 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ გ. გ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 აპრილის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

გ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (მოქმედი რედაქცია), სსკ-ის 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 7 მარტიდან.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ გ. გ-ს ადვოკატის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 11 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. 2015 წლის 2 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ გ. გ-ს ადვოკატმა ვ. გ-მ, რომელმაც მოითხოვა მსჯავრდებულ გ. გ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენების გადასინჯვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“, „დ“, „ზ“ ქვეპუნქტებით საქართველოს საკონსტიტუციო სა-

სამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც დაუშვებელი გახდა გამამტყუნებელი განაჩენის დაფუძნება ირიბ ჩვენებებზე, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით: ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ გ. გ-ს ადვოკატ ვ. გ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

8. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. გ-ს ადვოკატმა ვ. გ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მსჯავრდებულ გ. გ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენების გადასინჯვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება, რომლითაც, მართალია, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მოქმედი – საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნია ძველი – საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსი შინაარსის ნორმები და ვინაიდან, მოცემულ საქმეში მსჯავრდებულის მიმართ საქმე ნაწარმოებია ძველი – 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საკასაციო პალატამ 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინებით კონსტიტუციური წარ-



დგინებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების – „გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“ – საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც იძლევა „ირიბი ჩვენების“ საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. საკასაციო პალატამ ამავე განჩინებით შეაჩერა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინებაში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტამდე.

10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განმმწესრიგებელი სხდომის განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ გ. გ-ს ადვოკატ ვ. გ-ს საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ გ. გ-ს ადვოკატ ვ. გ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ – განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონაწილეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლო-

ბას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე<sup>1</sup>) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადანყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

ზ<sup>1</sup>) წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც

მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ კასატორი საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასინჯვის საფუძვლად მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების ნორმატიული შინაარსი, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდა.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს იმ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ გ. გ-ს მიმართ დადგენილ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად არ უდევს საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პალატა კანონისმიერადაა მოკლებული შესაძლებლობას, გადალახოს საპროცესო კოდექსით დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმი.

5. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოთხოვნას თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განჩინების გაუქმებისა და სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასასინჯად სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის დაბრუნების თაობაზე შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, ვინაიდან როგორც გასაჩივრებული განჩინებიდან დგინდება, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესახებ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის კონტექსტში.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინება უნდა გაუქმდეს ნაწილობრივ და საქმე დაბრუნდეს სააპელა-

ციო სასამართლოში საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულ გ. გ-ს ადვოკატ ვ. გ-ს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად.

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინება სხვა ნაწილში, მათ შორის საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის ნაწილში, უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. გ-ს ადვოკატ ვ. გ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ნაწილობრივ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინება და საქმე დაბრუნდეს სააპელაციო სასამართლოში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულ გ. გ-ს ადვოკატ ვ. გ-ს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინება სხვა ნაწილში, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის ნაწილში, დარჩეს უცვლელად;

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადანინჯვის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის  
შუამდგომლობის განსახილველად დაშვების მიზნით**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ 135აგ-16

5 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ს-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ბრალდების მხარესა და მსჯავრდებულ ნ. ს-ეს შორის. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (მარიხუანის მოხმარება) და სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – ჯარიმა 1100 ლარი და საბოლოოდ ნ. ს-ეს განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა – 1100 ლარი.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართეს მსჯავრდებულმა ნ. ს-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. მ-

ემ, რომლებმაც მოითხოვეს ნ. ს-ის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განჩინებით შუამდგომლობა არ იქნა დაშვებული განსახილველად.

4. კასატორები – მსჯავრდებული ნ. ს. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. მ. ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 მაისის განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინების საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარისუანის“ მოხმარებისთვის.

3. პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით (არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი) გათვალისწინებულ, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველს, რის გამოც უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამარ-

თლოს 2016 წლის 17 მაისის განჩინება მსჯავრდებულ ნ. ს-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. მ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და წარმოება დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, შუამდგომლობის განსახილველად დაშვების მიზნით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 მაისის განჩინება მსჯავრდებულ ნ. ს-ის მიმართ.
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის  
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების  
გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის  
საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის  
ანალოგიით გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№146აგ-16

22 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ხ. ბ-ს სა-  
კასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბი-  
ლისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-  
თა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრი-  
ლის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და მსჯავრდებულ ხ.  
ბ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

ხ. ბ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ  
და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის  
„ბ“ ქვეპუნქტით (2015 წლის 25 მარტის ეპიზოდი) – 3 წლით თა-  
ვისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის 63-ე მუხლის სა-  
ფუძველზე ჩაეთვალა პირობით. მასვე სსკ-ის 41-ე-44-ე მუხ-  
ლების გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა სა-  
ზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 150 საათით; სსკ-ის  
177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2015 წლის 30 მარ-  
ტის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე  
კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით; სსკ-  
ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 27 მარტის ეპიზო-  
დი) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის  
63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,



სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით ხ. ბ-ს საბოლოოდ მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე, სსკ-ის 41-ე-44-ე მუხლების გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 150 საათით.

2. 2016 წლის 6 ივნისს მსჯავრდებულმა ხ. ბ-მ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განაჩენის გადასინჯვა – დამატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისაგან გათავისუფლება შემდეგ გარემოებათა გამო: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განაჩენის გამოტანიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული განაჩენის გამოტანის დროს იყო დაახლოებით 3 თვის ორსული, ხოლო 2015 წლის 21 ოქტომბერს შეეძინა შვილი, რომელიც სააპელაციო სასამართლოში შუამდგომლობის შეტანის დროს იყო 8 თვის. ამდენად, მისი მოსაზრებით, დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ შეიძლება დაენიშნოს ორსულ ქალს.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ ხ. ბ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

4. მსჯავრდებული ხ. ბ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინებას და ითხოვს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განაჩენით უკანონოდ განსაზღვრული დამატებითი სასჯელის – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისაგან გათავისუფლებას იმავე საფუძველებით, რაზეც უთითებდა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში. გარდა ამისა, კასატორი დამატებით განმარტავს, რომ, ვინაიდან მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს განაჩენში გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრის მექანიზმებს, სააპელაციო სასამართლოს, საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლის

მე-3 ნაწილის საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიის გამოყენებით, იგი უნდა გაეთავისუფლებინა უკანონოდ დაკისრებული დამატებითი სასჯელისაგან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ – განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვა, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე<sup>1</sup>) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადანყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონ-

ვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

ზ<sup>1</sup>) წარმოდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განაჩენით ხ. ბ-ს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 150 საათით. აღნიშნული განაჩენის გამოტანის შემდეგ, კერძოდ, 2015 წლის 23 მაისს, შპს „კ-ს“ მიერ გაცემული სამეანო კვლევის შესახებ ცნობით ირკვევა, რომ ხ. ბ-ი იყო 18-19 კვირის ორსული, ხოლო მშობიარობის სავარაუდო თარიღად მითითებულია – 2015 წლის 18 ოქტომბერი. თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ გაცემული დაბადების მოწმობის თანახმად, ხ. ბ-ს შვილი – ლ. ბ-ი დაიბადა 2015 წლის 21 ოქტომბერს. ამდენად, ზემოაღნიშნული მასალებით დასტურდება, რომ ხ. ბ-ი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განაჩენის გამოტანის დროს იყო დაახლოებით 14-15 კვირის ორსული, რაც იმ მომენტში უცნობი იყო როგორც თავად მსჯავრდებულის, ასევე – განაჩენის გა-

მომტანი სასამართლოსათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება: „პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე განვეულ სამხედრო მოსამსახურეს“.

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეუბნების შესაბამისად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

5. საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული განმარტება არ გულისხმობს იმგვარ შემთხვევებს, როდესაც აღმოჩნდება ისეთი ახალი გარემოება, რომლითაც დგინდება, რომ სასამართლომ მსჯავრდებულს განუსაზღვრა ისეთი სასჯელი, რომელიც არ დაინიშნებოდა, თუკი მისთვის ცნობილი იქნებოდა აღნიშნული გარემოება. ის, რომ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მოცემული ჩამონათვალი არ ითვალისწინებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შორის ისეთ გარემოებას, რომელიც, მართალია, გავლენას არ ახდენს პირის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციასა და მის ბრალეულობაზე, მაგრამ აუცილებლად იწვევს განაჩენით დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას, ამასთან, არ უკავშირდება პროცესის მონაწილეთა უკანონო ქმედებას, ანდა რომელიმე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, საკასაციო პალატის აზრით, უნდა ჩაითვალოს მითითებული საპროცესო კანონის ხარვეზად, რის გამოც გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კანონის ანალოგია, რადგან მოცემულ შემთხვევაში ამით არ შეიზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მსჯავრდებულ ხ. ბ-ს მიმართ ზემოაღნიშნული პრინციპის გამოყენება არათუ შელახავს მის უფლებებს, არამედ პირიქით – ეს იქნება მის მიმართ არსებული სისხლის სამართალ-

წარმოების შედეგის გამოსწორების საშუალება, რითაც არსებითად და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა (იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 თებერვლის №1/საზ.-2010 განჩინება).

6. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის გამოსასწორებლად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაბრუნდეს სააპელაციო სასამართლოში საქართველოს სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, იმავე კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ანალოგიით გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ხ. ბ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივნისის განჩინება მსჯავრდებულ ხ. ბ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასინჯვისას სასამართლო არ არის  
უფლებამოსილი იმსჯელოს გადასასინჯი  
გადაწყვეტილების სამართლიანობაზე, თუკი  
დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის  
ფარგლებშია**

**განაჩენი  
საქართველოს სახელმწიფო**

№44აგ-16

11 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აპრილის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და შ. ჯ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. შ. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც ამავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე 1 წელი განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი – სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარი. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. შ. ჯ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2013 წლის 7 მარტიდან.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის განაჩენით შ. ჯ-ი ცნობილ

იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილების „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აპრილის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი – 2 წელი, ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით განსაზღვრულ სასჯელს დაემატა წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აპრილის განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 1 წელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, შ. ჯ-ს განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2014 წლის 5 დეკემბრიდან.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის განაჩენი შ. ჯ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი შ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 მაისის განაჩენზე.

5. 2016 წლის 11 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა შ. ჯ-მ და მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აპრილისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 მაისის განაჩენები შეიცვალა და მსჯავრდებულ შ. ჯ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (2015 წლის 31 ივლისიდან მოქმედი რედაქცია). თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 16 აპრილი-

სა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 მაისის განაჩენები და-ნარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა შ. ჯ-მ და მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.

3. სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე და თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა.

5. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში შესული ცვლილების გათვალისწინებით, მისთვის განსაზღვრული სასჯელის შემსუბუქების შესახებ.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც გასაჩივრებული განაჩენის მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.



**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ შ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადანინჯვა და არასრულწლოვნის მიმართ  
„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების  
კოდექსით“ გათვალისწინებული უკუპაღის  
გამოყენებით განაჩენის კვალიფიკაციის ნაწილში  
ცვლილების შეტანა**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№73აგ-16

13 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- ნ. გვენეტაძე,
- გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ქ. მ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 სექტემბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ქ. მ-ს შორის დადებული საპროცესო

შეთანხმება. ქ. მ-ი, – დაბადებული 19.. წლის ... მარტს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 3 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2010 წლის 21 სექტემბრიდან.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ნოემბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და ქ. მ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ქ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ (2013 წლის 23, 24 და 25 აგვისტოს ეპიზოდებში) და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და ამავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და 55-ე მუხლის გამოყენებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ მას დაუდგინდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 2 წელი განესაზღვრა სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 3 წელი – ამავე კოდექსის 63-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. ქ. მ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2013 წლის 25 აგვისტოდან.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 მარტის განაჩენით ქ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2013 წლის 10 აგვისტოს ეპიზოდში) და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დადგენილმა სასჯელმა შთანთქა წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ნოემბრის განაჩენით დადგენილი სასჯელი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ქ. მ-ს განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2014 წლის 6 მარტიდან. მას-

ვე სასჯელის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 25 აგვისტოდან 2014 წლის 5 მარტის ჩათვლით.

4. 2016 წლის პირველ თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ქ. მ-მ და მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა 2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 მარტის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: მსჯავრდებულ ქ. მ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი მსჯავრიდან ამოერიცხა 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (არაერთგზისობა) და ამ ნაწილში გამართლდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 მარტის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ქ. მ-მ და მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადასინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.

3. 2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის დებულებებს, გარდა ამ კოდექსის საპროცესო ნორმებისა, აქვს უკუძალა, თუ ამით უმჯობესდება არასრულწლოვნის მდგომარეობა. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის

პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვანად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

4. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსის 38-48-ე მუხლებით დადგენილი ნორმები 18-დან 21 წლამდე ასაკის პირზე ვრცელდება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეს კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის ბრალდებული პირის მიმართ ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე მას შეუძლია ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით.

5. საქმის მასალებით ირკვევა, რომ 19.. წლის ..... მარტს დაბადებულმა ქ. მ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ნოემბრისა და 2014 წლის 6 მარტის განაჩენებით გათვალისწინებული დანაშაულები ჩაიდინა 2013 წლის 10, 23, 24 და 25 აგვისტოს – სრულწლოვანმა, 19 წლის ასაკში.

6. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 38-48-ე მუხლებით დადგენილი ნორმები, რომლებიც ეხება 18-დან 21 წლამდე ასაკის პირს, მსჯავრდებულ ქ. მ-ს მიმართ ვერ გავრცელდება, ვინაიდან მოცემულ საქმეზე სამართალწარმოება დამთავრებულია. ამასთან, მსჯავრდებული ქ. მ-ი საქმის არსებითი განხილვის დროს სარგებლობდა ადვოკატის მომსახურებით.

7. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენით, – რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 მარტის განაჩენი შეიცვალა და 2010 წლის 24 სექტემბრის განაჩენით ქურდობისათვის ნასამართლევ ქ. მ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2013 წლის 10 აგვისტოს ეპიზოდში) წარდგენილი მსჯავრიდან ამოერიცხა 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (არაერთგზისობა) და ამ ნაწილში გამართლდა, – საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამარ-

თლებრივად სწორად შეაფასა და ქ. მ-ს მიმართ გაავრცელა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული შეღავათი. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს:

8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზისი დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული არაერთგზისი ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

9. ამავე კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტის საფუძველზე ამ კოდექსის 177-ე-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისი ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე, 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.

10. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობითი მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

11. ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული 19.. წლის ... მარტს დაბადებულმა ქ. მ-მ ჩაიდინა 2010 წლის 7 სექტემბერს – არასრულწლოვანმა, 16 წლის ასაკში და სასჯელი 2013 წლის 10, 23, 24 და 25 აგვისტოსთვის (იმავე მუხლით ახალი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის დროისათვის) უკვე მოხდილი ჰქონდა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე იგი ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

12. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ნოემბრისა და 2014 წლის 6 მარტის განაჩენებით

ქ. მ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის) მსჯავრი წარედგინა 2010 წლის 7 სექტემბრის განაჩენით ქურდობისთვის ნასამართლობის გამო, რომელიც გაუქარწყლდა სასჯელის მოხდისთანავე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე უნდა მიეღო გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის როგორც 2013 წლის 28 ნოემბრის, ასევე 2014 წლის 6 მარტის განაჩენებიდან ქ. მ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებებისათვის 2013 წლის 10, 23, 24 და 25 აგვისტოს ეპიზოდებში წარდგენილი მსჯავრიდან 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის – არაერთგზისობის ამორიცხვისა და ამ ნაწილში მისი გამართლების შესახებ.

13. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ ქ. მ-ს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 მარტის განაჩენით 2013 წლის 10 აგვისტოს ეპიზოდისათვის დადგენილი მსჯავრიდან ამორიცხვა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (არაერთგზისობა) და გაამართლა ამ ნაწილში, ხოლო ამავე სასამართლოს 2013 წლის 28 ნოემბრის განაჩენით მისთვის 2013 წლის 23, 24 და 25 აგვისტოს ეპიზოდებისათვის წარდგენილი მსჯავრიდან სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (არაერთგზისობის) ამორიცხვისა და ამ ნაწილში გამართლების შესახებ არ უმსჯელია.

14. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენი უნდა შეიცვალოს: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ნოემბრის განაჩენიდან ქ.მ-ს (2013 წლის 23, 24 და 25 აგვისტოს ეპიზოდებში) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (ორ ეპიზოდში) და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი მსჯავრიდან უნდა ამორიცხოს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (არაერთგზისობა) და ამ ნაწილში უნდა გამართლდეს. თბილისის სააპელა-

ციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენი დანარჩენ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

15. რაც შეეხება მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქებას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს.

16. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე და თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას მისთვის განსაზღვრული სასჯელის შემსუბუქების შესახებ 2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ქ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

• თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ნოემბრის განაჩენით ქ. მ-ს (2013 წლის 23, 24 და 25 აგვისტოს ეპიზოდებში) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (ორ ეპიზოდში) და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი მსჯავრიდან ამოერიცხოს

177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (არაერთგზისობა) და ამ ნაწილში გამართლდეს;

• თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 28 ნოემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქართველოს 20.02.1998 წლის სისხლის სამართლის  
საპროცესო კოდექსით ნაწარმოები სს საქმა არ  
წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლოს 22.01.2015 წლის გადაწყვეტილების  
შესაბამისად, განაჩენის გადასინჯვის ა/  
გამოვლენილ გარემოებასა და შუამდგომლობის  
დასაშვებად ცნობის საფუძველს**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№62აგ-16

28 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შველიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ქ-სა და მისი ადვოკატის – მ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 27 ივლისის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მ. ქ-ს შორის. მ. ქ-



ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 332-ე მუხლის პირველი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, მ. ქ-ს განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. გაუქმდა აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება და მ. ქ-ა დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

2. 2015 წლის 21 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართეს მსჯავრდებულმა მ. ქ-მ და მისმა ადვოკატმა მ. ჩ-მ, რომლებმაც მოითხოვეს მსჯავრდებულ მ. ქ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც დაუშვებელი გახდა გამამტყუნებელი განაჩენის დაუქმნება ირიბ ჩვენებებზე.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ მ. ქ-სა და მისი ადვოკატის – მ. ჩ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

4. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა მ. ქ-მ და მისმა ადვოკატმა მ. ჩ-მ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, შუამდგომლობის განსახილველად დაშვება და მსჯავრდებულ მ. ქ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით: ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუ-

ნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება, რომლითაც, მართალია, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მოქმედი – საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნია ძველი – საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მსგავსი შინაარსის ნორმები და ვინაიდან, მოცემულ საქმეში მსჯავრდებულის მიმართ საქმე ნაწარმოებია ძველი – 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საკასაციო პალატამ 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინებით კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების – „გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“ – საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც იძლევა „ირიბი ჩვენების“ საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. საკასაციო პალატამ ამავე განჩინებით შეაჩერა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინებაში აღნიშნული საკითხის გადანყვებამდე.

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განმწესრიგებელი სხდომის განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ მ. ქ-სა და მისი ად-

ვოკატის – მ. ჩ-ს საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით: ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას.

4. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ირიბი ჩვენებებთან დაკავშირებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მხოლოდ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმები, ხოლო 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმა სასამართლოს არ უცვნიან არაკონსტიტუციურად და იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეში მსჯავრდებულის მიმართ საქმე ნაწარმოებია 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, – საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ნახსენებ

ნები გადაწყვეტილება მოცემულ საქმესთან მიმართებით არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებასა და შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველს.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ქ-სა და მისი ადვოკატის – მ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მათივე შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერი და დასაბუთებულაა, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. ქ-სა და მისი ადვოკატის – მ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინება მსჯავრდებულ მ. ქ-სა და მისი ადვოკატის – მ. ჩ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქართველოს 20.02.1998 წლის სისხლის სამართლის  
საპროცესო კოდექსით ნაწარმოებ სს საქმეზე არ  
ვრცელდება საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლოს 22.01.2015 წლის გადაწყვეტილება, რის  
გამოცის არ ნარმოადგენს განაჩენის გადასინჯვის  
ა/გამოვლენილ გარემოებასა და შუამდგომლობის  
დასაშვებად ცნობის საფუძველს**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№141აგ-16

8 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გარდაცვლილი მსჯავრდებულის – ზ. გ-ს კანონიერი მემკვიდრის – ი. კ-სა და მისი ადვოკატების – მ. და ს. გ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენით:

ზ. გ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებებში.

ზ. გ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და სასჯელად განესაზღვრა 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 28 დეკემბრიდან.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, ზ. გ-ს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

თლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენით ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენში შემდეგი მიმართებით:

ზ. გ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებებში.

ზ. გ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 28 დეკემბრიდან.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, ზ. გ-ს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ივლისის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 თებერვლის განაჩენში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

ზ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა 4 თვით და საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

4. 2016 წლის 16 მაისს გარდაცვლილი მსჯავრდებულის – ზ. გ-ს კანონიერმა მემკვიდრემ ი. კ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – მ. და ს. გ-მ შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები და მოითხოვეს საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“, „დ“, „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ზ. გ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა, საქმის ზეპირი მოსმენით არსებითად განხილვა და მსჯავრდებულის გამართლება შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით: ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატი-

ული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენი ზ. გ-ს მიმართ ემყარება ერთადერთ მტკიცებულებას – მოწმე ლ. ლ-ს ირიბ ჩვენებას, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას, განაჩენის გადასინჯვისა და ზ. გ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს; გარდა ამისა, შუამდგომლობის ავტორები ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველად მიუთითებენ ასევე იმ გარემოებას, რომ ზ. გ-ს საქმეზე სახელმწიფო ბრალმძებელმა ლევან ზაქარაძემ, ზ. გ-ს მამხილებელი ჩვენების მიცემის სანაცვლოდ, მოწმე ლ. ლ-ი უკანონოდ გაათავისუფლა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან; აღნიშნული ფაქტი მათთვის ცნობილი გახდა მოგვიანებით, ვინაიდან პროკურორის უკანონო ქმედება გამოვლინდა მხოლოდ 2015 წლის 5 ოქტომბერს, ანუ მას შემდეგ, რაც მოწმე ლ. ლ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან გავიდა საქართველოს სსსკ-ის 71-ე მუხლით დადგენილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის – 10-წლიანი ვადა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინებით გარდაცვლილი მსჯავრდებულის – ზ. გ-ს კანონიერი მემკვიდრის – ი. კ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. და ს. გ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. გარდაცვლილი მსჯავრდებულის – ზ. გ-ს კანონიერი მემკვიდრე ი. კ-ე და მისი ადვოკატები – მ. და ს. გ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინების გაუქმებას იმავე საფუძველებით, რაზეც უთითებდნენ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა აღნიშნავს, რომ შუამდგომლობასა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ აკმაყოფილებს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებულ არც ერთ საფუძველს, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში კასატორები ითხოვენ განაჩენის გადასინჯვას საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ (არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძველად დაედო გადასასინჯ განაჩენს) და „დ“ (არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი) ქვეპუნქტების შესაბამისად, რის საფუძველდაც მიუთითებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების ნორმატიული შინაარსი, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდა. გარდა ამისა, კასატორები განაჩენის გადასინჯვას ასევე მოითხოვენ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით (წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო), რის საფუძველდაც მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ პროკურორმა ლ. ზაქარაძემ ორჯერ ნასამართლევი მოწმის – ლ. ლ-გან ზ. გ-ს მამხილებელი ჩვენების მიღების სანაცვლოდ, ლ. ლ-ი უკანონოდ გაათავისუფლა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, რაც მათთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი და რაც წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას.

3. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით: ა)



საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას.

4. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ირიბი ჩვენებებთან დაკავშირებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მხოლოდ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმები, ხოლო 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმა სასამართლოს არ უცვნია არაკონსტიტუციურად და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეში თსჯავრდებულის მიმართ საქმე წარმართულია 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, – საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება მოცემულ საქმესთან მიმართებით არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის როგორც – „ბ“, ასევე – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებასა და შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველს.

5. რაც შეეხება კასატორთა მოთხოვნას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის შესახებ, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა პროკურორ ლ. ზაქრაძის უკანონო ქმედებები, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მათი მოსაზრება პროკურორის მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის თაობაზე, წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს, რაც დადასტურებული არ არის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. რაც შეეხება კასატორთა მითითებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ 2013 წლის 28 მაისს გაცემული ნასამართლობის ცნობის შესახებ, რომლიდანაც ირკვევა, რომ მოწმე ლ. ლ-ი, ზ. გ-ს მიმართ 2007 წლის 27 სექ-

ტემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, ორჯერ იყო ნასამართლელი, აღნიშნული არ წარმოადგენს რაიმე ახალ მტკიცებულებას, რაც თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვლილი მსჯავრდებულის – ზ. გ-ს კანონიერი მემკვიდრის – ი. კ-სა და მისი ადვოკატების – მ. და ს. გ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გარდაცვლილი მსჯავრდებულის – ზ. გ-ს კანონიერი მემკვიდრის – ი. კ-სა და მისი ადვოკატების – მ. და ს. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 8. ექსტრადიცია

### განჩინება საქართველოს სასჯელით

№3-16

16 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – დ. ბ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ა. ტ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. დ. ბ-ის უკრაინის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, 2006 წლის 7 მარტს, უკრაინის კ-ის რაიონის შს განყოფილების გამომძიებლის დადგენილებით დ. ბ. ბრალდებულის სახით მიეცა პასუხისგებაში. მას ბრალად წარედგინა უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) გათვალისწინებული დანაშაული. 2006 წლის 7 აპრილს დ. ბ-ის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

2. 2011 წლის 23 აგვისტოს კ-ის რაიონის მოსამართლის დადგენილებით დ. ბ-ის მიმართ გაუხსველობის ხელწერილის სახით გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება შეიცვალა პატიმრობით.

3. 2016 წლის 21 ივნისს ქალაქ კ-ის ავტოზავოდის რაიონული სასამართლოს საგამოძიებო მოსამართლემ დ. ბ-ის მიმართ გამოიტანა გადაწყვეტილება პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ დაპატიმრების გადაწყვეტილების ეკვივალენტს.

4. 2016 წლის 24 ივნისს ქალაქ კ-ის ავტოზავოდის რაიონული სასამართლოს საგამოძიებო მოსამართლის გადაწყვეტილებით

შესწორდა დ. ბ-ის მიმართ პატიმრობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომელიც ამავე სასამართლოს მიერ იქნა მიღებული 2016 წლის 21 ივნისს. 21 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, ამ გადაწყვეტილების ვადა განისაზღვრებოდა 60 დღე-ღამით და ძალაში იყო 2016 წლის 3 აგვისტომდე, ხოლო შესწორებული ვერსიით აღნიშნული ვადის ათვლა უნდა დაიწყოს უკრაინის ტერიტორიაზე დ. ბ-ის დაკავების მომენტიდან.

5. 2016 წლის 4 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს უკრაინის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი დ. ბ-ი.

6. 2016 წლის 6 ივნისს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით დ. ბ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

7. 2016 წლის 8 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი დ. ბ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 6 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე.

8. 2016 წლის 30 ივნისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო დ. ბ-ის ექსტრადიციის თაობაზე უკრაინის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობისა და თანდართული მასალების ასლები, ხოლო 2016 წლის 7 ივლისს – დ. ბ-ის საექსტრადიციო მასალების დედნები. 2016 წლის 12 აგვისტოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკრაინის კომპეტენტური ორგანოებისაგან გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია დ. ბ-ის უკრაინაში ექსტრადიციის თაობაზე. 2016 წლის 31 აგვისტოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო დამატებითი ინფორმაცია დ. ბ-ის უკრაინაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

9. 2016 წლის 2 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით დ. ბ-ს გაუგრძელდა საექსტრადიციო პატიმრობის ვადა სამი თვით – 2016 წლის 4 დეკემბრამდე.

10. 2016 წლის 6 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი დ. ბ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 სექტემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

11. 2016 წლის 1 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ნ. ზ-მა და ითხოვა, დასაშვებად იქნეს ცნობილი დ. ბ-ის უკრაინის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) გათვალისწინებული დანაშაულისთვის მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინებით პროკურორ ნ. ზ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დასაშვებად იქნა ცნობილი დ. ბ-ის უკრაინის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, უკრაინის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

13. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – დ. ბ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ტ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინება უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

- დაშვებულ იქნა უამრავი შეცდომა აღნიშნული საქმის როგორც უკრაინაში გამოძიების დროს, ისე საქართველოში მისი დაცვებისას. დაცვის მხარის განმარტებით, დ. ბ-ის მიმართ დარღვეულია დაცვისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების უფლება; მისთვის შერაცხული ბრალდება უკანონოა და დაუსაბუთებელია; გარდა ამისა, უკრაინაში დ. ბ-ის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე, მისი წარმომავლობის, ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის გამო; იგი შესაძლოა, განდეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინების გაუქმებას დ. ბ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით უკრაინის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამონ-

მა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. უკრაინის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი დ. ბ-ი საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2016 წლის 4 ივნისს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (non bis in idem) და პარალელური წარმოების აკრძალვის პრინციპები, ასევე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ იკვეთება დ. ბ-ის მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი.

4. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას დ. ბ-ის დაცვის უფლების დარღვევის შესახებ, ვინაიდან წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დ. ბ-ი საექსტრადიციო პროცედურების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო ადვოკატის მომსახურებით. რაიმე შეზღუდვა, რაც გავლენას მოახდენდა დ. ბ-ის დაცვის სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობაზე, გამოძიების ან სასამართლოს მხრიდან არ განხორციელებულა.

5. უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ უკრაინაში ემუქრება საფრთხე მისი წარმომავლობის, ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის გამო, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა ვერ მიაწოდეს სასამართლოს რაიმე რეალური ინფორმაცია, რაც მის მიმართ უკრაინის რესპუბლიკაში რაიმე ნიშნით დევნის ეჭვს წარმოშობდა.

6. საქმეზე „სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა,

რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ პირის ექსტრადიციის თაობაზე, შესაძლოა, წარმოშვას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი და აქედან გამომდინარე – სახელმწიფოს პასუხისმგებლობაც იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილ იქნა არსებითი დასაბუთება მომთხოვნ სახელმწიფოში ექსტრადიციის შემთხვევაში პირის მიმართ წამების, არაადამიანური მოპყრობისა თუ დასჯის საფრთხის შესახებ<sup>1</sup>.

7. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ადვოკატის მიერ გაკეთებული ზოგადი განცხადება იმის შესახებ, რომ დ. ბ. უკრაინაში შესაძლოა, დაექვემდებაროს წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, ვერ ჩაითვლება ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

8. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ასევე კასატორის პოზიციას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევის თაობაზე და მიუთითებს, რომ როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, დ. ბ-ი არის უკრაინის მოქალაქე, მას საქართველოს ტერიტორიაზე არ გააჩნია მყარი ოჯახური კავშირები, რომელთა დარღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან შეუსაბამო იქნებოდა.

9. რაც შეეხება დაცვის მხარის მითითებას, რომ დ. ბ-ს დანაშაული არ ჩაუდენია და ბრალდება შეთხზულია, პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იხილავს დ. ბ-ის ბრალეულობის საკითხს.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს რა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო – სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას, მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016

---

<sup>1</sup> სოერინგი (მოერინგი) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი no. 14038/88, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, 91-ე პუნქტი. იხ. აგრეთვე შამაევი და სხვები (Shamayev and others) საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი no. 36378/02, 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, 335-ე პუნქტი. კრუზ ვარასი და სხვები (Cruz Varas and others) შვედეთის წინააღმდეგ, განაცხადი no. 15576/89, 1991 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება, 69-ე-70-ე პუნქტები. ჩაჰალი (Chahal) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი no. 22414/93, 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, 74-ე პუნქტი.

წლის 5 სექტემბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი დ. ბ-ის უკრაინის რესპუბლიკაში ექსტრადიცია ამავე სახელმწიფოს სსკ-ის 121-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – დ. ბ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ტ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## ექსტრადიცია

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№4-16

23 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ჰ. თ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 9 სექტემბრის განჩინებაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ჰ. თ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, თურქეთის რესპუბლიკის გირესუნის მძიმე დანაშაულთა სისხლის სამართლის სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განაჩენით ჰ. თ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ქრთამის მიცემა ექსპერტისათვის) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, 2 თვითა და 15 დღით.

2. 2013 წლის 25 სექტემბერს თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი საკასაციო სასამართლოს მე-5 სისხლის სამართლის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით 2010 წლის 28 სექტემბრის განაჩენი დარჩა ძალაში და მიიღო საბოლოო სახე.

3. 2013 წლის 16 დეკემბერს თურქეთის რესპუბლიკის გირესუნის საჯარო მთავარმა პროკურატურამ გამოსცა ჰ. თ-ს დაკავების ბრძანება.

4. 2015 წლის 6 ოქტომბერს ჰ. თ-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

5. 2016 წლის 8 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანო-

ბის მიერ ძებნილი ჰ. თ-ი.

6. 2016 წლის 11 მარტს მარნეულის მაგისტრაცი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით ჰ. თ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით.

7. 2016 წლის 4 აპრილს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ინტერპოლის არხებით მიიღო ჰ. თ-ს ექსტრადიციის თაობაზე თურქეთის რესპუბლიკის შუამდგომლობისა და შესაბამისი დანართი მასალის ასლები. აღნიშნული შუამდგომლობისა და დანართი მასალის დედანი მიღებულ იქნა 2016 წლის 11 აპრილს.

8. 2016 წლის 20 მაისს ჰ. თ-ს ჩაუტარდა გასაუბრება მისი თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

9. 2016 წლის 3 ივნისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებისაგან გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია ჰ. თ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

10. 2016 წლის 7 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ჰ. თ-ს საექსტრადიციო პატიმრობა გაუგრძელდა 3 თვის ვადით, ექვს თვემდე – 2016 წლის 8 სექტემბრამდე.

11. 2016 წლის 6 ივლისს, 15 ივლისსა და 25 ივლისს საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიღებულ იქნა დამატებითი ინფორმაცია ჰ. თ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

12. 2016 წლის 7 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ჰ. თ-ს საექსტრადიციო პატიმრობა გაუგრძელდა 3 თვის ვადით, ცხრა თვემდე – 2016 წლის 8 დეკემბრამდე.

13. ამჟამად ჰ. თ-ი მოთავსებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის №..... დაწესებულებაში.

14. 2016 წლის 5 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ნანიკო ზაზუნაშვილმა და ითხოვა დასაშვებად იქნეს ცნობილი ჰ. თ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ქრთამის მიცემა ექსპერტისათვის) გათ-

ვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, თურქეთის რესპუბლიკის გირესუნის მძიმე დანაშაულთა სისხლის სამართლის სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განაჩენის აღსრულების მიზნით.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ნანიკო ზაზუნაშვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. დასაშვებად იქნა ცნობილი ჰ. თ.-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ქრთამის მიცემა ექსპერტისათვის) საფუძველზე თურქეთის რესპუბლიკის გირესუნის მძიმე დანაშაულთა სისხლის სამართლის სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განაჩენის აღსრულების მიზნით.

16. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ჰ. თ.-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ჯ.-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის განჩინება უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. 2016 წლის 15 და 25 ივლისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო დამატებითი ინფორმაცია ჰ. თ.-ს ექსტრადიციასთან დაკავშირებით, რომელშიც თურქეთის მხარე იძლევა იმის გარანტიას, რომ ჰ. თ.-ს მიეცემა მისი საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახალი განხილვის უფლება. საქართველოს მხარის მოთხოვნა იყო საქმის ხელახალი განხილვის გარანტია. მართალია, თურქეთის მხარე იძლევა ამ გარანტიას, მაგრამ დაცვის მხარის განმარტებით, საფუძვლიანი ეჭვი არსებობს ამ გარანტიის სამართლებრივი კუთხით შესრულებაში. საქმეში არსებობს თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განაჩენი, რომელმაც მიიღო საბოლოო სახე. სამართლებრივ ჩარჩოში ვერ თავსდება თურქეთის მხარის გარანტია საქმის ხელახალ განხილვასთან დაკავშირებით, მით უმეტეს – პირველი ინსტანციის სასამართლოში. თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. თურქეთის კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოსა და მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლეს საბჭოს აქვთ უფლება, გააუქმონ საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი და სასჯელი. 2016 წლის 15 ივლისს თურქეთის რესპუბლიკაში მოხდა სახელ-

მნიფო გადატრიალების მცდელობა, რის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკაში გამოცხადდა სამთვიანი საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ჯერაც არ გაუქმებულა და დღესაც მოქმედებს. ამ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკაში მთელი მსოფლიოს თვალწინ ხდება ადამიანის უფლებათა ტოტალური დარღვევის ფაქტები. 3000-ზე მეტი მოსამართლე და პროკურორი დაკავებული ან უკანონოდ გათავისუფლებულია სამსახურიდან. თურქეთის მმართველ პოლიტიკურ ელიტაში, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, გაისმის მოწოდებები სასჯელის უმაღლესი ზომის – სიკვდილით დასჯის აღდგენასთან დაკავშირებით. თურქეთის რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები ცივილიზებული სამყაროს აღშფოთებას იწვევს.

18. 2016 წლის 8 სექტემბერს ჰ. თ-მ განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, რომელიც განხილვის სტადიაზეა და მაღალი ალბათობით შეიძლება დადებითად იქნეს გადაწყვეტილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. წარმოდგენილი საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ჰ. თ-ი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს 2016 წლის 8 მარტს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამატკიცებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვის, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (non bis in idem) და ხანდაზმულობის პრინციპები, მო-

ქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ იკვეთება ჰ. თ-ს მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი.

4. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ, მართალია, თურქეთის მხარე იძლევა ჰ. თ-ს საქმის ხელახალი განხილვის გარანტიას, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი არსებობს ამ გარანტიის სამართლებრივი კუთხით შესრულებაში, ვინაიდან ჰ. თ-მ აღნიშნულის შესახებ მიუთითა მხოლოდ ზეპირი განცხადებისა და მისი ვარაუდების საფუძველზე და ამის დამადასტურებელი თუნდაც ირიბი მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების „აშკარა“ დარღვევის მაგალითებად ცალკეულ საქმეებში მიიჩნია: გამამტყუნებელი განაჩენის დაუსწრებლად გამოტანა ბრალის არსებითად ხელახალი გადახედვის შესაძლებლობის გარეშე; მოკლე, სამართლიანი სასამართლოს პროცედურული გარანტიების გარეშე ჩატარებული სასამართლო პროცესი, რომელიც დაცვის უფლების სრული უგულვებლყოფით ჩატარდა; პირის დაკავება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოსადმი ყოველგვარი წვდომის გარეშე, რომელსაც შესაძლებლობა ექნება, განიხილოს დაკავების კანონიერება; განზრახი და სისტემატური უარი დაცვის უფლების განხორციელებაზე.

5. ასევე, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია არ ხორციელდება, თუ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში მის მიმართ დაუსწრებლად იქნა გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და, ამასთანავე, იგი სათანადოდ არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის შესახებ, ან დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილი არ იყო დაცვის მინიმალური უფლებები“; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირის ექსტრადიცია შეიძლება განხორციელდეს, თუ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები წარმოადგენენ სასამართლოს მიერ საქმის ხელახალი განხილვის გარანტიას, სადაც ექსტრადირებული პირი უზრუნველყოფილი იქნება დაცვის უფლებით“. ჰ. თ-ს

განმარტებით, მისთვის ცნობილი იყო თურქეთის რესპუბლიკის გირესუნის სასამართლოს მიერ მის მიმართ საქმის განხილვის შესახებ, ის სანყის ეტაპზე დაესწრო სასამართლო პროცესს, შემდეგ არ დასწრებია მათ, თუმცა, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი მთელი პროცესის მანძილზე იცავდა მის ინტერესებს, რომელმაც შემდგომ გაასაჩივრა საკასაციო სასამართლოში გირესუნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ამასთან, საქმის მასალებში მოიპოვება თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ჰ. თ-ი ისარგებლებს თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიცაა თურქეთის რესპუბლიკა, ასევე, იგი ისარგებლებს საქმის ხელახალი განხილვის უფლებითაც.

6. ამდენად, არ არსებობს სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ექსტრადიციის გამომრიცხავი გარემოებები, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა საქმის მასალებში მოიპოვება თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გარანტია, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ჰ. თ-ი ისარგებლებს თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ყველა უფლებით, რომელთა ხელმომწერიცაა თურქეთის რესპუბლიკა, ასევე – საქმის ხელახალი განხილვის უფლებით. ჰ. თ-ს ზეპირი განცხადება და მტკიცებულებების გარეშე მითითება ეჭვქვეშ ვერ დააყენებს თურქეთის სახელმწიფოს მიერ გადმოგზავნილ ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, თურქეთის სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ჰ. თ-ს მიეცემა საქმის ხელახალი განხილვის უფლება. ამდენად, ჰ. თ-ს მიმართ არც საქმის განხილვის დროს და არც თურქეთის რესპუბლიკაში მისი ექსტრადიციის შემთხვევაში ექნება ადგილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ცალკეულ საქმეებში მითითებულ სამართლიანი სასამართლოს უფლების „ამკარა“ დარღვევის ფაქტებს. გარდა ზემოაღნიშნული გარანტიისა, ვინაიდან საქსტრადიციო მასალების მიხედვით, განაჩენი გამოტანილია ჰ. თ-ს დაუსწრებლად, „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავარ პროკურატურაში თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებისაგან მიღებულ იქნა გარანტია, რომ ჰ. თ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვე-

ვაში მას მიეცემა მისი საქმის ხელახალი განხილვის შესაძლებლობა.

7. რაც შეეხება კასატორის მიერ მითითებულ იმ გარემოებას, რომ ჰ. თ-მ განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, პალატა მიუთითებს, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო – სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 9 სექტემბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი ჰ. თ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ქრთამის მიცემა ექსპერტისათვის) საფუძველზე თურქეთის რესპუბლიკის გირესუნის მძიმე დანაშაულთა სისხლის სამართლის სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინების აღსრულების მიზნით, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ჰ. თ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 9 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ექსტრადიციის

### განჩინება საქართველოს სასჯელით

№71-16

25 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავიძე,  
ვ. როინიშვილი**

განიხილა ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის – ვ. დ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. დ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ნოემბრის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2016 წლის 11 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის პროკურორმა დ. ჯ-ამ და ითხოვა, სასამართლოს დასამტკიცებდ ეცნო ვ. დ-ის ექსტრადიციის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნარკოტიკების აქტის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილითა და 29ა-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ქვეპუნქტით, ნარკოტიკების აქტის 1-ლ და მე-3 დანართებთან ერთობლიობაში (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებით უკანონო ვაჭრობა) შესაძლო ჩადენისათვის, ვინაიდან ვ. დ-ის მიმართ, ექსტრადიციის განხორციელებისათვის როგორც საერთაშორისო, ისე სამართლებრივი დახმარების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, დაცულია ყველა მოთხოვნა ექსტრადიციის სამართლებრივი საფუძვლების, პირის იდენტიფიკაციის, ორმაგი დანაშაულის პრინციპის, დანაშაულის ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის სტატუსის, ნონ ბის ინ იდემ, სამართალწარმოებისა და გარანტიების შესახებ.

2. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მოწოდებული მასალების მიხედვით, ვ. დ-ის მიერ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:



ა) 1999 წლის დასაწყისიდან 2000 წლის დასასრულამდე პერიოდში, გერმანიის ქალაქ დონაუვერთში 24 ცალკეულ შემთხვევაში ვ. დ-მა ჰ. ს-სგან შეიძინა და ინახავდა ნარკოტიკულ საშუალება „კოკაინს“. ყოველ ჯერზე ვ. დ. იძენდა და ინახავდა 100 გრამ „კოკაინს“, რომელიც შეიცავდა აქტიურ ნივთიერებას – 85% კოკაინის ჰიდროქლორიდს. ყველა ეპიზოდის შემთხვევაში შეძენილი „კოკაინი“ გამიზნული იყო მოგების მიღების მიზნით გადასაყიდად.

ბ) 2002 წლის განმავლობაში, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, დაუდგენელ დროს, ქალაქ დონაუვერთში ბრალდებულმა ვ. დ-მა ჰ. ს-სგან, გაყიდვისა და მოგების მიღების მიზნით, 10-ჯერ შეიძინა და დაეუფლა ყოველ ჯერზე, სულ მცირე, 50 გრამ „კოკაინს“, რომელიც შეიცავდა აქტიურ ნივთიერებას – 85% კოკაინის ჰიდროქლორიდს.

გ) 2003 წლის დასაწყისიდან 2003 წლის ივლისამდე, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, დაუდგენელ დროს, ქ. დონაუვერთში ბრალდებულმა ვ. დ-მა ჰ. ს-სგან, გაყიდვისა და მოგების მიღების მიზნით, 8-ჯერ შეიძინა და დაეუფლა ყოველ ჯერზე, სულ მცირე, 50 გრამ „კოკაინს“, რომელიც შეიცავდა აქტიურ ნივთიერებას – 85% კოკაინის ჰიდროქლორიდს.

დ) გარდა ამისა, 2003 წელს ქ. ამსტერდამში, გაყიდვისა და მოგების მიღების მიზნით, ბრალდებულმა უცნობი პირისაგან შეიძინა და დაეუფლა „ექსტაზის“ 60000 აბს.

3. ვ. დ-სათვის ცნობილი იყო, რომ ზემოაღნიშნულ არც ერთ შემთხვევაში მას არ გააჩნდა ნარკოტიკულ საშუალებებთან მოპყრობის კანონით გათვალისწინებული სათანადო ნებართვა.

4. 2005 წლის 22 თებერვალს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აუგსბურგის რაიონულმა სასამართლომ გამოსცა ვ. დ-ის დაკავების ბრძანება, რომლის თანახმად, ვ. დ-ს ბრალი ედება ნარკოტიკული საშუალებებით უკანონო ვაჭრობის 43 ეპიზოდში, დანაშაული, გათვალისწინებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნარკოტიკების აქტის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილით (ნარკოტიკული საშუალებების დეფინიცია), მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილით (ნებართვის წესი ნარკოტიკულ საშუალებებთან მოპყრობის შესახებ), 29ა-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებით უკანონო ვაჭრობა), ნარკოტიკების აქტის 1-ლ და მე-3 დანართებთან ერთობლიობაში და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით (სასჯელის დანიშვნის წესი დანაშაულთა ერთობლიობისას).

5. 2016 წლის 8 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალ-დამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ვ. დ..

6. 2016 წლის 10 აგვისტოს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის განჩინებით ვ. დ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

7. 2016 წლის 27 აგვისტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი ვ. დ-ის საჩივარი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2016 წლის 10 აგვისტოს განჩინების გაუქმების თაობაზე.

8. 2016 წლის 2 სექტემბერს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შევიდა ვ. დ-ის ექსტრადიციის შესახებ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობისა და შესაბამისი დანართი მასალის ასლები. აღნიშნული შუამდგომლობისა და დანართი მასალის დედანი საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიიღო 2016 წლის 8 სექტემბერს.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ დ. ჯ-ას შუამდგომლობა: დასაშვებად იქნა ცნობილი ვ. დ-ის ექსტრადიცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მის მიერ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნარკოტიკების აქტის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილითა და 29ა-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ქვეპუნქტით, ნარკოტიკების აქტის 1-ლ და მე-3 დანართებთან ერთობლიობაში (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებით უკანონო ვაჭრობა) გათვალისწინებული დანაშაულების შესაძლო ჩადენის გამო.

10. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – ვ. დ. და ადვოკატი ზ. დ. საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ნოემბრის განჩინების გაუქმებას შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საექსტრადიციო საქმის მწარმოებელ ორგანოს საფუძვლიანად არ შეუსწავლია ვ. დ-ის ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში მის მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი, მაშინ, როდესაც იგი უთითებს, რომ ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში განაწყენებულმა პირებმა მასზე შეიძლება განახორციელონ ფიზიკური ზემოქმედება და ასახელებს კონკრეტულ პირს. ამ საკითხზე საქმის

მწარმოებელ ორგანოს არ უმსჯელია.

12. კასატორთა განცხადებით, ვ. დ-ს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია; იგი შეგნებულად დაასახელა თანამონაწილედ დაინტერესებულმა პირმა, რათა მოხდეს მისი ექსტრადიცია გერმანიაში და შემდეგ – მასზე ფიზიკური ზემოქმედება. საექსტრადიციო საქმის წარმოების ორგანოს უტყუარად არა აქვს დადგენილი ხანდაზმულობის საკითხი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, ვ. დ-მა განცხადებით მიმართა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მისთვის თავშესაფრის მიცემისა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ნოემბრის განჩინება ვ. დ-ის ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ვ. დ. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2016 წლის 8 აგვისტოს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (non bis in idem) და პარალელური წარმოების აკრძალვის პრინციპები, ასევე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის გან-

ხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ იკვეთება ვ. დ-ის მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი.

4. კასატორის მითითებასთან დაკავშირებით, რომ ვ. დ-მა მიმართა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მისთვის თავშესაფრის მიცემის მოთხოვნით, რაც აბრკოლებს მისი ექსტრადიციის საკითხს, პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევასა და ვ. დ-ის ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებას, ვინაიდან არსებული საერთაშორისო პრაქტიკისა და რეგულაციების თანახმად, ის ფაქტი, რომ პირი არის თავშესაფრის მაძიებელი, კრძალავს მხოლოდ მის ფაქტობრივ გადაცემას და არ გამოიწვევს პარალელურ რეჟიმში პირის ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას.

5. უსაფუძვლოა ასევე კასატორის მითითება, რომ მას გერმანიაში ემუქრება საფრთხე, ვინაიდან ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა და მისმა ადვოკატმა ვერ მიაწოდეს სასამართლოს რაიმე რეალური ინფორმაცია, რაც მისი უსაფრთხოების თაობაზე ეჭვს წარმოშობდა. კასატორის მიერ გაკეთებული ზოგადი განცხადება, რომ ვ. დ-ის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე დაემუქროს, ვერ ჩაითვლება ექსტრადიციის დამაბრკოლებელ გარემოებად.

6. რაც შეეხება ვ. დ-ის განმარტებას, რომ მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული ქმედებები, პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი არ იხილავს ვ. დ-ის ბრალეულობის საკითხს და მსჯელობს მხოლოდ იმის თაობაზე, დასაშვებია თუ არა მისი ექსტრადიცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს ვ. დ-ის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების უტყუარობა და საკმარისობა.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს რა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო – სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას, მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 14 ნოემბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი

ვ. დ-ის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ექსტრადიცია, ამავე სახელმწიფოს ნარკოტიკების აქტის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილითა და 29ა-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ქვეპუნქტით, ნარკოტიკების აქტის 1-ლ და მე-3 დანართებთან ერთობლიობაში (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებით უკანონო ვაჭრობა) გათვალისწინებული დანაშაულების შესაძლო ჩადენის გამო მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ვ. დ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. დ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 14 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ექსტრადიცია

### განჩინება საქართველოს სასჯელით

№81-16

25 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ბ. ალავიძე,  
ვ. როინიშვილი

განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. ხ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინებაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2016 წლის 11 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის პროკურორმა ნ. ზ-მა და ითხოვა, სასამართლოს დასაშვებად ეცნო ა. ხ-ს ექსტრადიცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით მიუხედავად 2003 წლის 6 აგვისტოს საბრალდებო დასკვნაში აღწერილი გაუპატიურების ეპიზოდისათვის, რომელიც დასჯადია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტებითა და მე-2 ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტით, რადგან ა. ხ-ს მიმართ ექსტრადიციის განხორციელებისათვის როგორც საერთაშორისო, ისე სამართლებრივი დახმარების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, დაცულია ყველა მოთხოვნა ექსტრადიციის სამართლებრივი საფუძვლების, პირის იდენტიფიკაციის, ორმაგი დანაშაულის პრინციპის, დანაშაულის ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის სტატუსის, ნონ ბის ინ იდემ, სამართალწარმოებისა და გარანტიების შესახებ.

2. ა. ხ-ს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და სხვა საექსტრადიციო მასალების თანახმად, 2003 წლის 6 აგვისტოს მიუხედავად მე-2 პრო-

კურატურამ ა. ხ-ს მიმართ გამოსცა საბრალდებო დასკვნა, რომლის თანახმად, ა. ხ-ს ბრალად ედება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტებით, მე-2 ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტით (გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა, ჩადენილი ძალის გამოყენებით, სხეულისა და სიცოცხლისათვის ზიანის მიყენების მუქარით), 185-ე მუხლით (შეურაცხყოფა), 223-ე მუხლით (სხეულის დაზიანება), 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (უკანონო თავისუფლების აღკვეთა) და 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (იძულება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა;

3. 2003 წლის 20 აგვისტოს მიუხეხნის მე-2 სამხარეო სასამართლომ ა. ხ-ს მიმართ გამოსცა დაპატიმრების ბრძანება.

4. 2003 წლის 20 ნოემბერს მიუხეხნის მე-2 სამხარეო სასამართლოს მიერ გამოცემული დაკავების ბრძანება შესწორდა იმავე სასამართლოს გადაწყვეტილებით.

5. მიუხეხნის მე-2 პროკურატურის 2016 წლის 10 ოქტომბრის წერილით საქართველოს მთავარ პროკურატურას ეცნობა, რომ ა. ხ-ს ექსტრადიცია მოითხოვება მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტებითა და მე-2 ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტით (გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა, ჩადენილი ძალის გამოყენებით, სხეულისა და სიცოცხლისათვის ზიანის მიყენების მუქარით) გათვალისწინებული დანაშაულისათვის და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო არ მოითხოვება იმავე კოდექსის 185-ე მუხლით (შეურაცხყოფა), 223-ე მუხლით (სხეულის დაზიანება), 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (უკანონო თავისუფლების აღკვეთა) და 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (იძულება) გათვალისწინებული დანაშაულებისათვის.

6. 2009 წლის 15 დეკემბრიდან ა. ხ. იძებნება ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

7. 2016 წლის 29 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ა. ხ..

8. 2016 წლის 31 მაისს მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის განჩინებით ა. ხ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა საექსტრადიცო პატიმრობა 3 თვით.

9. 2016 წლის 12 ივლისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დიპლომატიური არხებით მიიღო ა. ხ-ს საექსტრადიცო

მასალების დედნები.

10. 2016 წლის 13 აგვისტოს და 5 ოქტომბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებისაგან გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია ა. ხ-ს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

11. 2016 წლის 26 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით ა. ხ-ს მიმართ შეფარდებული საქესტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით – 6 თვემდე, 2016 წლის 29 ნოემბრამდე.

12. 2016 წლის 30 აგვისტოს და 12 ოქტომბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მიიღო დამატებითი ინფორმაცია ა. ხ-ს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს მთავარი პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ ნ. ზ-ის შუამდგომლობა: დასაშვებად იქნა ცნობილი ა. ხ-ს ექსტრადიცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით მიუხეხნის მე-2 პროკურატურის 2003 წლის 6 აგვისტოს საბრალდებო დასკვნაში აღწერილი გაუპატიურების ეპიზოდისათვის, რომელიც დასჯადია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტებითა და მე-2 ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტით.

14. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. ხ-ს ადვოკატი ს. ბ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინების გაუქმებას შემდეგ გარემოებათა გამო:

15. ა. ხ-ს დანაშაული არ ჩაუდენია; აღნიშნული მოგონილია მისი ყოფილი მეუღლის მიერ თავისი მიზნის – გერმანიაში დარჩენისა და ქალთა თავშესაფარში ადგილის მიღებისათვის ოჯახური ძალადობის მსხვერპლად თავის წარმოჩენის გზით, რაც ტ. ხ-მ აღიარა მიუხეხნეში მცხოვრებ ე. ვ-სთან საუბრის დროს.

16. გარდა ამისა, გერმანიის სამართალდამცავ ორგანოებს არა აქვთ დადგენილი დანაშაულის ჩადენის დღე და ასეთად მიიჩნიეს 2003 წლის იანვრის მესამე კვირის განუსაზღვრელი დღე, რათა გამოერიცხათ ა. ხ-ს მხრიდან ნებისმიერი აღიბის არსებობა; მის მიმართ ბრალდება აგებულია მხოლოდ ტ. ხ-ს განთქმითი ჩვე-



ნების საფუძველზე, ყოველგვარი სხვა მტკიცებულების გარეშე; ა. ხ-ს საქმეზე დარღვეულია სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი – ის პასუხისგებაში მიეცა გამოძიების დაწყებიდან 7 თვის შემდეგ, მის მიერ გერმანიის საბოლოოდ დატოვების მეორე დღეს – 2003 წლის 6 აგვისტოს გამოიტანეს ბრალდების დადგენილება, 6 წლის შემდეგ კი გამოცხადდა მისი ძებნა.

17. ა. ხ-ს ბრალდება გათვალისწინებულია გფრ-ის სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტებითა და მე-2 ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტით, გაუპატიურების დამამძიმებელ გარემოებებზე კი საუბარია ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებში, ამასთან, სასჯელის ზომად განსაზღვრულია 6 თვიდან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, რაც უკვე ხანდაზმულია. გარდა ამისა, დამცველს მიაჩნია, რომ ა. ხ-ის ინკრიმინირებული ქმედება არ წარმოადგენს გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შემთხვევას, არამედ ეს არის სექსუალური მოქმედების იძულების განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა, ვინაიდან თავად დაზარალებულს არ გაუწევია მეუღლისათვის წინააღმდეგობა, არც სხეულის რაიმე სახის დაზიანება მიუღია, ხოლო პრეზერვატივის გარეშე სქესობრივი კავშირის დამყარება, ტანსაცმლის გახდა, ფეხების განევა და ვაგინის ტკივილი არ არის გაუპატიურების დამამტკიცებელი გარემოებები, ამიტომ ა. ხ-ს ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის შემთხვევაშიც მისი ექსტრადიციისა და მოხდეს მხოლოდ ძალადობის მუქარით ჩადენილი გაუპატიურებისათვის.

18. ევროპელი კანონმდებელი ამბობს, რომ ა. ხ-ს მაინცდამაინც საქართველოში კი არა, საერთოდ, ნებისმიერ ქვეყანაში უნდა ჰყავდეს ოჯახი, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, ის შეიძლება მართლაც დარჩეს ოჯახის გარეშე; მაშინდელ ოჯახში, 13 წლის წინანდელი კონფლიქტის გამო, ა. ხ-ს ახლანდელი, 11 წლის ოჯახი ინგრევა, საქართველოს პროკურატურა კი აცხადებს, რომ მისი ოჯახური ცხოვრების უფლების რეალიზების ამგვარი შეზღუდვა თანაზომიერია ექსტრადიციით დასახულ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით.

19. ამდენად, კასატორის აზრით, ა. ხ-ს მიმართ საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევებით; 13 წლის გასვლისა და ვითარების შეცვლის გამო მის მიმართ აღძრულმა სისხლის სამართლის საქმემ დაკარგა მნიშვნელობა და აქტუალობა; ასევე შემოსულია ტ. ხ-ს ნოტარიულად დამოწმებული ხელწერილი, რომლის მიხედვით, ის წინააღმდეგია ა. ხ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებისა.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ს. ბ. ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინების გაუქმებასა და ა. ხ-ს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ა. ხ. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს 2016 წლის 29 მაისს. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, დაკავებისას და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

3. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამატკიცებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები, ორმაგი დასჯის აკრძალვისა (ნონ ბის ინ იდემ) და პარალელური წარმოების აკრძალვის პრინციპები, ასევე საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები. ამასთან, ექსტრადიციის განხორციელების შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, არ იკვეთება ა. ხ-ს მიმართ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკი.

4. დაცვის მხარის მითითებასთან დაკავშირებით, რომ ა. ხ-ს დანაშაული არ ჩაუდენია და ბრალდება შეთხზულია, პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იხილავს ა. ხ-ს ბრალეულობის საკითხს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმის თაობაზე, დასაშვებია თუ არა მისი ექსტრადიცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

5. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ასევე კასატორის პოზიციას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხ-

ლით დაცული ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევის თაობაზე და მიუთითებს, რომ როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ა. ხ. არის რუსეთის მოქალაქე, მას საქართველოს ტერიტორიაზე არ გააჩნია მყარი ოჯახური კავშირები, რომელთა დარღვევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან შეუსაბამო იქნებოდა.

6. უსაფუძვლოა ასევე კასატორის მითითება დანაშაულის ხანდაზმულობის საკითხზე, ვინაიდან ა. ხ-თვის ბრალად წარდგენილი ქმედება, გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, შესაბამისად, გერმანიის სსკ-ის თანახმად, გამოიყენება 20-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, ა. ხ-თვის ბრალად შერაცხული ქმედება შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლ ნაწილს, რაც მძიმე კატეგორიის დანაშაულს მიეკუთვნება და მასზე ვრცელდება 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომლის დინება ჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღიარებს რა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას, მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინება, რომლითაც დასაშვებად იქნა ცნობილი ა. ხ-ს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ექსტრადიცია, ამავე სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტებითა და მე-2 ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ა. ხ-სა და მი-

სი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიეპელი

<b>1. სისხლის სამართალწარმოების შეჩერების საფუძვლები და ვადები .....</b>	<b>3</b>
<b>2. გონივრული ვადის დაცვის მოთხოვნები სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების პროცესში .....</b>	<b>11</b>
<b>3. მტკიცებულება</b> მტკიცებულებათა მოპოვება, რომლებიც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი უნდა გამხდარიყო, განხორციელდა კანონის არსებითი დარღვევით .....	28
<b>4. საპროცესო შეთანხმება</b> საპროცესო შეთანხმების პირობის დარღვევის გამო განაჩენის გაუქმება და საქმის პროკურორისთვის დაბრუნება .....	43
მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმისა და საქმის პროკურორისათვის დაბრუნების შესახებ .....	47
<b>5. აპელაცია</b> სააპელაციო განაჩენი და შებრუნება საუარესოდ .....	53
<b>6. საკასაციო განაჩენი</b> გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა .....	63
საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში განაჩენის გაუქმება და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა .....	69
„წარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის მოთხოვნის შუამდგომლობასთან დაკავშირებით საქმისწარმოების შეწყვეტა .....	79
<b>7. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი</b> ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება .....	84; 87; 91; 97; 99; 105; 109; 114
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის უცვლელად დატოვება იმ მოტივით, რომ არ არსებობს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეცვლის კანონით გათვალისწინებული საფუძველი .....	119

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება .....	127; 131
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის .....	137
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად .....	141
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად .....	150
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის შუამდგომლობის განსახილველად დაშვების მიზნით .....	157
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ანალოგიით გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად .....	160
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია .....	166
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა და არასრულწლოვნის მიმართ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“ გათვალისწინებული უკუძალის გამოყენებით განაჩენის კვალიფიკაციის ნაწილში ცვლილების შეტანა .....	169

საქართველოს 20.02.1998 წლის სისხლის სამართლის  
საპროცესო კოდექსით ნაწარმოები სს საქმე  
არ წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლოს 22.01.2015 წლის გადაწყვეტილების  
შესაბამისად, განაჩენის გადასინჯვის  
ა/გამოვლენილ გარემოებასა და შუამდგომლობის  
დასაშვებად ცნობის საფუძველს ..... 176; 181

**8. ექსტრადიცია ..... 187; 193; 200; 206**

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 298 21 03  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)